5454

საქართველოს
დაარსებიდგან
**3998 წ.**

ჩყვჸ

შედგენილი
ვალერიან გუნიას
მიერ.

საქართველოს
პირველ მეფიდგან
**2208 წ.**

# საქართველოს კალენდარი 1888 წლისა.

(ნაკიანი წ. 366 დღე).

ქართული ინდიქტიონი მეოთხეა

ამისი ქორონიკონი 44 წ.

1888 წლის ზედ-ნადები 25.

305.

საქართველოს
გაქრისტიანებიდგან
**1574 წ.**

ტფილისი

გამოცემული
გრიგოლ ჩარკვიანის-მიერ.

საქართველოს
რუსეთთან შეერთებიდ
**87 წ.**

5454
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კალენდარი

## 1888

## წლისა.

წელიწადი პირველი

თბილისი

სტამბა გრიგოლ ჩარკვიანისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბ. სახ.

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*Дозволено Цензурою Тифлисъ, 20-го Декабря 1887 г.*

Типографія Гр. Чарквіани на Лорисъ-Меликъ. ул. д. Зубалова.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინა-სიტყვის მაგიერ.

ცოტათი მაინც ხეირიანი კალენდრის უქონლობა ჩვენში, ვგონებთ, ყველასათვის ცხადია.

პირველი ქართული კალენდარი ჩვენში გამოსცა პლატონ იოსელიანმა 1848 წელს და მალე შეაყენა. 1867 წელს ნიკო ავალიშვილმა გამოსცა კარგად ვრცელი კალენდარი, მაგრამ არც ამის გამოცემა გაგრძელებულა. 1877 წელს „დროების“ რედაქციამ გამოსცა ბევრის ცნობებით სავსე პატარა კალენდარი, ხოლო არც ეს კალენდარი გაგრძელდა. ერთად ერთი კალენდარი რომელიც დიდი ხანია გამოდის და არ შეჩერებულა არის ბ-ნი მდივანოვისა. მაგრამ ეს კალენდარი საზოგადოებას საკმაოდ ვერ აკმაყოფილებს.

ზემო მოყვანილ მიზეზებმა გამოგვიწვიეს ჩვენ ცოტად თუ ბევრად ვრცელი კალენდარის გამოსაცემად, ამის გარდა ჩვენ განვიზრახეთ ერთხელ და სამუდამოთ საშუალება მივსცეთ საზოგადოებას საკუთარის, ვრცელის და ცნობებით სავსე კალენდრის შეძენისა.

ჩვენ ამ თავითვე გულწრფელად ვამბობთ, რომ ჩვენი კალენდარში ბევრი შეცდომა იქნება. ბევრი რამ ნება-უნებლიედ უყურადღებოდ დაგვრჩა, რადგან ეს პირველი ნაბიჯი იყო და გამოუცდელობის გამო გვიან შევუდგეთ კალენდრის ბეჭდვას. ამის გარდა სხვა გარემოებაც ხელს გვიშლიდა რის გამოც ბევრი წერილები, კალენდარისათვის დამზადებულნი, ვერ დაიბეჭდა, სხვათა შორის ისტორიული წერილი ბ-ნი განისა „საქართველოს შეერთება რუსეთთან“ პლატონ იოსელიანის ბიოგრაფია, აგრეთვე მეფე ერეკლეს, წმ. ნინოს სურათები და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II

აქ ისიც უნდა ვაღვიაროთ, რომ ენის მხრით ჩვენ არ აგვცდა შეცდომები, რომელიც სხვა შეცდომათა შორის იმე-

რაც უნდა იყვეს, იმედი გვაქვს რომ საზოგადოება პირ-დი გვაქვს საგაისოთ ერთად გასწორდებიან და საზოგადოდ თვით კალენდარი შინაარსითაც და სხვა და სხვა ცნობებითაც ერთი ორად განკარგდება და გაუმჯობესდება.

ველ შემთხვევისათვის აუცილებელს შეცდომებს შეიწყნარებს და სასტიკად არ მოგვეპყრობა; მით უფრო რომ მეცადინეო-ბისათვის მომავალში დრო კიდევ ბევრი გვაქვს, თუ გარე-მოებანი გზას არ აგვეღობებიან.

1887 წ. დეკემბერი 23

ქ. ტფილისი.

## ორიოდე სიტყვა იულიუსის და გრიგორიის კალენდარზე

მკითხველებს, რა თქმა უნდა, ეცოდინებათ, რომ საზოგადოთ ჩვენებურ წელთაღრიცხვაში ორნაირი წელიწადია: ერთი—*მარტივი*, მეორე—*ნაკიანი*.

*მარტივი* წელიწადს იმისთანა წელს ეძახიან, რომელიც შეიცავს 365 დღეს და ამისთანა წლის თებერვალი 28 დღით ირიცხება, ხოლო *ნაკიანი* წელში ირიცხება 366 დღე და ამ წლის თებერვალი შეიცავს 29 დღეს. ეს უკანასკნელი გარემოება შეადგენს სახარიათო თვისებას ნაკიანი წლისას. ამ გვარი ერთის დღის მიმატები თებერვალს შემოღებულ იქმნა 46 წელს ქრისტეს დაბადების წინეთ, იულიუს-კეისარის მეფობის დროს რომში გამოჩენილის ასტრონომის სოზიგენისაგან.

იმ დრომდე საზოგადოთ იმისთანა წელთაღრიცხვა მოქმედებდა, როგორც ძველ დროში და ეხლა ჩვენს დროშიაც—ებრაელთა, არაბებთა და სხვა ხალხთა შორის. ეს უკანასკნელი წელთაღრიცხვა აშენებული იყო მთვარეზე. თვლა იწყობა ახალი მთვარიდამ და გრძელდება სანამ ახალი მთვარე მეორედ არ გამოჩნდება—და მაშინ ისევ ხელახლად თავიდან იწყება თვლა. ასე რომ ძველებური წელთ-აღრიცხვით თვე შეიცავდა, ახალი მთვარედამ ახალ მთვარემდე, 29 დღეს და 12 საათს. ამის დაგვარად ძველებურის ანგარიშით წელიწადში იყო 354 დღე ($29^1/_2 \times 12 = 354$) სოზიგენმა შენიშნა, რომ ასეთი წელთ-აღრიცხვა სიმართლეს ძრიელ მო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლებული იყო და ამიტომ შემოიღო სხვა ნაირი ანგარიში აი ამ საშუალებით: მთვარეს თავი დაანებოთ და მზეს მიემართოთ—რამდენჯერ ამოვა და ჩავა მზე იმდენი დღე უნდა იყოს წელიწადშიო. მისის გამოანგარიშებით მზის საშუალობით, წელიწადში გამოვიდა არა ძველებური 354 დღე არამედ $365\frac{1}{4}$ დღე. ეს მეოთხედი დღე ხორცმეტსავით ცოტა არიყოს საქმეს აჭირებდა, მაგრამ გამოჩენილმა სოზიგენმა ამ ხორცმეტსაც საშუალობა მოუღო: რადგან ყოველ წელიწადს მეოთხედი დღე ემატებაო, ამიტომ ყოველ სამს წელიწადში ვიანგარიშოთ 365 დღე და მეოთხე წელში კი 366 დღეო. $(^1/_4 \times 3) + ^1/_4 = 1$ დღეს) პირველს სამს წელიწადს დაარქვა მარტივი და მეოთხეს კი ნაკიანი და ნაკიანის მეტი ერთი დღე, როგორც ზემო იყო ნათქვამი, თებერვალს მიუმატა. სოზიგენისაგან შემოღებულს ანგარიშს დაარქვეს იულიუსის წელთ-აღრიცხვა, რადგან იმ დროს მეფობდა რომში გამოჩენილი კეისარი იულიუსი—იულიუსის წელთ-აღრიცხვა მიღებულ იქმნა ყველა განათლებულ სახელმწიფოებში და ქვეყნებში, აგრეთვე რუსეთშიაც.

15 ოკტომბერს 1582 წელსა რომის პაპმა გრიგორი მე XIII-მ ბრძანა: დღეს იანგარიშეთ არა 15 არამედ 5 ოკტომბერიო. ეს განკარგულება პაპმა მოახდინა აი, ამ მოსაზრებით: სოზიგენმა თავის წელთ-აღრიცხვაში ცოტა შეცდომა შეაპარა; იგი წელიწადში სთვლიდა 365 დღეს და 6 საათს, ხოლო წელიწადი შეიცავს, როგორც მერე გამოჩნდა, 365 დეს 6 საათს და 11 წუთს და 14 წამს. ასეთმა მცირედმა განსხვავებამ პაპი გრიგორი მე XIII, გონივრულის გამოანგარიშების შემდეგ, აიძულა მოეხდინა ზემო მოყვანილი ცვლილება.

საქრისტიანო ეკლესიამ იულიუსის კალენდარი მიიღო პირველი მსოფლიო ნიკეის კრების დროს ესე იგი 18 მარტს 325 წელს, მაგრამ ეს რიცხვი სწორი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, რადგან იულიუსის კალენდრის შემოღების შემდეგ პირველი ნიკეის კრებამდე გასულიყო 369 წელიწადი და რადგან იულიუსის წელთ-აღრიცხვა როგორც წინეთ ვსთქვით მართებულ წელთ-აღრიცხვისაგან განისხვავებოდა 11 წუთით და 14 წამით, ამიტომ ამ განსხვავებამ 369 წლის განმავლობაში იმატა და შეადგინა 3 დღე (11 წუთი და 14 წამი×369 წელზე=3 დღეს) ასე რომ ნიკეის კრების დროს 18 მაგიერ უნდა ყოფილიყო 21 მარტი და ასე მოხდა კიდეც. კრებამ დაადგინა 18 მიემატოს 3 დღე დაეანგარიშნათ 21 მარტი. მაგრამ ამ დადგინებით შეცდომა მომავლისათვის მაინც არ იყო გასწორებული, რადგან ყოველი გასული 128 წელი იულიუსის კალენდრით, მართებულს წელთ-აღრიცხვას აკლებდა ერთს დღეს. ამიტომ პაპი გრიგორი მე XIII 5 ოკტომბერი 1582 წ. გახადა 15 ოკტომბერად—ესე იგი მოუმატა 10 დღე. ეს ათი დღე შესდგა ასრე: პირველ ნიკეის კრება იყო 325 წელს, პაპის ბრძანება 1582 წ. მაშასადამე გასულიყო 1257 წელიწადი, რომელმაც ზემო მოყვანილის ანგარიშით შეადგინა ათი დაკლებული დღე (11 წუთი 14 წამი×1257 წ.=10 დღეს.) მაგრამ ამით როდი დაკმაყოფილდა პაპი გრიგორი; მომავალშიაც რომ არ მომხდარიყო შეცდომები, იმან დაადგინა: ნაკიანი წლები ეანგარიშნათ ისრე, როგორც იულიანის კალენდარი ანგარიშობდა, ხოლო იმ განსხვავებით, რომ სრული საუკუნოები, მაგალ. 1700, 1800, 1900 ჩათვლილ ყოფილიყვნენ მარტივ წლებად, თუმცა იულიუსის წელთ-აღრიცხვით ისინი ნაკიანები არიან. ამ საშუალებით, რა თქმა უნდა, შეცდომა გასწორდა მაშინაც და სამერმისოდ და ასეთ წელთ-აღრიცხვას უწოდეს გ რ ი გ ო რ ი ი ს წ ე ლ თ-ა ღ რ ი ც ხ ვ ა ო ბ ა.

ეხლა ცხადათა სჩანს, რომ იულიუსის კალენდარი 1582 წელს გრიგორიის კალენდარიდგან განსხვავდებოდა ათის დღით. 1700 წ. კიდევ ერთი დღე მოემატა 1800 კიდე ერთი დღე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე ამ ჩვენს საუკუნეში—1888 წ. გრიგორიის კალენდარი აღემატება იულიუსისას 12 დღით. ეხლა მაგალითად, როცა ჩვენში (რუსეთში იულიუსის კალენდარი მოქმედებს) 19 დეკემბერია უცხოეთში: ფრანციაში, ინგლისში, გერმანიაში, იტალიაში და სხვაგან ახალი წელიწადია ესე იგი პირველი იანვარი და ჩვენი ახალი წელიწადის დროს იმათი 13 იანვარია. იულიუსის წელთ აღრიცხვაობას კიდევ ეძახიან ძ ვ ე ლ ს ს ტ ი ლ ს, გრიგორიისას ა ხ ა ლ ს ს ტ ი ლ ს.

თუ მოვიხსომებთ ზემოთქმულს ნაკიანი წელიწადის გამოცნობა ძლიერ ადვილია; რომელი წლის გამოცნობა გსურთ ის წელიწადი უნდა გაიყოს ოთხად და გაყოფის შემდეგ თუ არა დარჩა რა, ის იქნება ნაკიანი, თუ დარჩა რამე მარტივი. მაგ.: 1888 : 4=742 მაშასადამე 1888 ნაკიანი წელიწადია. 1890 : 4=742 და დარჩა—2 მაშასადამე მარტივია. გაყოფის შემდეგ დანარჩომი გვიჩვენებს, რამდენი წელი გასულა უკანასკნელი ნაკიანი წლიდამ. მაგალ.: უკანასკნელი ნაკიანი წელი იყო 1878 ეს წელიწადიც 1888 ნაკიანია; 1890 წელი იქნება მარტივი და ამასთანავე ორი წელიწადი გასულა უკანასკნელი ნაკიანი 1888 წლიდამ.

## სომხური წელთ-აღრიცხვა.

სომხურ წელთ-აღრიცხვაზე ზოგნი ამბობენ, რომ ვითომც მე VII საუკუნეში იყოს დაწყებული, ზოგნი კი იძახიან, რომ მე XI-დან მომდინარეობს და ეს უკანასკნელი ვგონებთ უფრო მართალი უნდა იყოს. სახასიათო თვისება სომხურის წელთ-აღრიცხვისას ის არის, რომ მასში არ არის ნაკიანი წლები, ამიტომ, რა თქმა უნდა, ბევრში განირჩევა იულიუსის წელთ-აღრიცხვისაგან და არც გრიგორიისას ჰგავს, ეს გარემოება იმდენად სცვლის სომხურს წელთ-აღრიცხვას, რომ 1460 წელი სომხურის კალენდრით ედრებოდა 1459

წელს იულიუსის კალენდრითა. ხოლო 1763 წელს სომხის ქათალიკოსმა სიმეონმა გაასწორა ძველი კალენდარი და სრულიად შეათანხმა იულიუსისას და ამ ახლად შედგენილს კალენდარს უწოდა თ ო ნ ა ც უ ი ც. იმ დროდან სომხური წელთ აღრიცხვა სრულიად ეთანხმება იულიუსისას. ამის გარდა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ სომხურს ეკლესიას აქვს კიდევ ერთგვარი თვისება: კვირა დღე ეკუთვნის მაცხოვარს, ორშაბათი—ანგელოზებს, სამშაბათი—წინასწარმეტყველებს, ოთხშაბათი—ღვთისმშობელს, ხუთშაბათი—მოციქულებს, პარასკევი—წმ. ჯვარს და შაბათი—ყველა წმინდათ.

## თათრული (მაჰმადიანთ) წელთ-აღრიცხვა.

მაჰმადიანები თავის წელთ-აღრიცხვას იწყობენ იმ დროდან, როდესაც მახდა მაჰმადის გაქცევა ქაბიდან მედინაში—ესე იგი 15 ივლისს 662 წელს. როგორც ჩვენ, იმათაც ნაკიანი და მარტივი წლები აქვთ. წელიწადში იმათაც თორმეტი თვე აქვთ, თვის რიცხვი აშენებულია ყოველ ახალ მთვარეზე, ამიტომ მათი თვე გამოდის 29 დღე 12 საათი 44 წუთი და 2 წამი, წელიწადი შეიცავს 354 დღეს ანუ ექვსი თვე 30 დღეს და და დანარჩენი ექვსი—29, მაგრამ რადგან 44 წუთი და ორი წამი სამის წლის განმავლობაში შეადგენენ თითქმის ერთს დღეს, ამიტომ მაჰმადიანებს აქვთ ნაკიანი წლები, რომელშიაც ირიცხება 355 დღე და რომელსაც უწოდებენ ქეაბისიას. ყოველ 30 წელში უსათუოდ 11 წელიწადი ნაკიანი—ქებისია და 19 მარტივი უნდა იყოს.

## მაჰმადიანთ რჯული

მაჰმადიანთ წელთ-აღრიცხვაზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, ვგონებთ, უადგილო არ იქნება თვითონ მაჰმადიანების რჯულზე და თვით მაჰმადზედ ვსთქვათ ორიოდე სიტყვა.

მაჰმადი ანუ მახმედი დაიბადა 561 წელს ქალაქ მეკკაში. მაჰმედი იყო გამოჩენილის გვარეულობის შვილი, მამა მისი აბდულა ქორეიშათი თავის დროს გამოჩენილი კაცი იყო და დიდი გავლენა ჰქონდა თავის ერზედ. მაჰმადი სრულებით ბავშვი იყო, როდესაც მოუკვდა მამა და ექვსი წლის გახდა თუ არა დედაც მოუკვდა. ამ რიგად სრულებით ობოლი მაჰმედი აიყვანა მისმა პაპამ, შემდეგ ბიძამ გამოჩენილმა ვაჭარმა აბუ-თალიბმა. 12 წლის იყო მაჰმადი, როცა ბიძასთან ქალაქს ბაერაში წავიდა. აქ გაიცნო ერთი ქრისტიანე მონაზონი ვიღაც ჯორჯილა (ეს უკანასკნელი ვგონებთ ქართველი იყო). მაჰმადი პატარაობიდანვე შეეჩვია ხალხს, მრავალ მოგზაურობაში გაიცნო მრავალ ჯურის ხალხი, მათ შორის ბევრი ქრისტიანები, ებრაელები და სხვანი. საზოგადოთ მაჰმადი ნიჭიერი ყმაწვილი იყო და ყოველი ახალი გაცნობილი პირი, ყოველი ახალი ქალაქი და მოგზაურობა დიდს საზრდოს აძლევდა მას ცნობის მოყვარეობას. 25 წლის არც კი იყო მაჰმადი როცა ცოლად შეირთო ერთი მდიდარი 42 წლის ქვრივი ქალი ხადიჯა. ამ ცოლისაგან მაჰმადს ბევრი შვილი ეყოლა, მაგრამ ყველანი დაეხოცა გარდა ერთის ქალისა—ფატმანისა, რომელიც ბოლოს მისმა მოწაფემ ალიამ შეირთო. მაჰმედი პატარაობიდანვე დიდი ფანტაზიის პატრონი იყო და უმეტეს ნაწილს თავისუფალ დროისას მთებში და ტყეებში ატარებდა სადაც ეძლეოდა მთლად თავის ოცნებებს. 40 წლის იყო მაჰმადი; როცა ერთხელ მთა ხარაზედ მოეჩვენა მთავარ-ანგელოზი გაბრიელი და აქედამ დაიწყო მაჰმადმა ქადაგება ახალ რჯულზე. პირველად მაჰმადი გამოცხადდა ქაბაში როგორც წინასწარმეტყველი, მაგრამ აქ ხალხი მეტად მტრულად დაუხვდა მის ქადაგებას, მეტადრე მისი გვარეულობა—ქორეიშიტები და ამიტომ მისმა ბიძამ აბუ-თალიბმა აიძულა იგი გაქცეულიყო ქაბიდამ აბისინიაში, მაჰმადისთანავე გაიქცნენ მისი მოწაფენიც. სამი წლიიადი

გაიდა მაჰმადის განდევნიდან და ყველას ეგონა, რომ მაჰმადი დაჭკვიანდებაო ამიტომ ნება მისცეს უკან ქაბაში დაბრუნებულიყო. ჩამოვიდა მაჰმადი ქაბაში, მაგრამ აქ ცუდი ამბავი დახვდა. მისი ცოლი და ბიძა მომკვდარიყვნენ, მაგრამ ამ გარემოებამ მაჰმედი არ შეაფერხა, ხელახლა დაიწყო ქადაგება და რამდენიმე თვეში აუარებელი მომხრენი მოიპოვა. Ⴀმ გარემოებამ უფრო გაანჩხლა მისი მტრები და მაჰმადი მოსაკლავად გაიმეტეს კიდეც, მაგრამ მოკეთეებმა შეატყობინეს მაჰმადს რა განსაცდელი ელოდა და 662 წელს, 16 Ⴈვლისს შაბათ ნაშუადღევს მაჰმადი თავისის მოწაფენით გაიქცა მედინაში. Ⴀქ მაჰმედის ახალმა სწავლამ რჯულზედ მთელი ერი დაიმორჩილა, ამით ისარგებლა მაჰმედმა და ქაბაელებს ომი გამოუცხადა ომი თითქმის ორი წელიწადი გრძელდებოდა, მაგრამ ბოლოს მაჰმადმა დასძლია მტრები და ქაბაელები შეურიგდნენ მაჰმადს და მედინელებს. Ⴀმის შემდეგ მაჰმადის სწავლამ ისრე მტკიცეთ მოიკიდა ფესვები, რომ მთელი არაბისტანი დაიპყრო. მაჰმადი ისრე გაძლიერდა, რომ მთელი ქვეყნის მბრძანებელი გახდა. გაგზავნა თავის ელჩები Ⴀბისინიაში, სირიაში და სხვა ადგილებში მიაღებინა იმათ თავის ახლად შემოღებული რჯული, რომელსაც უწოდებდნენ Ⴈ ს ლ ა მ ს. ბოლოს ქრისტიანებსაც დაუწყო ომი მაგრამ აქ ხშირად დამარცხებული რჩებოდა. Ⴇავის უკანასკნელი დღენი მაჰმადმა მოახმარა Ⴗორანის შედგენას, რომელიც მაჰმადიანების სახარებად ითვლება. Ⴓკანასკნელად მაჰმადი ქაბაში გაემგზავრა და სამი თვის შემდეგ კიდეც გარდაიცვალა ორმოც და ათის წლისა. მაჰმადი დიდის ამბით დამარხეს.

მაჰმადის შემდეგ მისი სწავლა უფრო გადიდდა და გაზვიადდა. მთელი არაბისტანი, Ⴀბისინია, Ⴀფრიკის ჩრდილოეთის მხარე, აზიის სამხრეთი და აღმოსავლეთის მხარენი, ევროპის სამხრეთი, პატარა აზია და თითქმის კავკასიის დიდი ნაწილიც გამაჰმადიანდა.—ყოველმა ქართველმა კარგათ იცის

რა სასტიკად და დაბეჯითებით სწიწკნიდა ისლამი მთელის თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში საქართველოს გულს და ძირს უთხრიდა ეროვნობის თვითმყოფელობას. ბევრნი ძლიერნი საჴელმწიფონი და ერნი გააფუჭა ისლამმა, ბევრის, მეტად ბევრი წმინდა წყარო უკუადინა და გააშრო მაჰმადიანთ რჯულმა; ხოლო პატარა იბერიასთან ვერა გააწყო-რა და ამიტომ სრულიად მართალი იყო ის მაჰმადიანი, რომელმაც სთქვა: «საქართველო სწორედ მდევი არისო, რამდენს თავს მოსჭრი იმდენი ერთი ათად ეზრდება და თან უფრო მხნევდებაო.»

ეხლა თვითონ ყორანზე. საზოგადოთ მაჰმადიანთ რჯული განიყოფება ორ ნაწილად: პირველი—რ წ მ ე ნ ა და მეორე კ ე თ ი ლ-ს ა ქ მ ე ნ ი; რ წ მ ე ნ ა იყოფება ასე: 1, რწმენა ღმერთისა, 2, რწმენა ანგელოსების, 3, რწმენა ყორანის. 4, რწმენა წინასწარმეტყველთა, 5, რწმენა აღდგომისა და უკანასკნელი განჩინებისა და 6, რწმენა თავის იღბლისა. კ ე თ ი ლ-ს ა ქ მ ე ე ბ ი იყოფება ოთხად: 1, ლოცვა და განბანვა, 2, ქველ-მოქმედება, 3, მარხვა და 4 მიმოსვლა სალოცავად ქაბაში.

ამის გარდა ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მაჰმადიანებში ორ ნაირი მიმდევარნი არიან ყორნის: ერთი შიითნი; მეორე —სუნითები. ამათ შორის დიდი განსხვავება არ არის, მაგრამ მაინც ერთმანერთი სძულთ. შიითები ამტკიცებენ, რომ მაჰმადის მემკვიდრე ალი არისო, რადგან იგი მისი ბიძა-შვილი იყო და მაჰმადის ქალი ყვანდაო, სუნითები ამბობენ მაჰმადის მემკვიდრე აბუბერქი იყო რადგან ეგ უკანასკნელი მაჰმადის მამი ნაცვალი იყო, დანარჩენებში არაფერი განსხვავება არ არის მათ შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წინასწარმეტყველებანი 1888 წელსა
(ბრიუსის კალენდრიდამ).

1888 წელი ნაკიანია და «მარსის» მფარველობის ქვეშ იმყოფება. პლანეტა „მარსი“ ითვლება როგორც ფიცხი, ჯიუტი და სასტიკი მოვლინება ქვეყანაზედ. ამ პლანეტას წითელი—სისხლის ფერი აქვს და აუცილებლად ომს და უბედურებას უქადის ქვეყანას, სასოგადოთ «მარსზე» ამბობენ, რომ როცა იმის გავლენის ქვეშ არის დედა-მიწა მაშინ ომები, ყოველ გვარი განსაცდელი, გაჭირვება და უბედურებანი ეწვევა ხოლმე დედამიწასაო.

ამ პლანეტის ქვეშ დაბადებულებს ძრიელ ცუდი ხასიათი აქვთ ხოლმე, მაგალითად: მატყუარები, მოღალატენი, ჭირვეულნი და კერპნი, ბოროტნი სულ ამ პლანეტის გავლენის ქვეშ იბადებიან. გარეგანი შეხედულება ამ პლანეტის ქვეშ დაბადებულებთა ასეთია; წითელ თვალებიანი, ფართო სახიანები, დიდი შუბლიანები, მკლავ ღონიერნი, სრულ მკერდ-ბეჭიანები, გაჭირვების და უბედურების ამტანნი, ხასიათით შეუდრეკელნი და თავ-მოყვარენი სცხოვრობენ დიდხანს 85—90 წლამდე.

1888 წელიწადში დიდი ელვა-ქუხილი იქნება, ჰავა თბილი და დრო გამოშვებით ძრიელ ცხელი.

გაზაფხული იქნება ცივი, ხმელი, ხვნა-თესვას ხელს უწყობს.

ზაფხული—მშრალი, ნოტიო, მეურნეებისათვის არა სასარგებლო.

შემოდგომა—ნოტიო, ცივი და ხეხილებისთვის მავნებელი.

ზამთარი—ხმელი, ცივი, არეული და ბევრი თოვლი და თოვლ ჭყაპი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წელს პური კარგი იქნება და ბევრი, ხოლო ხილი ცოტა. სამაგიეროდ ყურძენი და ღვინო ბევრი და კარგი იქნება, ქარიშხლები, წვიმები და ბუქები დედამიწას ზიანს მისცემენ.

## 1888 წ. მოხდება ომი ორს განათლებულ სახელმწიფოთა შორის

ომი ძლიერ სასტიკი იქნება—მაგრამ დიდ ხანს არ გაგრძელდება. ამ წელიწადს გამოჩნდება ერთი ფრიად შესამჩნევი და დიდი ლალატი.

საზოგადოთ 1888 წელიწადი ბევრად დააზიანებს ქვეყნიერობას.

1888 წელს იქნება სამი მზის და ორი მთვარის დაბნელება, მაგრამ ჩვენში არცერთი მზის დაბნელება არ გამოჩნდება. ხოლო დაბნელება მთვარისა—ერთი 16 იანვარს და მეორე 11 ივლისში საქართველოში დაინახება.

## ხალხური წინასწარმეტყველებანი

(ძველ ხელ-ნაწერებიდამ გადმოღებული)

ბრძენთაგან ფილოსოფოსთა ცვლილებითი წელიწადთათვის, წინადვე როგორი დადგება.

1. უკეთუ იყოს ზედნადები 11-ი მას წელსა იყოს ზამთარი თოვლიანი და ყინვა მავნე, თებერვლის ოციდგან კარგი დარი იყოს, გაზაფხული წვიმიანი, ზაფხული მოხმელე, რთველი ნოტიო. თივა ძვირად, მთანი სჯობდენ ბართა, თაფლი და ნაშრომ მცირედ, ზამთრის ყინვამან მოჰსწვას ვენახნი, ღვინო ძვირად, ხილი მცირედ. თებერვლის 2-ს, ივლისის 19 და 17 დაბნელდეს მთოვარე.

2, უკეთუ იყოს ზედნადები 22-ი მას წელსა იყოს ზამთარი

თბილი, გრძელი და თოვლიანი, გაზაფხული წვიმიანი. ზაფხული კვალად წვიმით, ხოლო სთველი შეზავებული იყოს წვიმითა და ყოველი ნაყოფი კეთდეს მთათა და ბართა, თაფლი, ხილი მრავალი. წელიწადი ესე მშვენიერი იყოს ჰაერითა, იანვრის 9-ს და 30-ს დაბნელდეს მთოვარე (კაცთა უეცარი სიკვდილი.)

3, უკეთუ იყოს ზედნადები 3, მას წელსა იყოს ზამთარი თბილი და მოკლე და უთოვლო, გაზაფხული ქამად მოკლე, ხმელი და მერმედ წვიმიანი, ზაფხული წვიმიანი და კეთილი შეზავებული, სთველი ხმელი და გრძელი და ყოველი ნაყოფი იეფად, მთათა ყოველივე ნაყოფი კეთდეს, ხოლო ბარნი იყვნენ ნაკლები, თივა ზომადრე, სთველი ხმელი და გრძელი, იანვრის 11-ს და 12-ს დაბნელდეს მთოვარე.

4, უკეთუ ზედნადები იყოს 14-ი მას წელს ზამთარი იყოს თოვლიანი და ყინვა ფრიად. ზამთრის სიცივეებმან ავნოს ნაშრომთა, ფქვილთა, ქრთილთა. ხოლო ბართა მთანი სჯობდენ. რაოდენ ზაფხულისა სიხმელე ვერ დიდათ ავნებს, გაზაფხული მოხმელე, შუაზაფხულიდგან წვიმიანი. სთველი ნოტიო, თაფლი თხლად, მაისის 28-ს დაბნელდეს მთოვარე.

5, უკეთუ იყოს ზედნადები 25 ი მას წელს იყოს ზამთარი თოვლიანი, გრძელი, გაზაფხული ნოტიო, ზაფხული კეთოლი, ნაშრომი მთათა შეზავებული, თაფლი, ხილი, ღვინო იფად. მთათა და ბ.რთა თივა და ყოველი ნაშრომი იეფად, სთველი ხმელი და გრძელი, სეკდემბერი წვიმიანი იყოს და ვენახთა მოაკლდეს და პურიცა ძვირად და ზამთარი ხმელი იყოს დიდხან, გაზაფხული გვიან მოვიდეს, აპრილს წვიმოს და იგრგვინოს და ზაფხულიცა წვიმიანი, ნოემბერს 11-ს დაბნელდეს მთოვარე.

6, უკეთუ იყოს ზედნადები 6-ი მას წელსა იყოს ზამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარი ხმელი და მოკლე და ზაფხული ხმელი და მოკლე შუამდის, თივა ძვირად. ნაყოფი მდარედ იყოს, ღვინო სჯობდეს ზეგანთა, ნაშრომი კეთდეს, ბართა ნაშრომი კლებით, სთველი გრძელი იყოს და მთათა ჩრდილოთ კერძო უფრო სავსებით იყოს ყოვლისფრითა, გაზაფხული წვიმიანი იყოს და ზაფხულით ბართა გაგოდს და გაზაფხულიც, გოლვა ბართათვის, აპრილის 3-ს და მაისის 6-ს დაზნელდეს მთოვარე.

7, უკეთუ იყოს ზედნადები 17-ი მას წელს იყოს ზამთარი თოვლიანი და მოკლე, გაზაფხული წვიმიანი, წვიმისაგან ზეგანთა ნაშრომთა ევნოს და ბარნი კეთილითა აღივსნეს, ღვინო და პური უხვებით, თაფლი, ხილი იეფად, თივა ნაშრომი ყოველივე ფერი ვითარცა მთათა და ზეგანთა შეგავს. სთველი მოკლე ნოტიო და ზაფხულსა მცირედ გაგლენეს და ივლისის 1-ს მოვიდეს წვიმა, იფქლნი ვაკისანი კეთდნენ გვერდნი გაზაფხულს მოაკლდენ და ქვაბთა ხორბალი არა ჰქონდეს, სელი და ფეტვი კეთდეს უწვიმობით იქლი ვერა სთესონ, დეკემბერიცა ხმელი იყოს, ნოემბერს ცოტა წვიმოს, მერმედ გოლვა იყოს, ფეტვი კეთდეს. აქა მნათობთა დაზნელება არ არის.

8, უკეთუ იყოს ზედნადები 28-ა მას წელს იყოს ზამთარი მას წელს იყოს ზამთარი თბილი და მოკლე და თოვლიანი, გაზაფხული არა კეთილი, თივა, თაფლი, ღვინო იეფად, ყოველი ნაშრომი ხვანიერად ზეგანთა, ხოლო ბარნი ნაკლებად, სთველი ხმელი გრძელი, თბილი პური შეზავებული, ხოლო ჩრდილოთ კერძოსა ვით ჰხვდება არა იყოს ევრე გვალვა, ამ წელიწადს არა აქვს მნათობთა დაზნელება.

9, უკეთუ იყოს ზედნადები 9-ა მას წელს იყოს ზამთარი მოკლე, გაზაფხული და ზაფხული მოხმელე, თაფლი და ღვინო მცირე, ნაშრომი კეთდეს. სეტყვისა და გოლვი-

საგან ევნოს, რთველი გარდარეულად წვიმიანი მოკლე, თივა ძვირად, წლიწადი გრილი სეტყვიანი, ყინვიანი, სუნი სიცივისა ჰქროდეს და სადაცა შაბერნეს ნიავიცა გრილად, აქა მარტის 20 დაბნელდეს მზე და აგვისტოს 14 და 29 დაბნელდეს მთოვარე.

10, უკეთუ იყოს ზედნადები 20 მას წელსა იყოს ზამთარი თოვლიანი ძნელი და გრძელი, გაზაფხული წვიმიანი, ზაფხული კეთილ-შეზავებული ყოველითა კეთილითა. თაფლითა, ხილითა, ღვინითა ყოველითა ნაშრომით კეთდეს, სთველი გრძელი, ნიავი ამო მაგრა ხმელი იყოს ესე წლიწადი და იყოს სრული და უკლებელი ჰაერთაგან არა დია ევნოს, აპრილის 20 დაბნელდეს მზე, აგვისტოს 19-ს და ოკდომბრის 17-ს დაბნელდეს მთოვარე.

11, უკეთუ იყოს ზედნადები 1-ი მას წელსა იყოს ზამთარი ხმელი და მოკლე, ფუტკართა წყვეტა, თივა მცირედ მთანი სჯობდენ ბართა. ბარნი კლებულად იყვნენ, ღვინო მცირედ, სთველი წვიმიანი და მოკლე იყოს, წლიწადსა ამას ვერა სრულსა იტყვიან, ჩრდილო სჯობდეს. დეკემბრის 19-ს დაბნელდეს მზე და თებერვლის 12-ს დაბნელდეს მთოვარე.

12, უკეთუ იყოს ზედნადები 12-ი მას წელსა იყოს ზამთარი მძიმე თოვლიანი, გაზაფხული ჯეჯილთა შეთხელება, ზავხული წვიმიანი, ზეგანთა პურთა ევნოს ხოლო ბარნი კეთდეს, სთველი მოკლე მცირე ნოტიო, ესე წლიწადი მთათა სინაკლესა იტყვის. აქა იანვრის 2-ს დაბნელდეს მზე და იანვრის 29-ს დიბნელდეს მთოვარე.

13, უკეთუ იყოს ზედნადები 23-ი მას წელს იყოს ზამთარი თბილი, გრძელი თოვლიანი ავნოს ჯეჯილთა, თაფლი, თივა თხლად იყოს მთათა და ბართა თანასწორ, წლიწადი შიმშილისა და ზედილობისა შავ წლიწადი იყოს აქა თებერვლის 22 და 28 დაბნ. მთვარე გაზაფხული წვიმიანი, თივა ფრიად, სთველი ნოტიო მცირედ.

14, უკეთუ იყოს ზედნადები 4-ი მას წელსა იყოს ზამთარი ხმელი და მოკლე. არამედ მსწრაფლ იქმნას გაზაფხული, თივა ძვირად, მთანი ხჯობდენ ბართა, ღვინო ხილი, თაფლი იპოებოდეს, სთველი ადრე, თესვა კეთილი იყოს ივნისის 7-ს დაბ. მთვარე დეკემბერს 19 დაბნელდეს მზე.

15, უკეთუ იყოს ზედნადები 15-ი მას წელსა იყოს ზამთარი ხმელი და თბილი, ვაზი გახმეს და იფქლთაცა ევნოს, მარტის გასვლიდამ წვიმანი აღტყდეს აპრილიდგან თოვლი და წვიმა აღტყდეს და შემდგომად დათრთვილოს, მაისს თოვლი და წვიმა იყოს ივლისის 25 წვიმოს და გაკოლვენეს, ნაშრომი ბართა კლებულად არამედ ჩრდილონი მთანი სჯობდენ, სთველი მცირე და ნოტიო, თაფლი, ხილი, ხორბალი და ღვინო ზომიერად იყოს, თივა ძვირად.

16, უკეთუ იყოს ზედნადები 26-ი მას წელსა იყოს ზამთარი ცივი და ხმელი მარტის 20 წვიმა და თოვლი, აპრილის 20-ს წვიმა იყოს და მაისის 11-ს მთათა თოვლი დადვას დაწვიმოსცა და სუნი სიცივისა და ყინვისა იქმნას, ნაყოფი დაიცვას, პური და ღვინო დიადი იყოს ნოემბერის 1-ს დაბნელდეს მთვარე და თოვლიცა იყოს.

17, უკეთუ იყოს ზედნადები 7-ი მას წელსა ზამთარი თბილი და გრძელი, ზაფხული კეთილით შეზავებული, ნაშრომთა გათხელება, გაზაფხული თბილი, თივა, ხორბალი მთათა და ბართა თხლად, ხილი, ღვინო უფროსად იყოს; სთველი ნოტიო. აპრილის 7-ს დაბნელდეს მთვარე.

18, უკეთუ იყოს ზედნადები 18-ი მას წელსა იყოს ზამთარი თოვლიანი, ზაფხული მსთვად, ყინვისაგან ვნება იყოს ჯეჯილთათვის, გაზაფხული გრილი იყოს, ასე იყოს ზაფხული კეთილიანი და გრძელი, ხილი დიადი იყოს, სთველი შეზავებული, თაფლი მცირედ, პირუტყვთა სრვა

იყოს, მარტის 26-ს დაბნელდეს მთვარე, ოკტომბრის 19-ს მთათა თოვლი გვიანად მოვიდეს, თივა, პური და ფეტვი მცირედ ზაფხული, და სთველი ხმელი, ადგილ სეტყვა მცირედ, ძროხაცა მოკვდეს.

19, უკეთუ იყოს ზედნადები 29 ანუ 30-ი მას წელსა იყოს ზამთარი თოვლიანი, აპრილის 26-ს წვიმიანი იყვნენ, მაისის 8-ს თოვლმან ავნოს ვენახთა, ხორბალი, თაფლი, ხილი იეფად იყოს, გაზაფხული წვიმიანი, სთველი ხმელი, შეზავებული; აგვისტოს დათრთვილნეს ზეგანნი. ღვინო მცირედ იყოს, მარტის 9-ს და 14-ს დაბნელდეს მთვარე, გაზაფხული გოლვა იყოს, ივნისის დამდეგს იწვიმოს ფრიად, თრთვილმან ავნოს ვენახსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საყოველ-დღეო ცვლილება დარისა 1883 წელს

**იანვარი** 1 თოვლი და ქარი, 4—5—6 თოვლ-ჭყაპი და მოღრუბლული ცა 10—13—15 კარგი დარი, მერე სიცივე, 17—19—20 თრთვილი, 22 მოღრუბლული ცა. 27-დამ თვის ბოლომდე დიდი ყინვა და ქარი.

**თებერვალი** 1 თოვლი, 3 გაწმენდილი ცა. 4—5—6—7 სიცივე, ქარები და წვიმები, 10 ღრუბლიანი დღე და მერე კაი დარი. 15 ქარი, 18 დიდი ყინვა, 19 ქარი, 21 გაწმენდილი ცა და მერე ქარი 25-დამ თოვლ-ჭყაპი და თოვლი.

**მარტი** 1—7 ქარი, სიცივე და მერე გაწმენდილი ცა. 10—12 წვიმა და მოღრუბლული ცა. 13 მოწმენდილი ცა, 15—20-დე არეული ჰაერი, 2—5 სითბო და თოვლი გადნება.

**აპრილი** 1 არეული დღე. 2 ქარი, 3—4 მშრალი ჰაერი, 5 წვიმა. 9 კარგი დარი, 11 ქარი, 12 ყინვა, 16 წვიმა, 19 კარგი დარები, 20 სიცივე და წვიმა 25 კარგი დარები, 28 მზე ანათებს, 29-დამ სიცივეები და ცუდი დარი.

**მაისი** 2 ქარი, 6 სითბო და წვიმა. 8—9 მოღრუბლული ცა. 10 ცხელა, 13 კარგი დარები, ბოლოს ქარი, 17—18 მოღრუბლული ცა. 21—24-დე მშვენიერი დღეები, 26-დამ არეული დღეები.

**ივნისი** 1 მზე ანათებს და თან გრილა, 5 წვიმას აპირებს, მოღრუბლული ცა. 6—10 დე სიცივეები

11—12 წვიმა და მერე მზე. 17—19 სიცივეები და ქარი, 22—27-მდე თბილი დარები და მერე ქუხილი, 29—30 წვიმა და ქუხილი.

ივლისი 2 ქარი, 5 მოწმენდილი ცა და სითბო, 7 წვიმა, 11 სიცივე, 14 დარი. 15—18 სითბო და მზე. 19—20 მოღრუბლული და მერე წვიმა, 21—29-დე მშვენიერი დარები 30—31 დიდი წვიმა.

აგვისტო 1 კარგი დარი, 2 არეული დღე, 10 მოღრუბლული ცა. 11 სიცხე, 10 კარგი დარი, 16 დიდი ქარიშხალი, 20 არეული დღე, 21 ნისლი, 24 ცუდი დღე, 28—29 წვიმები.

სექტემბერი 1 ქარი და ღრუბლები, 11 არეული დღე, 15—19 სიცივე და ქარები, 20 არეული დღე, თვის ბოლომდე კარგი დღეები.

ოქტომბერი 1—2 არეული დღეები, 3 სიცივე და წვიმა, 4 ცუდი დარი, 8 წვიმა, 10—15 კარგი დარები, 18 წვიმები, 19 მოღრუბლული ცა. 21 წვიმა, 25—28-მდე წვიმები და თოვლ-შხაპი.

ნოემბერი 1—3 წვიმები, 5 სიცივე, 12 თოვლი და წვიმა, 21 მოღრუბლული ცა, 25 ქარები, 27-დამ არეული, ცვლილებითი დარები.

დეკემბერი 1 თოვლ-შხაპი, 2 კარგი დარი. 6 წვიმა, 8 ყინვები, 10 სითბო, 15 ქარები, 17 მოღრუბლული ცა და სიცივე, 19—20 ღრუბლები 28 კარგი დარი მერე თვის ბოლომდე თოვლი და წვიმები.

## მნიშვნელობა მარხვათა, საეკლესიო დღეობათა, ქერძო პირის დღეობათა

საქრისტიანო და განსაკუთრებით მართლ-მადიდებელთ სარწმუნოებაში დიდიდი მნიშვნელობა აქვს მ ა რ ხ ვ ე ბ ს. მარხვა გაჩენილია ხორცის და სულისათვის. ამიტომ სამარხვო საჭმელი ხორცზე მოქმედებს, კეთილი და საღვთისნიერო საქმენი სულზე. ზოგნი, მართალია, მარხვას იმით ინახვენ, რომ სახსნილოს არა სჭამენ, მაგრამ მარტო ეს როდია მარხვის შენახვა. აი რას ამბობს დიდი ვასილი: „ხორცს არა სჭამ, მაგრამ ძმას სტანჯავ, ღვინოს არა სვამ, მაგრამ ძმის სისხლსა ღვრი, მარხვას ინახავ ხორციელად, მაგრამ სულით ღმერთსა ჰგმობ, მთელი დღე გათენებიდამ საღამომდე სულ ვაი-ვაგლახში, წეწვა-გლეჯაში და სიცრუეში ხარ გართული. მარხვის შენახვა იმასა ჰქვიან, როდესაც სრული თანხმობაა ხორცის და სულის შორის, არც ხორცი იტანჯება საჭმელ-სასმელით და არც სულ ჰკნდება ავის და ბოროტ-მოქმედებით.“ ასე გვეუბნება საქრისტიანო რჯული, ხოლო ფიზიოლოგიურადაც დიდი მნიშვნელობა აქვს მარხვას, რადგან ერთგვარობა საჭმელისა სხეულსა და სტომაქსა სწყენს ხოლმე. „ვისაც მარხვას შენახვა არ შეუძლიანო ამბობს, იოანე ოქრო-პირი, იმან სულიერად მაინც დაიმსახუროს ღვთის ყურადღება და მიტევება ცოდვებისაო.“

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ს ა ე კ ლ ე ს ი ო დ ღ ე ო ბ ე ბ ს. ყოველი საყდარი და ეკკლესია უსათუოდ აშენებულია ან ღვთის ან რომელიმე წმინდანის სახელობაზე და ამიტომ ისინი უფრო მომეტებულად ზრუნავენ თა-

ვიანთ ეკლესიის და საყდრების მრევლზე. ეკლესიის დღეობა არის იმავე დროს დღეობა იმ მრევლისა, რომელიც იმ ეკლესიაში ლოცულობს და ახლო სდგას.

ამ გვარივე მნიშვნელობა აქვს კ ე რ ძ ო პ ი რ ი ს დ ღ ე ო ბ ა ს ა ც. ის წმინდანი, რომლის სახელსაც ჩვენ ვატარებთ, არის ჩვენი საუკეთესო და ახლო მფარველი.

ესრეთი დღეობა იმავე დროს არის დღეობა ჩვენი მფარველი წმინდანისა. ამიტომ ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს თავის დღეობას, კეთილი და საქველ-მოქმედო საქმის ჩადენით და ცოდვების შენანებით.

## დასახელება იმ დღეთა, როდესაც ქორწილი აღკრძალულია.

არ შეიძლება დაქორწინება, ოთხშაბათების და პარასკევების წინა დღეებს, აგრეთვე კვირას და საზოგადოთ საუფლისო დღესასწაულთა წინა დღეებს. 15 ნოემბრიდამ 6 იანვრამდე, 27 თებერვლიდამ 1 მაისამდე, რადგან ამ დროს ყველიერი და დიდი მარხვა ხდება. მთელი პეტრე-პავლის და საუფლისწულო მარხვის განმავლობაში, იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის, ჯვართამაღლების წინადღეთა:— 26 აგვისტოს 14 სეკტემბერს.

# მოკლე კალენდარი

ამ ცხრილით ადვილად შეიძლება გამოცნობა ამ წლის განმავლობაში რომელ დღეს რა რიცხვი ხვდება, აგრეთვე რამდენი ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას შეიცავს მთელი წლიწადი.

| თვენი | ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი | შაბათი | კვირა | რამდენი კვირაა იანვრიდამ. | რამდენი დღეა იანვრიდამ. | თვენი | ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი. | ხუთშაბათი | პარასკევი | შაბათი | კვირა | რამდენი კვირაა იანვრიდამ | რამდენი დღეა იანვრიდამ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იანვარი | — | — | — | — | 1 | 2 | 3 | 1 | | ივლისი | — | — | — | — | 1 | 2 | 3 | 27 | |
| | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 2 | | | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 28 | |
| | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 3 | | | 11 | 12 | 13 | 15 | 15 | 16 | 17 | 29 | |
| | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 4 | | | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 30 | |
| | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 5 | 31 | | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 31 | 213 |
| თებერვალი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 6 | | აგვისტო | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 32 | |
| | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 7 | | | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 33 | |
| | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 8 | | | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 34 | |
| | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 9 | | | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 35 | |
| | 29 | — | — | — | — | — | — | | 60 | | 29 | 30 | 31 | — | — | — | — | — | 244 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მარტი | — | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 10 | |
| | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 11 | |
| | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 12 | |
| | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 13 | |
| | 28 | 29 | 30 | 31 | — | — | — | — | 91 |
| აპრილი | — | — | — | — | 1 | 2 | 3 | 14 | |
| | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 15 | |
| | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 16 | |
| | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 17 | |
| | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | — | — | 121 |
| მაისი | — | — | — | — | — | — | 1 | 18 | |
| | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 19 | |
| | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 20 | |
| | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 21 | |
| | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 22 | |
| | 30 | 31 | — | — | — | — | — | — | 152 |
| ივნისი | — | — | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 23 | |
| | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 24 | |
| | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 25 | |
| | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 26 | |
| | 27 | 28 | 29 | 30 | — | — | — | — | 182 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სეკტემბერი | — | — | — | 1 | 2 | 3 | 4 | 36 | |
| | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 37 | |
| | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 38 | |
| | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 39 | |
| | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | — | — | — | 274 |
| ოკტომბერი | — | — | — | — | — | 1 | 2 | 40 | |
| | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 41 | |
| | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 42 | |
| | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 43 | |
| | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 44 | |
| | 31 | — | — | — | — | — | — | — | 305 |
| ნოემბერი | — | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 45 | |
| | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 46 | |
| | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 47 | |
| | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 48 | |
| | 28 | 29 | 30 | — | — | — | — | — | 335 |
| დეკემბერი | — | — | — | 1 | 2 | 3 | 4 | 49 | |
| | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 50 | |
| | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 51 | |
| | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 52 | |
| | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | — | — | 366 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უქმეები

რომელსაც სასწავლებლებში—სწავლა და სასამართლოებში—საქმობა არ არის,

| თვე | რიცხვი | დღენი | უქმების დასახელება | თვე | რიცხ. | დღენი | უქმების დასახელება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| იანვ. | 1 და 2 | პარ. შაბ. | ახალი წელიწადი | ივლ. | 22 | პარასკ. | სახელწ. დედოფ. იმპერატრიცისა |
| „ | 6 | ოთხშაბ. | ნათლის ღება უფლისა | აგვ. | 6 | შაბათი | ფერის ცვალება უფლისა |
| „ | 14 | ხუთშაბ. | დღეობა წმ. ნინ. (ქარ. უქმ. დღ.) | „ | 15 | ორშაბ. | მიცვალება წმ. ღვთ. მშობლისა |
| თებ. | 2 | სამშაბ. | მიგებება უფლისა | „ | 25 | ხუთშაბ. | მოგონება კავკასიის დამორჩილ. |
| „ | 26 | პარასკ. | დაბადება იმპერატ. ალექსანდრ. | „ | 29 | ორშაბ. | თავ. კვეთ. წმ. იოანე წინამორბ. |
| მარტ. | 2 | ოთხშაბ. | ტახტ. ასვლა იმპერატორისა | „ | 30 | სამშაბ. | სახელწოდ. იმპერატ. ალექსან. |
| „ | 4 | პარასკ. | ყველიერი დიდი აღების ღამე | სექტ. | 8 | ხუთშაბ. | დაბადება ღვთის მშობლისა |
| „ | 5 და 6 | შაბ. კვ. | | „ | 14 | ოთხშაბ. | ჯვართ ამაღლება უფლისა |
| „ | 25 | პარასკ. | ხარება წმ. ღვთის მშობლისა | „ | 26 | ორშაბ. | წმ. მოციქულ მახარ. იოანესი |
| აპრ. | 21,22,23 | ხუთ. პარ შაბათი | დიდ. ხუთ. წით. პარ. დიდ. შაბ. | ოკტ. | 1 | შაბათი | მცხეთობა. საფ, წმ. ღვთისმშობ. |
| „ | | | | „ | 22 | შაბათი | „ყაზანის“ ღვთისმშობელისა |
| „ | 24—30 | კვირ.-კვ. | აღდგომა ქრისტე ღმრთისა | ნოემ. | 14 | ორშაბ. | დაბადება დედოფ. იმპერატრიც. |
| მაისი | 6 | პარასკ. | დაბადება მემკვიდრე ცესარევიჩ. | „ | 21 | ორშაბ. | საყდართ შესვლა წმ. მარიამისა |
| „ | 9 | ორშაბ. | წმ. ნიკოლოზ საკვირ. მოქმედ. | დეკ. | 6 | სამშაბ. | სახელწოდ. მემკვიდ. ცესარევ. |
| „ | 15 | კვირა | დაგვირგვინება იმპერატორისა | » | 25 | კვირა | შობა ქრისტე ღმრთის |
| ივნ. | 2 | ხუთშაბ. | ამაღლება უფლისა | » | 26 | ორშაბ. | |
| „ | 12—13 | კვ. ორშ. | წმ. სულის, სამება | » | 27 | სამშაბ. | |
| „ | 29 | ოთხშაბ. | წმ. მოციქ. პეტრე-პავლესი | | | | |

# მოძრავი მარხვები და უქმები 1888 წლიდამ 1900 წლამდე

| წელიწადი ქრისტეს შობიდგან. | შობიდამ რავდენ ხანს გაგრძელდება ხსნილი. | | ხორციელის აღება, დიდი მარხვისა. | | ყველიერობისა. | | აღდგომა ქრისტესი. | | ამაღლება უფლისა ჩვენისა. | | რავდენ ხანს გაგრძელდება პეტრე პავლეს მარხვა. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რაოდ. კვირა | რაოდ. დღე. | იანვ. | თებ. | თებ. | მარტ. | მარტ. | აპრ. | მაისი | ივნ. | რაოდ. კვირა. | რაოდ. დღე. |
| 1888 | 9 | 3 | „ | 28 | „ | 6 | „ | 24 | „ | 2 | 1 | 2 |
| 1889 | 7 | 1 | „ | 12 | 19 | „ | „ | 9 | 18 | » | 3 | 3 |
| 1890 | 6 | „ | „ | 4 | 11 | „ | „ | 1 | 10 | » | 4 | 4 |
| 1891 | 9 | „ | „ | 24 | „ | 3 | „ | 21 | 30 | » | 1 | 5 |
| 1892 | 6 | 5 | „ | 9 | 16 | „ | „ | 5 | 14 | » | 4 | „ |
| 1893 | 5 | 3 | 31 | „ | 7 | „ | 28 | „ | 6 | » | 5 | 1 |
| 1894 | 8 | 2 | „ | 20 | 27 | „ | „ | 17 | 26 | » | 2 | 2 |
| 1895 | 5 | 6 | „ | 5 | 12 | „ | „ | 2 | 11 | » | 4 | 3 |
| 1896 | 5 | „ | 28 | „ | 4 | „ | 24 | „ | 2 | » | 5 | 5 |
| 1897 | 7 | 5 | „ | 16 | 23 | „ | „ | 13 | 22 | » | 2 | 6 |
| 1898 | 6 | 4 | „ | 8 | 15 | „ | „ | 5 | 14 | » | 4 | „ |
| 1899 | 8 | 3 | „ | 21 | 23 | „ | „ | 18 | 27 | » | 2 | 1 |
| 1900 | 7 | 2 | „ | 13 | 20 | „ | „ | 9 | 18 | » | 3 | „ |

დღეს აქვს 9 საათი და 31 წუთი ღამეს 14 საათი და 29 წუთი

| რიცხ. | დღე | ქართველთა | სომეხთა | კათოლიკეთა | მთვ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პარ. | † ახალი წელიწ. წინადაცვეთა უფლისა წმ. ვასილი დიდისა | ახალ. წელ. მესამე დღე შობის მარხვისა | ახალ. წელ. წინად. უფლ. | 25 |
| 2 | შაბ. | წმ. სილბის. რომის პაპისა წამებ. თეოგენ. | ალებ. ღამ. შობ. მარხვისა შეიმლება | მაკარ. და ისიდ. | 26 |
| 3 | კვირა | მალაქ. წინასწარმეტყვ. წამებ. გორდისა | | დანიელისა | 27 |
| 4 | ორშ. | კრება 70 მოციქულ. წამებ. ზოსიმესი | თევზ. და ერბოს ჭამა | გრ. და ტიტისა | 28 |
| 5 | სამშ. | წამებ. გრიგოლ. ფეონ. წინადღე ნათლის ღებისა. მარხვაა | (ნავაქასტიკი) | სიმონის და ემილონისა | 29 |
| 6 | ოთხ. | † ნათლისღება უფლ. (უფლის განცხადება) | შობა და ნათლ. ღება უფლისა | ნათლის ღება უფლისა | 30 |
| 7 | ხუთ. | წმ. წინამორბედის და ნათლის-მცემლის იოანესი | მე 2 დღე შობისა (მერელოცი) | ლუციანესი | 1 |
| 8 | პარ. | წმ. აბო თბილელისა, ღირსთ გრიგოლის და ემელიანესი | მე 3, 4, 5, 6, და 7 დღენი შობის და უფლ. ნათლის ღების შემდ. (ნახსტ.) | სევერიანისა | 2 |
| 9 | შაბ. | წამებ. პოლიევკტ. წმ. პეტრესი, ფილიპესი | | მარციანისა | 3 |
| 10 | კვირა | წმ. გრიგოლ და თეოსევ. | 1 კვირა შობიდამ | აგანოტისა | 4 |
| 11 | ორშ. | თეოდოსე დიდ. და მის. | | გოხოროტისა | 5 |
| 12 | სამშ. | წამებ. ტატიანისი, საბასი და პეტრესი | წინადაცვ. უფლ. | არკადიისა | 6 |
| 13 | ოთხ. | წმ. წამებული ერმილე და სტრატონიკისა | ალების ღამე არაჯავარაც. მარხ. | ლეონტისა | 7 |
| 14 | ხუთ. | † მოციქ. სწორ. ნინოსი საქარ. განმანათ. | შობა იოან. წინამორბედისა | ფელიქსესისა | 8 |
| 15 | პარ. | ღირს პავლესი, იოანე მღვიძელისა | მარხვაა | პავლ. და მავრასი | 9 |
| 16 | შაბ. | მოციქ. პეტრესი, თაყვან. ცემა ნეტარ მაქ. | წმ. პეტრესი. | მარცელიასი | 10 |
| 17 | კვირა | ღირს ანტ. დიდ. და სხვ. | ანტ. და ტრიფონ. | ანტონისა | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღეს აქვს 9 საათი და 31 წუთი, ღამეს 14 საათი და 29 წუთი.

| რიცხ | დღე. | ქართველთა | სომეხთა | კათოლიკეთა | მთვ. |
|---|---|---|---|---|---|
| 18 | ორშ. | წმ. ათანასე და კირილეს. | მარხვაა | რომის პეტრ. | 12 |
| 19 | სამშ. | ღირს მაკარის. არსენ. ანტონი მარტყოფელ. | მეფე თეოდოს. | გენრიხისა და მარიასი | 13 |
| 20 | ოთხ. | ღირს ევთიმე დიდისა | მარხვაა | ფაბიანის | 14 |
| 21 | ხუთ. | მაქსიმე აღმსარებელის, ნეოფიტესი | ათანასე და კირილ. | აგნეს. და მევბენ. | 15 |
| 22 | პარ. | მოციქულ. ტიმოთესი, ღირს ანასტასესი | მარხვა | ვიკენტისა | 16 |
| 23 | შაბ. | წმ. წამებ. კლიმენტისა, ღირს გენადისა | კირიაკ. და ივლიტ. | რაიმუნდისა | 17 |
| 24 | კვირა | ღირს დედისა ქსენიასი და მაკედონიისა | ვაჭანისა | ტიმოთესი | 18 |
| 25 | ორშ. | წმ. გრიგოლი ღვთის მეტყველისა | მარხვაა | ანანიასი | 19 |
| 26 | სამშ. | წმ. დავით მე III საქართ. მეფისა, ქსენოფონტ. | გრ. ღვთ. მეტყვ. | პოლიკარპისა | 20 |
| 27 | ოთხ. | გადმოტანა ნაწილ. წმ. იოანე ოქროპირისა | მარხვა | იოანე და და-ციასი | 21 |
| 28 | ხუთ. | ღირს ეფრემ. და პელად. | მარხვაა | კირილესი | 22 |
| 29 | პარ. | გადმოტან. ნაწ. ეგნატ. ყოვლის მტარებელისა | | ფრანცისკოსი | 23 |
| 30 | შაბ. | წმინ. 3 მამა მთავართა: ვასილს დიდ. იოან. ოქროპ. გრ. ღვთ. მეტყველისა | არაჯავორაცის მარხვა მე 3 კვირა შობ | მარტიონისა | 24 |
| 31 | კვირა | საკვირველ. მოქ. კვირ. და იოანესი და წმინ. შიო მღვიმელისა | | პეტრესი | 25 |

რა რიცხვს რა ხარისხის მთვარე ამოდის: 1-ს ახალი მთვარე 9-ს პირველი ხარისხის მთვარე, 17-ს სრული მთვარე 23-ს მეორე ხარისხის მთვარე, 31-ს ახალი მთვარე.

დღეს აქვს 10 საათი და 52 წუთი და ღამეს 13 საათი და 8 წუთი

| რიცხ. | დღე | ქართველთა | სომეხთა | კათოლიკეთა | ძვ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ორშ. | წამებ. ტრიფონისა | პირველი და მეორე დღე არაჯავორ. მარხ. | ევნატესი | 26 |
| 2 | სამშ. | † მიგებება უფლისა | | მიგებება უფლისა | 27 |
| 3 | ოთხ. | სიმეონ ღვთის მიმრქ. ანნა წინასწარ მეტყვ. | მარხვა მოწაფე იომნესი | ცელერინასი ემმასი | 28 |
| 4 | ხუთ. | ღირს ისიდორ, კირილ. | წმ. სერგისა, 14 მხედართა | ანდრ. და იდასი | 29 |
| 5 | პარ. | წამებ. აღათიასი | ქორწინება ნებადართულთა | აგატასი | 30 |
| 6 | შაბ. | წმ. ვუკოლასი, წამებ. იულიანისა | წმ. ავტომიანცის. | დოროტ. ბალდანისა | 1 |
| 7 | კვირა | ღირს პართენისა, ლუკ. | წამ. სუკიასიანც. | კლოტილდასი | 2 |
| 8 | ორშ. | დიდ. წმ. თეოდორე სტრატილატისა, ზაქ. | მარხვა | ლუცია და პავლ. | 3 |
| 9 | სამშ. | წმ. ნიკიფორესი და პანკრატისი | წმ. ვოსკიანცისა | აპოლონიასი | 4 |
| 10 | ოთხ. | წმ. ხარლამპისა, პორფირესი | მარხვაა | ირინეასი | 5 |
| 11 | ხუთ. | წმ. წამებ. ვლასისა, ღირს დიმიტრისა | წმ. ისაკისი | ლიუციასი | 6 |
| 12 | პარ. | წმ. მელეტისა მარია და ევგენიასი | მარხვაა | ეპისკ. პეტრ. | 7 |
| 13 | შაბ. | ღირს მარტინიანისა, სიმეონისა | წმ. მამთ. გევონდიანცის | ეკატერინესი | 8 |
| 14 | კვირა | ღირს კირილესი, ავქსენტისა | მიგებებ. უფლის. | ვალენტინასი | 9 |

1888 წელი **თებერვალი 29 დღე** 1888 წელი

დღეს აქვს 10 საათი და 52 წუთი და ღამეს 13 საათი და 8 წუთი

| რიცხ. | დღ. | ქართველთა | სომეხთა | კათოლიკთა | ძვ. |
|---|---|---|---|---|---|
| 15 | ორშ. | მოც. ონისიმ. ღირს ევსევისა, | მე 5 კვირა შობ. | ფაუსტინასი | 10 |
| 16 | სამშ. | წამ. პამფილესი, პავლ. | დიდი ვართანისა | იულიანისა | 11 |
| 17 | ოთხ. | დიდ. წამ. თეოდორ. მარიამასი | მარხვა | ეპისკ. რილვინ. | 12 |
| 18 | ხუთ. | წმ. ლეონ, რომის პა-პისა და სხვათა | წმ. 150 მამამთავ. | ეპისკ. სილვან. | 13 |
| 19 | პარ. | წმ. მოციქ. ფილიმონ და არხიპისა | მარხვა | გაბინისა და სხ. | 14 |
| 20 | შაბ, | ღირს აგათონ. ლეო-ნისა და სხვათა | წმინდათა | ეპისკ. ლეონ. | 15 |
| 21 | კვირა | ღირსთა გეორგ. ეს-ტატესი და სხვათა | მაცხოვრისა | ელეონორასი | |
| 22 | ორშ. | ღირს ათანასესი წმინ. წამებ. ევგენიისა | მარხვა | მარხვაა | 16 |
| 23 | სამშ, | წმ. წამებ. პოლიკარპ. ღირს იოანესი | მარხვა | პეტრე და მიან. | 17 |
| 24 | ოთხ. | პირველი და მეორე პოვ-ნა თავისა წმ. იოანე ნათლის მცემლისა | ღვთის მშობლისა | ნეცოფორისა | 18 |
| 25 | ხუთ. | წმ. ტარასისა ეპისკოპ. კონსტანტინოპ. | წმინდა თეოდორ. სტრატილ. | კიტოლდისა | 19 |
| 26 | პარ. | წმ. პორფ. და სევასტ. | | ფოლიქსისა | 20 |
| 27 | შაბ. | წმ. პროკოფ. და ტიტ. | კირილესი | ფორტუნატ. | 21 |
| 28 | კვირა | ღირს ვასილისა ნეს-ტორისა, მარინასი | | ლეოსარდისა | 22 |
| 29 | ორშ. | ღირს იოანესი და სხვ. | მარხვა | რომანოზისა | 23 |

8-ს პირველი ხარისხის მთვარე, 15-ს სრული მთვარე, 22-ს მეორე ხარისხის მთვარე, 29-ს ახალი მთვარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს აქვს 12 საათი და 17 წუთი და ღამეს 11 საათი და 43 წუთი

| რიცხ. | დღ. | ქართველთა | სომხეთა | კათოლიკეთა | ძვ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამშ. | წამებ. ქალწულ. ევდოკ. ღირს ნესტორისა | წმინდათა | ადრიანის | 24 |
| 2 | ოთხ. | წამებ. ფეოდოტ. არსენისსი და აგათონ. | მარხვა | ქლენესი | 25 |
| 3 | ხუთ. | წამებ. მეტრიპ. კლეონ. ვასილისკასი | წმ. კირილესი | კორნელისა | 26 |
| 4 | პარ. | ღირს გერასიმესი, პავლესი. ყველიერი | ყველიერი | კაზიმირისა | 27 |
| 5 | შაბ. | ღირსთა კანონის. მარკოზისა, ყველიერი | | თეოფილისა | 28 |
| 6 | კვირა | წმ. 41 წამებ. ერთმათა. ფეოდორისა. დიდი ალების ღამე | დიდი ალების ღამ. | წმ. ვიკტორ. | 29 |
| 7 | ორშ. | ვასილისა, ეფრემისა, ელპიდ. დიდი მარხვ. | მარხვა | წამებ. თომასი | 30 |
| 8 | სამშ. | ღირს ფეოფილ აკტისა დომენტიასი | მარხვა | პეპელეცი | 1 |
| 9 | ოთხ. | წმ. 40 წამებულ. მელიტონ. ლეონტისა, ტარასისა | მარხვა | ცირიონისა | 2 |
| 10 | ხუთ. | წმ. წამებ. კონდრატის. კიპრიანისა | წმ. იოანესი | ლერმანისა | 3 |
| 11 | პარ. | წმ. სოფრონისა, ევთიმესი | მარხვა | კონსტანტინ. | 4 |
| 12 | შაბ. | ღირს თეოფან. გრ. | მარხვა | გრიგოლ დიდ. | 5 |
| 13 | კვირა | გადატ. ნაწ, წმ. ნიკიფ. | მარხვა 1 კვირა | ეკატერინესი | 6 |
| 14 | ორშ. | ღირს ბენედიკტ. ფეოგნოსტისა | მარხვა | მატილდასი | 7 |
| 15 | სამშ. | წამებ. ალაპიასი, ალექსანდრესი, დიონისის. | მარხვა | ლონგინისა | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღეს აქვს 12 საათი და 17 წუთი ღამეს 11 საათი და 43 წუთი

| რიცხ. | დღე | ქართველთა | სომეხთა | კათოლიკეთა | ძვ. |
|---|---|---|---|---|---|
| 16 | ოთხ. | წამებ. საბინისა და სე-რაპიონისა, ლაზარის აღდგენა | მარხვა | იულიანისა | 9 |
| 17 | ხუთ. | ღირ. ალექ. ღვთისნიერ. მაკარისა | | ბოლესლავისა | 10 |
| 18 | პარ. | წმ. კირილესი | | გაბრიელისა | 11 |
| 19 | შაბ. | წმ. ხრისანთის და და-რიასი, ბასასი | | იოსებისა | 12 |
| 20 | კვირა | წმ. იოანესი, სერგისა, იულიანისა, მატრონ. | | ალექსანდრესი | 13 |
| 21 | ორშ. | ღირს იაკობის. თომას | | ბენედიკტისა | 14 |
| 22 | სამშ. | წმინ. წამებ. ვასილისა და იროიდასი | | პავლესი | 15 |
| 23 | ოთხ. | ღირს ნიკოლ. ლიდიას. | | პელაგიასი | 16 |
| 24 | ხუთ. | ღირს ზაქარიას. იაკობ. | წმ. სომეხ. გან-მანათლებ. გრ. ორმოშ. ყოფ | მარკისა | 17 |
| 25 | პარ. | ✝ ხარება ყოვლად წმ. ღვთის მშობლის | | ხარება ღვთის მშობლისა | 18 |
| 26 | შაბ. | გაბრიელ მთავარ ანგე-ლოსის, ირინესი | მარხვა | ემანუილისა | 19 |
| 27 | კვირა | წმ. იოანესი მახუილის | | იოანესი | 20 |
| 28 | ორშ. | ღირს სტეფან. ილარ. ეკსტატესი | | სიკტისა | 21 |
| 29 | სამშ. | ღირსთ, მარკისა, კირ. | | დიმიტრისა | 22 |
| 30 | ოთხ. | ღირს იოანესი, კესარ. ზოსიმესი | მარხვა | კვირინესი | 23 |
| 31 | ხუთ. | წმ. წამებ. იპატისა აპოლონისა | ლაზარის აღდგენ. | ვენიამინისა | 24 |

8-ს პირველი ხარისხის მთვარე 16-ს სრული მთვარე, 22-ს მეო-რე ხარისხის მთვარე, 30-ს ახალი მთვარე.

დღეს აქვს 13 საათი და 49 წუთი, ღამეს 10 საათი და 11 წუთი.

| რიცხ. | დღ. | ქართველთა | სომეხთა | კათოლიკეთა | რიცხ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პარ. | ღირს მარიასი, მაკარ. ევთიმესი | წმ. აზარიასი | თეოდორ. გუდონისა | 25 |
| 2 | შაბ. | ღირს ტიტისა, პოლიკარპისა | ხსოვნა ადამ. განდევნა ედემიდან | პავლესი | 26 |
| 3 | კვირ: | წმ. ნიკიტ. ჩეკტარინასი | ხსოვნა წარღვნის | პლატონისა | 27 |
| 4 | ორშ. | ღირსთ ზოსიმესი გეორგის, იოსებისა | ხსოვნა სოდომ-გომორს დაქცევ. | ისიდორისა | 28 |
| 5 | სამშ. | მარკოსისა, თეოდულას. | მარხვაა | ვიკენტისა | 29 |
| 6 | ოთხ. | წამებ. იერემიასი, ქეტისისა | მარხვაა | ცელესტინას. | 30 |
| 7 | ხუთ. | ღირსთ დანიილისა სერაპიონისა | მარხვაა | რუფიმისა | 1 |
| 8 | პარ. | მოწ. იროდიონ. ფლეგონტისა | მარხვაა | იანუარისა | 2 |
| 9 | შაბ. | წამებ. ევსტიხიისა ვადიმისა | ორმოს ჩაგდება გრიგოლის | მარიამისა | 3 |
| 10 | კვირ | ღირს ტერენტისა, მაქსიმესი | მარხვაა | ლეონისა | 4 |
| 11 | ორშ. | წამებ. მარტინიანისა, | მარხვა | იულიასი | 5 |
| 12 | სამშ. | ღირს ისაკისა, მაიასი დავითისა, | მარხვა | გერმენეგილდასი | 6 |
| 13 | ოთხ. | წმ. არტემონისა, თომაიდასი | მარხვაა | ვალერიანისა | 7 |
| 14 | ხუთ. | წმ. მარტინისა, ანტონ. იოანესი | მარხვა | ანასტასიასი | 8 |
| 15 | პარ. | წამებ. ვასილის. ტროფიმესი | მარხვა | კალიკსტასი | 9 |
| 16 | შაბ. | წამებ. აღაპიასი, ირინესი, სუხიასი | მარხვა | ფორტუნატისა | 10 |
| 17 | კვირა | ✝ბზობა. წმ. სვიმეონ. აღაპიტისა | ბზობა | ნაპოლეონისა | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღეს აქვს 13 საათი და 49 წუთი, ღამეს 10 საათი და 11 წუთი

| რიცხ. | დღ. | ქართველთა | სომეხთა | კათოლიკეთა | ძვ. |
|---|---|---|---|---|---|
| 18 | ორშ. | ღირსთ იოანესი და კორმოსი, ვიკტორ. | მარხვა | მიროსლავისა | 12 |
| 19 | სამშ. | გეორგისა ტრიფონის. იოანესი | მარხვაა | აგნესასი | 13 |
| 20 | ოთხ. | ღირსთ ანასტასიასი თეოდორესი | მარხვა | ევსტასიასი | 14 |
| 21 | ხუთ. | †წმ. წამებ. იანუარიასი დიდი ხუთშაბათი წმ. სერობა | წმ. სერობა | დიდ. ხუთშაბ. | 15 |
| 22 | პარ. | †ვნება ჯვარცმა და დაფლვა იესო ქრისტესი | დიდი პარასკევი | დიდი პარასკ. | 16 |
| 23 | შაბ. | †წმ. დიდი წამებული გიორგისა, წინადღე აღდგომისა | უფლის დასაფლვა | დიდი შაბათი | 17 |
| 24 | კვირა | † წმ. აღდგ. ქრისტ. ლეონტიასი | წმ. აღდგომა | აღდგომ ქრისტესი | 18 |
| 25 | ორშ. | †წმ. მოწ. მარკოზ. მახარობელისა | მეორე დღე აღდგომის | წმ. ორშაბათი | 19 |
| 26 | სამშ. | †წმ. დიდი წამებული ვასილისა | მესამე დღე | მარკოსისა | 20 |
| 27 | ოთხ. | †წმ. მოწ. სვიმეონისა სტეფანესი | მე 4, 5, 6 და 7 დღე აღდგომისა. | კლავდიასი | 21 |
| 28 | ხუთ. | წამებული ზინონისა, ევსევისა და სხვა | | ანასტასიასი | 22 |
| 29 | პარ. | წმ. 9 წამებულთ კიზიკაში. | | კალერიანისა | 23 |
| 30 | შაბ. | წმ. მოწ. იაკობის, წმ დონატესი. | | ეკატერინესი | 24 |

7-ს პირველი ხარისხის მთვარე, 14-ს სრული მთვარე, 21-ს მეორე ხარისხის მთვარე 29-ს ახალი მთვარე.

დღეს აქვს 15 საათი და ღამეს 9 საათი

| რიცხ. | დღ. | ქართველთა | სომეხთა | | კათოლიკთა | ძვ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კვირა | წინასწარმეტ. იერემიასი წამებ. მაკარისა | 7 | | ფილიპესი | 25 |
| 2 | ორშ | წმ. ათანასისა, ბორის. და გლებისა | 8 | დღე აღდგომიდგან | სიგიზმუნდის. | 26 |
| 3 | სამშ. | წამებ. თიმოთეისა მართასი | 9 | დღე აღდგომიდამ | პოვნა წმ. ჯვარ. | 27 |
| 4 | ოთხ. | ქალ. წამებ. პელაგიასი ერაზმასი, ნიკიტასი | 10 | დღენი აღდგომის შემდეგ | პელაგიას. ფლორიანისა | 28 |
| 5 | ხუთ. | ქალ. წამებ. ირინესი, | 11 | | პელეგრინასი | 29 |
| 6 | პარ. | მრავალ. წამებ. იობის. ბარბარესი | 12 | | ბენედიქტისა | 30 |
| 7 | შაბ. | ღირს იოანესი და მისი 12 მოწაფეთა | 13 | | სტანისლავის: | 1 |
| 8 | კვირა | მოციქ. და მახარებელი იოანესი | 14 | | მოვლენა მთავარ ანგელოზ. | 2 |
| 9 | ორშ. | *ღირს შიო მღვიმელ. ნიკოლოზისა საკვირველ. მომქმედ. | 15 | დღენი აღდგომის შემდეგ | გრ. ღვთის მეტყვ. | 3 |
| 10 | სამშ. | სჳმეონი და ილოტის. წამებ ისიდორესი | 16 | | ანტონინისა | 4 |
| 11 | ოთხ. | წმ. კონსტანტინე და მოკიასი | 17 | | იზაბელისა | 5 |
| 12 | ხუთ. | წმ. ეპიფანესი, დიონისისა | 18 | | პანკრატიისა | 6 |
| 13 | პარ. | ღირს ეფთიმესი ქართ. წიგნების მთარგმნელ. | 19 | | იუსტინიანისა | 7 |
| 14 | შაბ. | წმ. მაქსიმესი, სერაპიონისა | 20 | | ბონიფაციასი | 8 |
ეხლა სოხუმში, ფიცუნდაში, კოდორში და წებელდაში თავისუფალ ადგილებზე ან შესყიდვით და სხვა ღონის ძიებით სახლდებიან იქაური მკვიდრნი: აფხაზები და მეგრელები და იმედია რომ ახლოს მომავალში ეხლა დაცარიელებულს ადგილებს ისევ ჩვეულებრივი სიცოცხლე და მოძრაობა დაეტყობა. უფულობა, ეკონომიური სიღატაკე ბევრს უშლის ჩვენ კულტურას სოხუმის ოლქში ფესვების გაშვებას და სწავლა განათლების გავრცელებას.

## ერევნის გუბერნია

არევნის გუბერნია შეიცავს 27822 კვადრატ. კილომეტრს, რომელზედაც სცხოვრობს 610000-მდე სული ორივე სქესისა.

მთელი გუბერნია შესდგება შვიდი მაზრიდამ: 1 ერევნის მაზრა, 2 ნახიჩევნისა, 3 ახალ ბაიზითის, 4 ეჩმიაძინისა, 5 ალექსანდროპოლისა, 6 სურმალინისა, და 7 შარ-დარალაგისა. ამ გუბერნიაში ითესება ბევრი პური და ყოველ წლივ მოდის 25000000 ფუთამდე. ბევრი მოდის აგრეთვე ღვინო და ბამბა, არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს თამბაქოს დაყენებას. საზოგადოთ ერევნის გუბერნია მდიდარია, მაგრამ როგორც სავაჭრო ადგილ მნიშვნელობა არა აქვს.

გუბერნატორი ერევნისა. გენერალ-მაიორი მიხეილ იაკობისძე შ ა ლ ი კ ო ვ ი მისი თანაშემწე ჩ ე ხ ო ვ ს კ ი.

## ელისავეტპოლის (განჯის) გუბერნია.

მთელს გუბერნიაში ირიცხება 43631 კვადრატ, კილომეტრი მიწა, მცხოვრებნი 678000 სული ორივე სქესისა. აქაც მოდის თითქმის 2500000 ფუთი პური. ღვინოს წარმოებას პირველი ადგილი უჭირავს. ყოველ წლივ 5 ან $5^1/_2$ მილიონი ბოთლი ღვინო კეთდება. ბევრი კეთდება აგრეთვე არაყი, რომელიც არა ნაკლებ $2^1/_2$ მილიონი ბოთლისა კეთდება. კარგი შემოსავალი აქვს აგრეთვე აბრეშუმის დაყენებას. საქონლის მოშენებასაც დიდი სარგებლობა მოაქვს ხალხისათვის. მომეტებული $^2/_3$ ნაწილი მცხოვრებთა თათრებია და $^1/_3$ სომხები. აქ არის მრავალ გვარი ქარხნები. გუბერნია შესდგება 8 მაზრიდამ: 1 ელისავეტოპოლისა, 2 ყაზახისა, 3 შუშისა, 4 ზანგეზურისა, 5 ნუხისა, 6 არეშისა, 7 ჯევანშირისა და 8 ჯებრაილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**გუბერნატორი ელისავეტპოლისა** გენერალ-მაიორი თავ. ალექსანდრე დავითისძე ნ ა კ ა შ ი ძ ე, მისი თანაშემწე მ ი ც კ ე ვ ი ჩ ი.

## ბაქოს გუბერნია

ბაქოს გუბერნია შეიცავს 39017 კვადრ. კილომეტრს. სულ მთელს გუბერნიაში ექვსი მაზრაა. 1 ბაქოს მაზრა, 2 ყუბისა, 3 შემახისა, 4 გეოკჩაისა, 5 ჯევათისა და 6 ლენქორანისა. აქ ბევრი მოდის ბრინჯი, განსაკუთრებით გეოკჩაის და ლენქორანის მაზრებში. კარგი შემოსავალი მოაქვს ხალხისათვის შაფრანს. გირვანქა შაფრანი ღირს 5—6 მანეთი, აგრეთვე თამბაქოსაც ბევრი სარგებლობა მოაქვს ხალხისათვის, ღვინოს წარმოება გაზშირებულია შემახის მაზრაში. აყენებენ აგრეთვე არაყს. უმთავრესი ავლადიდება გუბერნიისა არის ნავთი. ბაქოს გუბერნიაში ცხოვრობს 620000-მდე სული. მომეტებული ნაწილი მცხოვრებთა თათრებია, მერე სომხები და მერე რუსები. დიდი შემოსავალი ეძლევა ხალხს თევზის და ხიზილალისაგან.—ადგილებს თევზის დასაჭერად მთავრობა ტორგებით, იჯარით აძლევს ხოლმე და ყოველ წელს იჯარა 600000 მანეთამდის ადის ხოლმე.

**გუბერნატორი** გენერალ-მაიორი გ ი უ ბ შ-ფ ო ნ-გ რ ო ს-ტ ა ლ ი, მისი თანაშემწე ბ ე ნ ი ს ლ ა ვ ს კ ი.

## სტავროპოლის გუბერნია

სტავროპოლის გუბერნიას უჭირავს 88620 კვად. კილომეტრი. ამდენ ადგილზე ცხოვრობს 68200-მდე სული, მომეტებული ნაწილი მცხოვრებთა რუსებია. აქ მოდის ბევრი პური, ყოველი წლის შემოსავალი 25—30 მილიონ ფუთამდე—საქონელი, ცხენები, ძროხა და სხვა ძრიელ იეფია. თი-

თქმის 100 იარმუკები იციან. ამ გუბერნიაში იცის ავადმყოფობა ციებ-ცხელება და სხვა. სხვაფრივ შესამჩნევი არაფერია.

**გუბერნატორი** ნიკიფორაკი ვიცე გუბერნატორი ალექსანდრე ვ ი ს ო ც კ ი.

გუბერნიის მარშალი გენერალ-ლეიტენანტი ივანე პ ო პ კ ო.

## ყუბის ოლქი (округъ)

ყუბის ოლქს დიდი ადგილი უჭირავს და შეიცავს 94412 კვად. კილომეტრს, ამ დიდ ადგილთან დიდი მცხოვრებიც არის. ყუბის ოლქში ითვლება არა ნაკლებ 1250000 სული ორთავე სქესისა. პირველი და უმთავრესი ადგილი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში ეკუთნის მეურნეობას, 3000000 დესეტინა სულ იხვნება და ითესება, ამდენ მიწაზე მოდის ყოველ წლივ არა ნაკლებ 38—40 მილიონი ფუთი პური, მეურნეობის შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს საქონლის მოშენებას. აქ 492 მილიონამდე თავი საქონელი ირიცხება—საქონელს უვლის მთის ხალხი. კარგი შემოსავალი არის აგრეთვე თევზისაგან, ბაღებისაგან. ხალხის მომეტებული ნაწილი რუსებია, მერე მთის ხალხი. შესდგება 7 მაზრებიდამ. 1 თემრუკისა, 2 ეისკისა, 3 ეკატერინოდარისა, 4 მაიკოპისა, 5 ბატალფაშინისა, 6 კავკაზისა და 7 იმიერ ყუბანისა.

**ოლქის მმართველი** გენერალ-ლეიტენანტი ლ ე ო ნ ო ვ ი, ვიცე-გუბერნატორი ნ ი კ ო ლ ი ჩ ი.

## დაღესტნის ოლქი. (областъ).

დაღესტანში თითქმის $3^{1}/_{2}$ ჯერ ნაკლებია მიწა ვიდრე ყუბანის ოლქში—აქ ითვლება სულ 28588 კვად. კილომეტრი, მცხოვრებთა რიცხვი—530000-მდე სული, მომეტებული ნაწილი მცხოვრებთა მთის ხალხია: მერე რუსები დასახლებულნი. პირველი ადგილი ხალხის საეკონომიო ცხოვრებაში უჭირავს ღვინოს წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებას და საქონლის მოშენებას. აქაური ღვინო ბევრი გააქვთ ზღვით რუსეთში. ყოველ წლივ 2000000 ბოთლზე მეტი ღვინო კეთდება. ხვნა-თესვა და მებაღობა გახშირებულია. ბევრს აყენებენ აგრეთვე არაყს. ლეკები უმთავრეს ნაწილს შეადგენენ. მთელს ოლქში 10 მაზრა ითვლება: 1 თემირხანშურისა, 2 გუნიბისა, 3 ყაზიყუმუხისა, 4 ანდიისა, 5 ავარისა, 6 ქაითარ-თაბასარისა, 7 ქიურინისა, 8 სამურისა, 9 დართინქისა და 10 დერბენტისა.

**სამხედრო გუბერნატორი** გენერალ-ლეიტენანტი თავ. ნიკოლოზ ზურაბისძე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, მისი თანაშემწენი გენერალი ფ რ ე ი ე რ ი და პოლკოვნიკი ტ ი ხ ა ნ ო ვ ი

## თერგის ოლქი

თერგის ოლქს უჭირავს 59207 კვადრ. კილომეტრი, მცხოვრებნი 690000-მდე სული ორივე სქესისა, მცხოვრებნი ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას უმთავრეს ყურადღებას აქცევენ, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი საგანი დიდს სარგებლობას აძლევს მთელს ოლქს. თერგის ოლქში ითვლება 8 მაზრა: 1 პიატიგორსკისა, 2 ნალჩიკისა, 3 ვლადიკავკავისა, 4 გროზნენსკისა, 5 ხასავ-იურთისა, 6 ვედენსკის, 7 კიზლიარისა და 8 არგუნისა, მომეტებული ნაწილი მცხოვრებთა მთის ხალხს ეკუთვნის. აქ დასახლებულია ბევრი ყაზახები, რომლებიც სტანიცებში სცხოვრობენ.

**ოლქის უფროსი** გენერალ-მაიორი ს მ ე კ ა ლ ო ვ ი. ვიცე-გუბერნატორი ი ა კ ო ბ ს ო ნ ი.

## ყარსის ოლქი

ყარსის ოლქში ირიცხება 170000 მცხოვრები, მომეტებულს ნაწილს მაჰმადიანები შეადგენენ, მერე სომხები და რუსები, სივრცე ყარსის ოლქისა შეადგენს 336 კვადრატნი მილს. ანუ 882084 დესეტინას. უმთავრესი ყურადღება აქ მიქცეული აქვთ ხვნა-თესვაზე და მართლა რომ ჩინებული შემოსავალი მოაქვს მცხოვრებთათვის.

ყარსის ოლქი შესდგება ოთხი მაზრიდამ. 1 არდაღანის, 2 ოლტისა, 3 ყარსისა და 4 ყაგიზმანისა. ყოველ-წლივ არა ნაკლებ 5 მილიონი ფუთი პური იმკება. მეორე ადგილი უჭირავს საქონლის მოშენებას, მეტადრე მთის ხალხები დიდს ყურადღებას აქცევენ საქონელს ცხვარს, ცხენებს, ძროხას და სხვას.

**ყარსის სამხედრო გუბერნატორი** გენერალ-მაიორი ტ ო მ ი ჩ ი, მისი თანაშემწე პ ე ტ ა ნ დ ე რ ი.

## ზაქათალის ოლქი

ზაქათლის ოლქი მდებარეობს მახლობლად კახეთისა, ალაზნის მარჯვენა მხარეზე და, რა თქმა უნდა, პურის და ღვინოს წარმოებას აქაც პირველი ადგილი უჭირავს. მომეტებული ნაწილი მცხოვრებთა თათრებია, მერე ქართველები. სივრცე ზაქათალის ოლქისა შეადგენს 3988 კვადრ. კილომეტრს. მცხოვრებნი 76500 სული. ბევრი მოდის აბრეშუმი განსაკუთრებით კუხის, ალიაბადის და მუხაიანის მაზრებში. მთელს ოლქში 4 მაზრა ითვლება.

**მაზრის უფროსი** პოლკოვნიკი უ ზ ბ ა შ ე ვ ი, თანაშემწენი კ ო რ დ ე და ტ ო ბ ო ჩ ი ე ვ ი.

## ჩერნომორიის ოლქი

შეიცავს 96 კვად. მილს, მცხოვრები 22000-მდე, მომეტებულს ნაწილს ხალხისას შეადგენენ რუსები, მერე მთის ხალხი. აქ გაშენებულია ვაჭრობა და ქარხნები. ხვნა-თესვას კარგი შემოსავალი შემოაქვს.

**მმართველი ოლქისა** გენერალ მაიორი ნ ი კ ი ფ ო რ ა კ ი თანაშემწე მისი მ ა რ კ ო ვ ი.

## ამიერ კასპიის მხარე.

ამ ადგილის ცნობები ჯერ ვერ მოგვიგროვებია, რაც შეეხება მცხოვრებთ, აფიციალურად ითვლება 45000 სული. ხალხის

საკუთნოთ ყოფა-ცხოვრებაში პირველი ადგილი უჭირავს საქონლის მოშენებას და ხვნა-თესვას..

**იმიერ კასპიის მხრის უფროსი** გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ზესარიონისძე კ ო მ ა რ ო ვ ი.

---

## უმთავრესი მმართველობა რუსეთის იმპერიისა.

ხელმწიფე იმპერატორი სრულიად რუსეთისა **ალექსანდრე III** (დაიბადა 1845 წელს. ტახტზე აბძანდა 1881 წელს 1-ს მარტს.)

ხელმწიფე იმპერატრიცა **მარია ფეოდოროვნა** (დაიბადა 1847 წელს.)

**იმპერატორის შვილები** მემკვიდრე ცესარევიჩი **ნიკოლაი ალექსანდროვიჩი** (დაიბადა 1868 წელს) დიდი მთავრები **გეორგი ალექსანდრესძე, ქსენია ალექსანდროვნა, მიხეილ ალექსანდრესძე** და **ოლგა ალექსანდროვნა.**

**იმპერატორის ძმები და დები,** დიდნი მთავრები **ვლადიმერ ალექსანდრისძე, ალექსი ალექსანდრესძე, სერგი ალექსანდრესძე, პავლე ალექსანდრესძე, მარია ალექსანდროვნა, მეუღლე მის კოროლევის უმაღლესობის პრინცის ალფრედ ერნესტ ალბერტს** ველიკობრიტანიის ღერცოღის ედინბურღისა.

**იმპერატორის ბიძები** დიდი მთავრები **კოსტანტინე ნიკოლაისძე, ნიკოლოზ ნიკოლაისძე, მიხეილ ნიკოლაისძე.**

## სახელმწიფო თათბირი (ГОСУДАР. СОВѢТЪ.)

პრედსედატელი **მ. უ. ვ. კ. მიხეილ ნიკოლაისძე.**

**თავსმჯდომარენი დეპარტამენტებისა:**

**საკანონო დეპარტამენტი — დ. ტ. სოვ. ნიკოლაი.**

სამოქალაქო და სასულიერო საქმეთ დეპარტამენ-ტი—დ. ტ. სოვ. აბაზა.

სახელმწიფო კანცელიარის დეპარტამენტი—დ. ტ. სოვ. პოლოვცევი.

საკუთარი ხელმწიფე იმპერატორის კანცელიარია—მმართველი დ. ტ. ს. ტანეევი

საკუთარი კანცელიარია ხელმწიფე იმპერატრიცისა მმართველი დ. ტ, ს. დურნოვო.

მინისტრების კომიტეტი თავმჯდომარე დ. ტ. ს. ბუნგე.

## სამინისტრონი

საიმპერატორო სასახლისა და ქონებათა—გენერალი ვორონცოვი—დაშკოვი.

სამხედრო სამინისტრო სრული გენერალი მინისტრი —ვანოვსკი.

ზღვის სამინისტრო მ. უ. ვ. კ. ალექსი ალექსანდრი-ძე.

შინაგან საქმეთა სამინისტრო — მინისტრი გრაფი ტოლსტოი, ამხანაგი გაგარინი.

ფინანსთა სამინისტრო—მინისტრი ვიშნეგრადსკი.

სახალხო განათლების სამინისტრო—მინისტრი დე-ლიანოვი.

სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო — მინისტრი ოსტროვსკი.

გზათა სამიმოსვლო სამინისტრო—მინისტრი პო-სიეტი.

საიუსტიციო (სასამართლო) სამინისტრო—მინისტრი მანასეინი.

საგარეშო საქმეთა სამინისტრო—მინისტრი გირსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სახელმწიფო კონტროლი** სახელმწიფო კონტროლიორი **სოლსკი**.

**სინოდი.** თავსმჯდომარე მიტროპოლიტი **ისიდორე** ობერ პროკურორი კონსტანტინე პეტრესძე **პობედონოსცევი.**

**კანცელიარია სინოდისა.** მმართველი **საბლერი.**

**სამიტროპოლიტო** 1, მიტროპოლიტი პეტერბურგისა და ფინლიანდიის **ისიდორე** 2, მიტროპოლიტი კიევისა და გალიციისა **პლატონი** 3, მიტროპოლიტი მოსკოვისა და კალომენისა **იოანიკე.**

---

## სასტატისტიკო ცნობანი რუსეთის იმპერიაზე

რუსეთის იმპერიის იმყოფება ერთი ნაწილი ევროპაში და მეორე აზიაში. რუსეთის იმპერია თითქმის ყველა სახელმწიფოებზე მეტია და მთელი დედამიწის $1/_6$ ნაწილს შეადგენს.

ამ აუარებელ მიწაზე შედარებით სხვა ქვეყნებთან სცხოვრობს მრიელ ცოტა ხალხი. 1872 წელიწადს რუსეთის იმპერიაში ითვლებოდა 104000000 სული ორივე სქესისა.

სივრცე რუსეთის იმპერიისა შეადგენს 19364917 კვადრატ. ვერსტს. ევროპის რუსეთში, თვითონ რუსეთში, პოლშაში, ფინლიანდიაში, მალოროსიაში და ველიკოროსიაში სცხოვრებს 86000000 სული.

აზიის რუსეთში, ციმბირში და შუა აზიის ადგილებში— 11000000 სული. კავკასში სცხოვრობს 7000000 სული ორივე სქესისა.

გვარტომობით მცხოვრები განიყოფებიან ასრე: ირანის ანუ კავკასის ტომი 91520000 სული, მათ შორის სლავიანები 84240000 სული, ლიტვინების ტომი 3640000 სული, ნემცების ტომი 1560000 სული, ბერძნები, რუმინები და სხვა

1040000 სული, სემიტის ტომი—ებრაელები 4160000 სული, მონღოლის ტომი, ფინები, ესტები, ზირები და სხვა 4160000 სული, ოსმალური ტომი 4680000 სული.

სარწმუნოებით განიყოფებიან ა'რე: მართლ-მადიდებელნი 67600000 სული, რასკოლნიკები, სტარო ობრიადები და სხვა სარწმუნოებისანი 11440000 სული, სომხები 1040000 სული, კათოლიკები 8320000 სული, პროტესტანტები 4680000 სული, ებრაელები 4160000 სული, მაჰმადიანები 6240000 სული, კერპის თაყვანის მცემელნი 520000 სული.

## წოდებით განაწილდებიან ა'რე

თავად-აზნაურობა 2085000 სული; სასულიერო 1040000 სული, მოქალაქენი 9360000 სული, სოფლელები 78000000 სული, სამხედრო წოდებისანი 5200000 სული, უცხოელები 15600000 სული და უკანასკნელი პირნი, რომელნიც არც ერთს წოდებას არ ეკუთვნიან 1040000 სული.

რუსეთში ირიცხება 36448 ქარხნები, რომლებშიაც მუშაობენ 968000 კაცი.

რუსეთში ირიცხება 2515 საავადმყოფონი 71000 ლოგინებით, 14000 ექიმი, 2000 აფთიაქები.

რუსეთის იმპერია შესდგება 84 გუბერნიებიდამ, ოლქებიდამ და თემებიდამ.

რუსეთის იმპერიაში მშვიდობიანობის დროს ითვლება 890000-მდე კაცი. ომიანობის დროს მილიონ ნახევარი კაცი, 2025 ზარბაზნები. 339065 ცხენი.

**ფლოტი**· 678 გემი. მათ შორის 30 ჯავშნიანი, 340 გემი ორთქლისა. ყველა ამ გემებზე 29000 კაცი და 2300 ზარბაზანი.

**ვაჭრობა რუსეთ. იმპერიისა.** ყოველ წლივ რუსეთში შემოაქვთ საქონელი 605 მილიონ მანეთისა, გააქვთ 610 მილიონი მანეთისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რკინის გზების სიგრძე** რუსეთის იმპერიისა შეადგენს 36000 ვერსტს. რკინის გზებს ყოველ წლივ შემოაქვთ 215 მილიონი მანეთი.

რუსეთში ითვლება 7000 იარმუკები, რომლების შემოსავალი ყოველ წლივ 450 მილიონი მანეთია.

**ტელეგრაფების სიგრძე** შეადგენს 90000 ვერსტს.

სახნავ-სათესი მიწების სივრცე რუსეთში შეადგენს 250 მილიონ დღიურს.

**დასახლებული ადგილები რუსეთის იმპერიაში:** დედა ქალაქები 2, საგუბერნიო ქალაქები 95, სამაზრო ქალაქები 730, ზაშტატნი ქალაქები 470, დაბები და სოფლები 550000.

**დიდი ქალაქები რუსეთის იმპერიისა** სანკტ-პეტერბურ-ლი 929000 სული, მოსკოვი 755000 სული, ვარშავა 265000 სული, ოდესა 210000 სული, ყიშინიოვი 130000 სული, რიგა 109000 სული, კიევი 127000 სული, სარატოვი 109000 სული, ტაშქენტი 100000 სული, თბილისი 104000 სული, ხარკოვი 129000-მდე სული, ყაზანი 135000-მდე სული.

**სასწავლებლები რუსეთის იმპერიაში** ითვლება უმაღლესი სასწავლებლები 40—რომლებშიაც სწავლობენ 17000 მოწაფე, საშუალო სასწავლებლები 400—70000 მოწაფეებით, დაბალი და პირველ დაწყებითი სასწავლებლები 28000—2 მილიონი მოწაფე.

სასწავლებლებზე ყოველ წლივ იხარჯება 34864000 მანეთი (ამ ფულში ზემსტვოც იღებს მონაწილეობას).

ჯარზე ყოველ წლივ იხარჯება 99000000-მდე მანეთი.

---

## მოკლე აღწერა ქვეყნიერობისა

ხმელეთს მთელს დედა მიწის ზურგზე უჭირავს ერთი მეოთხედი ნაწილი. ზღვებს და წყლებს 3/4 ნაწილი.

მთელს დედა-მიწაზე ითვლება 1475000000 სული ორივე სქესისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შორის ევროპაში ირიცხება 330000000 სული ორივე სქეს.

| | | |
|---|---|---|
| აზიაში . . . | 836375000 | — — — |
| აფრიკაში . . | 205000000 | — — — |
| ამერიკაში . . | 99000000 | — — — |
| ავსტრალიაში . | 4200000 | — — — |
| სულ . . | 1475575000 | სული |

გვარ-ტომობით განაწილდებიან ასრე:

| | | |
|---|---|---|
| ინდო-ევროპიელნი ანუ კავკასიელთა | 400000000 | სული |
| მონღოლთა . . | 599375000 | — |
| მალაიელთა . . | 200000000 | — |
| ეფიოპელთა . . | 200000000 | — |
| და სხვა და სხვა ტომისა | 75200000 | — |
| სულ | 1475575000 | სული |

სარწმუნოებით განაწილდებიან ასრე:

| | | |
|---|---|---|
| კატოლიკები. . . | 212000000 | სული |
| პროტესტანტები. . | 124000000 | — |
| მართლმადიდებელნი. | 106000000 | — |
| მაჰმადიანები . . . | 200000000 | — |
| ბრამინები . . . | 163000000 | — |
| ბუდისტები. . . . | 123000000 | — |
| ებრაელები . . . | 9000000 | — |

და დანარჩენები სხვა და სხვა სარწმუნოებისანი.

---

ყოველ წელიწადს მთელ ქვეყანაზედ კვდება 33000000 სული, ესე იგი ყოველ დღეს 96000 კაცი, ყოველ საათში 3730 კაცი, ყოველ წუთში 60 კაცი და ყოველ წამში 1 კაცი.

ყოველ წელიწადს იბადება 42500000 სული, ასე რომ ყოველ წელიწადს მცხოვრებთა რიცხვი ქვეყანაზე მატულობს 9500000 სულამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ წლივ მთელ ქვეყანაზე 82500000 ქორწინება ხდება ესე იგი ყოველ ას ოც კაცში ერთი ქორწილი ხდება.

მთელს ქვეყნიერობაზე 1000 რჯულზე მეტი ითვლება.

მთელს დედამიწაზე 3600-ზე მეტი ენები არის.

ორთა შუა რიცხვს ადამიანის ხანგრძლივობისას შეადგენს $33\frac{1}{2}$ წელი.

100 კაცში 60 წლამდე სძლებს მხოლოდ ექვსი კაცი.

500 კაცში 80 წლამდე სძლებს მხოლოდ ერთი კაცი.

1000 კაცში 100 წლამდე სძლებს მხოლოდ ერთი კაცი.

## ევროპის უმთავრესი ენები

### ინდოელების ოჯახის

| | | | |
|---|---|---|---|
| ინდოელები . . | 270000000 | ციგნები . . | 1000000 კაცი |

### სპარსეთის ოჯახის

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარსული და თაჯიკური . . . . . | 10000000 | ლურის და ქურთეზის . . . | 1500000 — |
| ოსური . . . . | 70000 | ჩაჩნური . . | 220000 — |
| ავღანური და ბელუჯური . . . . . . | | | 7000000 — |

### კავკასიის ოჯახის

| | | | |
|---|---|---|---|
| ქართული . . . | 1060000 | ლაზური . . . . | 36000 — |
| სომხური . . . . | 860000 | ჩერქეზული . . . | 400000 — |
| მეგრული . . . | 220000 | ლეკური . . . . | 400000 — |
| სვანური . . . | 29000 | აფხაზური . . . | 260000 — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბერძნულ-ლათინური ოჯახის

| | | | |
|---|---|---|---|
| ბერძნული. . . | 4000000 | ფრანგული. | 42000000 კაცი |
| ალბანიური. . . | 3000000 | ესპანიური . | 20000000 — |
| იტალიური . . | 3000000 | პორტუგალიური | 5000000 — |
| რომანული . . | 500000 | რუმინული. | 9000000 — |

### კელტური ოჯახის

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრეტონული | 2500000 კაცი, | შოტლანდიური | 2000000 — |
| ველისური | 1000000 — | ირლანდიური | 6000000 — |

### გერმანიული ოჯახის

| | | | |
|---|---|---|---|
| გერმანიული | 50500000 კაცი | სვედური | 4000000 — |
| ჰოლანდიური | 4300000 — | ისლანდიის | 2000000 — |
| ფლამანდიური | 4000000 — | ინგლისური | 30000000 — |
| დანიური . . . . . . . . . . | | | 2000000 — |

### ლიტვის ოჯახის

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიტვინური | 2000000 კაცი | ლივონური | 1000000 — |
| უკრული . . . . . . . . . . | | | 1000000 — |

### სლავიანურის ოჯახის

| | | | |
|---|---|---|---|
| რუსული | 64000000 კაცი | ვენდური | 2000000 — |
| პოლშური | 16000000 — | სერბული | 8000000 — |
| ჩეხური | 8000000 — | ბოლგარული | 7000000 — |

### ბასკის ოჯახის

ბასკური . . . . . . . 1000000 —

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სიმეთის ოჯახისა

არაბული . 600000 კაცი ებრაული . 6000000 კაცი

### ბერბერულის ოჯახისა

მავრული (ზანგური) . . . . . . . . . 120000 —

### თათრულის ოჯახისა

| | |
|---|---|
| თათრულ (მონღოლიური) . . . . . . | 1000000 — |
| ოსმალური . . . . . . . . . . . . | 2500000 — |
| თურქული . . . . . . . . . . . . | 2000000 — |

### ურალ-ფინიურის ოჯახისა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფინიური . | 2000000 | კაცი | ესტური . | 1000000 | — |
| ლაპონიის . | 600000 | — | ვენგრიული. | 7000000 | — |
| ესტიაკური . | 500000 | — | ვოგულური | 1000000 | — |
| ჩერემისული | 800000 | — | მარდვინული | 700000 | — |
| ჩუვაშური . | 1000000 | — | პერმული . | 600000 | — |
| სამოედური . | 2000000 | — | | | |

## რომელ ქვეყანაში რამდენი მცხოვრებია

| | | | |
|---|---|---|---|
| ავსტრო-ვენგრიაში | 42 მილ. | ნიკარაგუაში | 12 მილ. |
| ბელგიაში | 7 — | მექსიკაში | 1 — |
| არგენტინის რესპუბლიკა | 2½ — | პარაგვაიში | 2 — |
| ბოლივიის რესპუბლიკა | 2½ — | პერუში | 4 — |
| ბრაზილიაში | 13 — | პორტუგალიაში | 10 — |
| ბოლგარიაში | 5 — | რუსეთში | 94 — |
| გაიტის რესპუბლიკა | 1 — | რუმინიაში | 6½ — |

| | | | |
|---|---|---|---|
| გვატემალაში | 2 მილ. | საბერძნეთში | $2^1/_2$ მილ. |
| გერმანიაში | 50 — | სათათრეთში | 35 — |
| დანიაში | $2^1/_2$ — | სერბიაში | 7 — |
| ეგვიპტეში | 6 — | საფრანგეთში კოლონიებ | 95 — |
| ესპანიაში | 18 — | სვედია-ნორვეგიაში | $6^1/_2$ — |
| ვენესუელაში | 3 — | სპარსეთში | $5^1/_2$ — |
| იაპონიაში | 43 — | ღოლანდიაში | 4 — |
| ინგლისში | 37 — | ღონდურიაში | 800 ათასამდე |
| ინდოეთში | 180 — | ჩერნოგორიაში | 500 ათასამდე |
| იტალიაში | 31 — | ჩინეთში | 500 მილიონამდე |
| კანადაში | $4^1/_2$ — | ჩილის რესპუბლიკაში | 2 მ—დე |
| კოლუმბიაში | $3^1/_2$ — | შეერთებულ შტატებში | 42 — |
| ლიბერიაში | 1 — | შვეიცარიაში | 3 — |
| მაროკოში | $3^1/_2$ — | | |

## ქვეყნიერობის განაწილება მმართველობად:

### I სრულიად უმართველო ხალხები იმყოფებიან

ევროპაში სამოედები, აზიაში ოსტიაკები, ტუნგუზები, ჩუკჩები, კამჩადალები და სხვა ციმბირის ხალხები, აფრიკაში ჰოტენტოტები, კაფრები და სხვა ნეგრები, ამერიკაში ესკიმოსები, ინდოელები, ავსტრალიაში ავსტრალიის ნეგრები—პაპუასები.

### II სრული თვით მპყრობელობის მმართველობანი

აზიაში მალია, კოკანდი, კაშგარი, აფრიკაში ღამეშის, მარროკო, სენეგამბია, სუდანი, გვინეია, მადაგასკარი.

### III თვითმპყრობელობის მართველობანი დაწესებულის კანონებით

ევროპაში. რუსეთი, ოსმალეთი, აზიაში სპარსეთი,

ავღანისტანი, ქელატი, ბუთანი, ნიპალი და სხვა. ბირმანი, ანამი სიამი, ჩინეთი და იაპონია.

## IV კოლონიები

ინგლისის კოლონიები, საფრანგეთის, ესპანიის, პორტუგალიის, ჰოლანდიი'ს, დანიის და გერმანიისა.

## V საკონსტიტუციო მმართველობანი

ევროპაში. გერმანიის იმპერია, ავსტრიისა, ჰოლანდიისა, ბელგიისა, დანიისა, სვედია და ნორვეგიისა, პორტუგალიისა, ინგლისისა, იტალიისა, საბერძნეთისა, სერბიისა, რუმინისა, ჩერნოგორიისა. აფრიკაში ინგლისის კოლონიები, ამერიკაში ბრაზილიის იმპერია, ავსტრალიაში სანდვიჩეივს კუნძულები, ინგლისის კოლონიები.

## VI რესპუბლიკა

ევროპაში საფრანგეთი, შვეიცარია, აზიაში, ანდორა, სანმარინო. აფრიკაში ორანჟისა, ლიბერისა, ტრანსვალისა, ამერიკაში შეერთებული შტატები, მექსიკა, გვატემალა, სანსალვადორი, ჰონდურა, ნაკარარაგუა, კოსტა-რიკა, ვენესუელა, კოლუმბია, ეკვადორი, პერუ, ბოლივია, ჩილი, პარაგვაი, არგენტინა, ურაგვაი, გაიტი და სან-დომინგო.

## უმთავრესი და უდიდესი ქალაქები ქვეყანაზე

ათონა, ბერლინი, ბელგრადი, ბრიუსელი, ვარშავა, ვაშინგტონი, ბუხარესტი, ვენა, ვენეცია, გააგა, დუბლინი, დრეზდენი, ჟენევა, სტამბოლი, იედო, კალკუტა, კოპენგაგენი, ლიონი, ლისაბონი, ლონდონი, მექსიკა, მადრიდი, მოსკოვი, ნეაპოლი, პეტერბურგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლონდონში ითვლება $4^1/_2$ მილიონამდე მცხოვრები, პეკინში 5 მილიონამდე, პარიზში 3 მილიონამდე, ვენაში $1^1/_2$ მილიონამდე, ბერლინში $1^1/_2$-მდე სტამბოლში 1 მილიონამდე, პეტერბურღში 1 მილიონამდე, ნეაპოლში $^1/_2$ მილიონამდე, მოსკოვში 1 მილიონამდე.

---

მთელს ქვეყანაზე ტყეებს უჭირავთ 5500000-მდე ვერსტი. მთელს ქვეყანაზე სახელმწიფოებზე ითვლება ვალი 90 მილიარდი მანეთი.

მთელი ქვეყნის რკინის გზები ღირს 50 მილიარდი მანეთი. ტელეგრაფის სიგრძე მთელ ქვეყანაზე შეადგენს 1850000 ვერსტს. ყოველ წლივ მთელს დედამიწაზე იგზავნება $19^1/_2$ მილიონამდე ტელეგრამმა.

უნივერსიტეტები მთელს ქვეყანაზე ითვლება: რუსეთში 9, იტალიაში 21, გერმანიაში 20, საფრანგეთში 14, დიდ ბრიტანიაში 12, ესპანიაში 10, ჰოლონდიიში 3, შვეიცარიაში 3, შვეციაში 2, რუმიანაში 2.

ყოველ წლივ მთელს დედმიწაზე გამოიცემა 86400 ჟურნალ-გაზეთი, რომელიც იბეჭდება 670000000 ეკზემპლიარად.

ყოველ წლივ მთელს ქვეყანაზე ფოსტაში გადის 1164000000 ბარათები, ამდენი წერილები გასულია 153000 საფოსტო დაწესებულებაებში.

---

## მოკლე სამეცნიერო ცნობანი დედა-მიწაზე და ცაზე.

პირველ შეხედვით დედა მიწა ჩვენ გვეჩვენა ფართო ან ვრცელი მეიდნად, მაგრამ, დავაკვირდებით თუ არა გონების თვალით, სულ წინაალმდეგს ვნახავთ. სანამ დედა მიწაზე ვიტყოდეთ რასმეს, მოვიგონოთ რა არის დედა მიწის გარშემო.

იმ სივრცეს, რომელიც ფარგალივით ჰსაზღვრავს ზეციურს კამარას და რომლის იქით კაცი ვერაფერს ხედავს—

ჰქვიან ჰორიზონტი. იმ მხარეს ჰორიზონტისას, საიდამაც მზე ამოდის ჰქვიან აღმოსავლეთი, სადაც ჩადის—დასავლეთი, სადაც შუადღისას იმყოფება მზე—სამხრეთი და ამ მხრის პირდაპირ მხარეს—ჩრდილოეთი.

როგორც წინეთ ვსთქვით დედა მიწა ვრცელ მოედნად წარმოგვიდგება თვალწინ, მაგრამ მეცნიერების და გონივრულის გამოკვლევით დამტკიცდა, რომ დედა მიწა ბურთივით მრგვალია. ამ თეორიას ბევრი დასამტკიცებელი საბუთები აქვს, მაგრამ ჩვენ ყველას ვერ გამოვუდგებით,—მოვიყვანთ მხოლოდ ისეთებს, რომელნიც ყველასათვის ადვილი გასაგები და დასანახავია. ა) მგზავრნი, რომელნიც გამოსულან ერთ რომელსამე ადგილიდამ და სულ წინ და პირდაპირ დაუქერიათ გზა, ისევ იმ ადგილას მოსულან საიდამაც პირველად გამოემგზავრენ. ასეთი მოვლენა მხოლოდ მრგვალ ნივთზე შეიძლება. ბ.) ალიონზე მზე რომ ამოდის ხოლმე თავდაპირველად მზის სხივები ანათებენ მთის და ხის წვერებს, შენობების უმაღლეს ნაწილებს ანათებენ, ამ გვარადვე ანათებს მზე თავის ჩასვლის დროს. ეს გარემოება აშკარად ამტკიცებს მიწის სიმგრგვალეს ამიტომ რომ მხოლოდ მგრგვალი ნივთზე შეიძლება ასეთი მოვლენა; მიწა ფართო რომ ყოფილიყო მაშინ მზე ყველა დედა მიწის ნაწილებს, ხის, მთის და სხვა მრავალ მაგ გვარ გრძელ საგნების ძირს, შუა ტანს და წვეროს ერთბაშად გაანათებდა. ამ რიგათ მიწა ბურთივით მრგვალია, ხოლო ზევით და ქვევით (ჩრდილოეთ-სამხრეთისაკენ) ცოტათი შეწეულია და გვერდები კი უფრო გამობერილი აქვს. მიწას აქვს ორ გვარი მოძრაობა ერთი თავის ღერძის გარშემო და მეორე მზის გარშემო. დედა მიწის ღერძს უწოდებენ იმ გონებაში წარმოდგენილ ხაზს, რომელზედაც დედა მიწა ტრიალებს. ზევით შეწეულს ნაწილს დედა მიწისას ანუ ღერძის თავს უწოდებენ ჩრდილოეთის პოლიუსს ხოლო ქვემო შეწეულ ნაწილს ანუ ღერძის ქვემო თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწოდებენ სამხრეთის პოლიუსს. დედა მიწის შუა ტანს ანუ გამობერილ ნაწილებს ჰქვიან ეკვატორი. დედა მიწა თავის ღერძზე შემოტრიალებას ანდომებს 24 საათს ანუ ერთს დღე-ღამეს—ამიტომ ამგვარ მოძრაობას ჰქვიან დღეური ბრუნვა, ხოლო მზის გარშემო შემოტრიალებას დედა მიწა ანდომებს $365^1/_2$ დღეს—ამიტომ ამ გვარ მოძრაობას ჰქვიან წლიური ბრუნვა.

დედა მიწა თავის ტრიალის დროს ხან ერთს გამოწეულ გვერდს მიუშვერს მზეს, ხან მეორეს, იმიტომ ეკვატორებზე ძრიელ ცხელა ხოლმე. თავის გარშემო დედა მიწა დასავლეთით აღმოსავლეთისაკენ ტრიალებს. მზე იმ მხარეს უნათებს მიწას, რომელიც იმისაკენ მიშვერილია. ზოგს გაუკვირდება: მიწა რომ ტრიალებს ჩვენ როგორ ვერ ვიგრძნობთო. ამის პასუხად აი რას მოგახსენებთ. დედა მიწა ისეთი დიდია ჩვენთან შედარებით რომ ადამიანის გონება ვერც კი წარმოიდგენს ამ განსხვავებას, ამიტომ. რა თქმა უნდა, ჩვენი ვერც თვალი და ვერც გრძნობა ვერ ამჩნევენ მიწის ტრიალს, და ესეც რომ არ იყვეს, დედა მიწის ტრიალი ისეთი სწრაფია, რომ ადამიანს მისი დანახვა ვერასფრით ვერ შეუძლიან. ეხლა მოვიყვანთ ერთს მაგალითს. თქმა არ უნდა ყოველს ჩვენ მკითხველთაგანს უეჭველად მოხდენია როდისმე ან ზღვის ორთქლის გემით ან რკინის გზით მოგზაურობა. როცა რკინის გზის მაშინა სწრაფად მიდის მაშინ თუ ფანჯრებში გამოგიხედნიათ, უეჭველია, შეამჩნევდით ასეთს უცნაურს მოვლენას: ყოველისფერი, რასაც კი თქვენი თვალი მისწვდება, საშინელის სისწრაფით გარბის; ხეები, ქვები, მთები და მდინარეები თითქოს სულდგმულნი იყვნენო ისე გარბიან, მაგრამ როცა დააკვირდებით ადვილად მიხვდებით, რომ გარშემორტყმული საგნები კი არა თქვენ ორთქლის მატარებელით ერთად გარბიხართ და გარშემორტყმული საგნები თავისთვის სდგანან. თუ რკინის გზის მატარებელის სისწრაფე ანუ ორთქლის

გემისა, ასე ატყუილებს ჩვენს თვალს და გრძნობას, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ყოვლად შეუძლებელია დანახვა დედა მიწის ტრიალისა. ჩვენ გვგონია, რომ ტრიალებს მზე და არა დედა მიწა, მაგრამ ეს მხოლოდ თვალის და გრძნობის მოტყუებაა. ტრიალებს დედა მიწა და ჩვენც მის ზურგზე მცხოვრებნი და არა მზე, რომელიც თავის ადგილას არის გაჩერებული დაუნძრეველად.

მზის გარშემო მიწის ბრუნვისაგან წარმოსდგება დღის და ღამის უთანასწორობა და წლიური დროთა ცვლილება.

იმ ნაწილებში დედა მიწისას, რომელთაც მზე ანათებს —დღეა და იმის პირდაპირ მეორე მხარეზე -ღამეა. ამ რიგათ როცა ჩვენში დღეა, ამერიკაში ღამეა. მაგრამ მარტო ამით როდი თავდება მიწის ბრუნვა. დედა მიწა ხან ჩრდილოეთისკენ იწევა ხან სამხრეთისაკენ. აქედან ის წარმოსდგება რომ მზე ხშირად ვერ ანათებს სრულიად ერთს რომელსამე ნახევარ მხარეს, არამედ ნახევრის ორ მესამედს, აქედამ წარმოსდგება მეტ-ნაკლებობა დღისა და ღამისა, აქედან— მეტნაკლებობა სითბოსაგან ახდენს წლიურ დროთა ცვლილებას: როდესაც დედა მიწის სამხრეთი გვერდია მიშვერილი მზის სხივებისაკენ, მაშინ ყველა სამხრეთ ქვეყნებში გაზაფხული და ზაფხულია, ჩრდილოეთის ქვეყნებში კი ამ დროს შემოდგომა და ზამთარია.

მზის გარშემო ტრიალის დროს დედა მიწას ჩრდილოეთის პოლიუსი ზევით აქვს მიქცეული, სამხრეთი პოლიუსი კი ქვევით. ამიტომ მზე ყოველთვის პირ და პირ დაჰყურებს მხოლოდ დედა მიწის შუა წელსა ან გამობერილ ნაწილებს და ამიტომ ამ ადგილებში ძრიელ ცხელა ხოლმე, ხოლო ეკვატორის და პოლიუსის შუა ადგილებში ზომიერი ჰავაა— პოლიუსებთან კი სიცივე.

• დედა მიწიდამ მზემდი 138575000 ვერსტია. ეს ისეთი სიშორეა რომ კაცის გონებას უძნელდება ამის წარმოდგენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ ასეთს მაგალითს მოვიყვანთ. მზიდამ რომ ზარბაზნის გასროლა შეიძლებოდეს და ზარბაზნის ყუმბარა ერთს წუთში $1^{1}/_{2}$ ვერსტს გაჰქროდეს, მაშინ ზარბაზანის ყუმბარა ჩვენს დედა მიწას 12 წელიწადის შემდეგ მოაღწევდა.

სიგრძე დედა მიწისა 11990 ვერსტია, სიგანე 12025 ვერსტი, ირგვლივ 37800 ვერსტი. დედა მიწის პირი (წყლებიც და ხმელეთიც) შეადგენს 9261238 კვადრატ. მილსა. წონა დედა მიწისა 2650184445 კუბიკური მეტრს ედრება.

მზე ისეთივე მანათობელია, როგორც ჩვენი დედა მიწა ისეთივე მრგვალია, ხოლო სიდიდით მიწას 320000 ჯერ აღემატება, სხვა პლანეტებს კი 800 ჯერ. საზოგიდოთ მზე ყველა მანათობელზე შესანიშნავია, იგი აძლევს დედა მიწას სინათლეს სითბოს (სიცოცხლას). მზეს ისეთი აუწერებელი სიდიდე აქვს რომ მის ირკვლივ რკინის გზა რომ გაკეთდებოდეს და ამ გზაზე მატარებელი გაშვებულიყო საათში 50 ვერსტის სისწრაფით მაშინ მზის განვლას 9 წელიწადი დასჭირდებოდა და მიწის განვლას კი ერთი თვე.

ვარსკვლავები იმ გვარივეა სიდიდით როგორც მზე და თუ ჩვენ ისინი ცოტად გვეჩვენებიან ეს იმიტომ ხდება, რომ ვარსკვლავნი უფრო დიდად არიან მოშორებულნი მიწისაგან ვიდრე მზე და მთვარე. მეცნიერების გამოანგარიშებით ვარსკვლავთ რიცხვი 20 მილიონს აღემატება. ვარსკვლავის სხივი ერთს წუთს რომ 275000 ვერსტს გარბოდეს ჩვენი დედა მიწისაკენ მაინც იმ სხივების მოღწევას დასჭირდებოდა არა ნაკლებ 1000 წელიწადისა. ვარსკვლავებსაც როგორც მზეს საკუთარი პლანეტები ახლავთ.

პლანეტები და კომეტები ეწოდებიან ისეთს სხეულებთ ზეციურისას, რომელნიც მზესავით ანათებენ. პლანეტებს და კომეტებს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ უკანასკნელნი ჰგვანან კუდმობმული ზარბაზნის ყუმბარებს. ამის გარდა პლანეტები იქცევიან თავის ღერძის გარშემო,

კომეტები კი არა.—უმთავრესი პლანეტები: მერკური, ვენერა, დედა მიწა, მთვარე, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი და ნეპტუნი.

*მთვარე.* ესეც პლანეტად ითვლება და ყველა პლანეტებზე უფრო მახლობელია დედა მიწასთან. დედა მიწა და მთვარე ისე ახლო არიან ერთი მეორესთან რომ რკინის გზით საათში 50 ვერსტის სისწრაფით 9 თვეში შეიძლებოდა მთვარიდამ მიწაზე ჩამოსვლა. ყველა ცის მნათობთა შორის მხოლოდ მთვარე ბრუნავს დედა მიწის გარშემო, სწორედ ისე როგორც თვითონ დედა მიწა ბრუნავს თავის ღერძის გარშემო და ამიტომ მთვარეს ეძახიან მიწის თანა მოგზაურს. მთვარე დედა მიწას გარშემო შემოუტრიალებს 27 დღე და 8 საათის განმავლობაში,

თავის ბრუნვის დროს მთვარე სხვა და სხვა ადგილს იჭერს ხოლმე მზის და დედა მიწის შორის—აქედან წარმოსდგება მოვლენა *ახალი მთვარისა.* იმ დროს როცა მთვარე დედა მიწის და მზეს შუა მოიქცევა, მაშინ რა თქმა უნდა ის მხარე ექნება მთვარეს განათებული, რომელიც მზისაკენ აქვს მიშვერილი, დედა მიწისაკენ მოშვერილი ბნელი ექნება. როდესაც მთვარე დედა მიწის გვერდით არის, მაშინ ჩვენ ვხედავთ მთვარის იმ ნახევარს, რომელიც მზისაკენ არის განათლებული და ამასა ჰქვიან *პირველი* და *მეორე ხარისხის მთვარე*, და როდესაც მთვარე დედა მიწის უკან მოიქცევა მაშინ მზე იმ გვერდს უნათებს მთვარეს რომელიც მიწისაკენ აქვს მოშვერილი ეს იქნება *სრული მთვარე.*

*მზის დაბნელება* მაშინ წარმოსდგება, როცა მთვარე მზის და მიწის შუა მოიქცევა და ამ რიგათ მზის სხივებს და სინათლეს არ აკარებს—ესე იგი ჩრდილავს. *მთვარის დაბნელება*—მაშინ როდესაც მთვარე დედა მიწის ჩრდილს ამოეფარება და მზე აღარ ანათებს.

# ფოსტა

ყველა სახელმწიფოებში დაწესებულია წიგნების, პართიების გაზეთ-ჟურნალების და სხვა მრავალ გვარ ნივთების გაგზავნა-გამოგზავნისთვის ეგრედ წოდებული „ფოსტა“

ფოსტით გასაგზავნი ბარათები და სხვა განიყოფებიან ასრე: ჩვეულებრივნი და დაზღვევებულნი **(простое и страховое)**

ჩვეულებრივს ეკუთვნიან ისეთი ბარათები და პოსილკები, რომლებშიაც ინახება უბრალო წერილები დაბეჭდილნი და დაუბეჭდავნი. პოსილკები ბანდეროლით და უფასო პოსილკები.

ამის გარდა არიან ეგრედ წოდებულნი საქალაქო და გარეშე საქალაქო წერილები; არიან აგრეთვე ზაკაზნოი წერილეებიც

ჩვეულებრივი წერილები. ყოველ წერილის კონვერტზე უეჭველად უნდა იყვეს ადრესი მიმღები პირისა და აგრეთვე გამგზავნისა რადგან ხშირად ხდება, რომ ადრესს ვერ პოულობენ და წერილი ისევ უკან უბრუნდება გამგზავნ პირს. წონა ჩვეულებრივი წერილისა არ უნდა აღემატებოდეს 3 მისხალს და თუ მეტი იქნება, უნდა მეტი ფულიც მიეცეს, თორემ მიმღებს გამოერთმევა. სამი მისხალის წონას შეადგენს ერთი თაბახი ფოსტის ქაღალდისა და ერთი იმგვარი-კონვერტი. ყოველი ჩვეულებრივი წერილზე—კონვერტზე უთუოდ უნდა ეკრას 7 კაპეიკიანი მარკა. ეს ფასი დაწესებულია ყოველ სამ მისხლის წონაზე. ხოლო საქალაქო წერილებს, ესე იგი ისეთი წერილებს, რომელნიც ქალაქის გარედ არ იგზავნება უნდა დაეკრას 3 კაპეიკიანი მარკა. არიან კიდევ გახსნილი წერილები, რომლებიც ფოსტაში იყიდება თვითო 3 კაპეიკად, ამ წერილებითაც შეიძლება მიწერ-მოწერა უცხ. და სხვა ქალაქებშიაც. თუ

ვინიცობა, გამგზავნა პირმა ჩვეულებრივი წერილში ფული ჩასდვა და ეს ფოსტის მოხელეებისაგან შემჩნეული იქმნა, ფულები ხაზინის სასარკებლოდ მიდის—აი მაგალითად როგორ უნდა დაიწეროს წერილის კონვერტზე.

| | |
|---|---|
| 7 კაპეკ. მარკა | Въ гор. Тифлисъ<br>Елизаветинская ул. домъ № 97<br>Петру Петровичу ПЕТРОВУ<br>Изъ Кутаиса отъ Ив. Ив. Иванова |

ზაკაზნოი წერილებიც არ უნდა აღემატებოდეს 3 მისხალს და თუ მეტი იქნება 3 მისხალზე მაშინ წონის დაგვარად დაიკვრის მარკები და გარდა ამისა დაიკვრის კიდე 7 კაპეიკიანი მარკა „ზაკაზნისათვის" ფოსტაში ზაკაზნოი წერილის მიღებაში აძლევენ ხელ წერილს—კვიტანციას და თუ ვინიცობა ზაკაზნოი წერილი დაიკარგა ფოსტის მმართველობა მოვალეა გადიხადოს გამგზავნის სასარგებლოდ ერთი თუმანი

ფორმა ზაკაზნოი წერილისა

| | |
|---|---|
| 7 კაპ მარკ.<br>7 კაპ მარკა | Въ гор. Тифлисъ<br>Елизаветинская ул. домъ № 917<br>Петру Петровичу ПЕТРОВУ<br>Изъ Кутаиса отъ Ив. Ив. Иванова<br>**Заказное** |

ბანდეროლიანი პოსილკები. ბანდეროლით იგზავნება ყოველ გვარი ჟურნალ-გაზეთები, დაბეჭდილი წიგნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი და სხვა ამგვარი ნივთები, სასაქმო ქაღალდები, დოკუმენტები და სხვა. ყოველ 12 მისხალზე უნდა დაეკრას 2 კაპეიკიანი მარკა, ხოლო ასეთი პოსილკები 5 გირვანქას არ უნნა აღემატებოდეს. ბანდეროლიანი პოსილკის გაგზავნა შეიძლება აგრეთვე ზაკაზნოით, ხოლო ამ შემთხვევაში უნდა დაეკრას ღირეულ მარკების გარდა კიდევ 7 კაპ. მარკაც. ბანდეროლზე უნდა იყვეს აღნიშნული ადრესი; ადგილი საიდამაც იგზავნება თვე რიცხვი, წელიწადი და გვარი გამგზავნი პირისა და თუ გაზეთი ან ჟურნალია ნომერიცა.

პოსილკები არიან ორ გვარნი ფასიანი და უფასონი. ყოველი პოსილკა უსათუოდ უნდა გახვეულ იყვეს ან ტილოში ან კლეონკაში ან სხვა რამეში ან კიდევ ყუთში, ყოველი პოსილკა წვრილ თოკით შეკრულ უნდა იყვეს; პოსილკის წონა 3 ფუთს არ უნდა აღემატებოდეს თუ პოსილკაზე დაწერილია „СЪ ДОСТАТКОЮ" და ამისთანა პოსილკას შინ მიიტანენ, მაშინ მიმღებს გამოერთმევა ყოველ გირვანქაზე სამი შაური. თუ ეს სიტყვა არ აწერია, მაშინ თვითონ მიმღებმა უნდა წაიღოს შინა თავის ხარჯზე.

უიმეღ პოსილკის ფასი დამოკიდებულია სიშორეზე: რაც უნდა პატარა პოსილკა იყვეს მაინც ორი შაური გამოერთმევის ყოველ 300 ვერსტის მანძილზე; ფოსტა იღებს თვითო გირვანქაზე 3 კაპეიკს და შემდეგ ყოველ 100 ვერსტის სიშორეზე ემატება თვითო კაპეიკი. ყოველ გირვანქაზე—ვიდრე 2500 ვერსტამდე. ამ სიშორის შემდეგ ყოველ 250 ვერსტის მანძილზე ემატება ყოველს გირვაქაზე თვითო კაპეიკი.

მაგალითად 5 გირვანქიანი პოსილკა გაგზავნილი 300 ვერსტის სიშორეზე ეღირება 15 კაპეიკი 800 ვერსტის სიშორზე. 20.

წიგნების პოსილკას სხვა ფასი აქვს. 1500 ვერსტის სიშორეზე წიგნების პოსილკას იგივე ფასი აქვს როგორც ზემო მოყვანილ პოსილკებს, ხოლო რაც 1500 ვერსტს

გადასცილდება ვიდრე 2500 ვერსტამდე ყოველ გირვანქა წიგნების პოსილკისა ღირს 16 კაპ. ხოლო 2500—5000 მდე 18 კაპ. 5000 ვერსტის შემდეგ ყოველ გირვანქაზე 20 კაპ. მაგვარი პოსილკებს უნდა ეწეროს „წიგნებით“ (**СЪ КНИГАМИ**) და ფოსტაში პოსილკა გახსნილი უნდა წარდგენილ იქმნეს. თუ პოსილკა უფასურია მაშინ ფოსტა თუ ესეთი პოსილკა დაიკარგა, პასუხს არ აგებს, ხოლო თუ პოსილკა ფასიანია ზედ უნდა დაეწეროს მისი ღირებულობა. თუ პოსილკით იგზავნება რამე სასაქმო ქაღალდები, მაშინ უსათუოდ ქაღალდების სიაც უნდა იყვეს დაწერილი ზედ რუსულად. გამგზავნს ეძლევა კვიტანცია, ხომლისათვის უნდა მისცეს 5 კაპეიკი.

ფ უ ლ ი ა ნ ი  პ ო ს ი ლ კ ე ბ ი  ა ნ უ  პაკეტები. ამ გვარ პოსილკებით იგზავნება ფულები, როგორც კრედიტის ბილეთები აგრეთვე ოქრო და ვერცხლი. სახელმწიფო პროცენტიანი ფურცლები, აქციები, ობლიგაციები, კუპონები, ვექსილის, ღერბის ქაღალდები. თუ პოსილკა არ აღემატება ერთს გირვანქას შეიძლება ქაღალდის კონვერტში იყვეს, რაც ერთს გირვანქას გარდასცილდება ის უსათუოდ უნდა გახვეულ იყვეს ტილოში და მერე პაკეტში. ფულიანი პაკეტების ფასი ასეთია: ა, წონის დაგვარად: ყოველ 3 მისხალზე 7 კაპეიკი, ბ, საზღვევო ქირა და კვიტანციისათვის 5 კაპეიკი. საზღვევო ფული ასე შესდგება ერთი მანეთიდამ 600 მანეთამდე ფოსტა იღებს ნახევარ კაპეიკს თვითო მანეთზე, ხოლო ერთი მანეთიდამ 1600 მანეთამდე ერთ მეოთხედი კაპეიკი ყოველ მანეთზე და ამასთანავე 1 მ. 50 კაპეიკს, რაც 1600 მან. აღემატება ყოველ მანეთზე ერთი მერვედე კაპეიკს და ამასთანავე კიდევ 3 მან. და 50 კაპეიკს. მაგალითად ქუთაისში გაიგზავნა 150 მან. ეს დასჯდება: წონის ფასი 18 კაპეიკი საზღვეო ანუ სტრახის ფული 75 კაპ. და კვიტანციის 5 კაპ. სულ 98 კაპ. ან მეტი. რადგან წონის ფული დამოკიდებუ-

ლია თვითეან ფულზე ესე იგი თუ მანეთიანები იქნება მაშინ ბევრი წონა გამოვა და თუ ერთი ათი თუმნიანი და ორი 25 მანეთიანი მაშინ უფრო ცოტა წონა ექმნება.

*ფასიანი პაკეტები.* ამ პოსილკებით იგზავნება ყოველ გვარი ფასიანი ნივთები ქაღალდები და ფულებიც. ხოლო ფასი ნივთისა 15000 არ უნდა აღემატებოდეს. კონვერტზე იწერება „ფასიანი" (ЦѢННЫЙ) გვარი და სახელი გამგზავნისა. პაკეთში უსათუოდ უნდა იყვეს ჩადებული სია ნივთებისა. ამ გვარ პაკეტებში ფულით 1000 მანეთზე მეტი არ შეიძლება ჩადებულ იქმნას. გასაგზავნი ფასი აქაც ისეთია, როგორც ფულიანი პოსილკებში

*ჟურნალ-გაზეთების პოსილკები.* ამ გვარ პოსილკებს სულ სხვა ფასი აქვს და დამოკიდებულია ჟურნალ გაზეთის №№ რაოდენობაზე. მაგალითად საყოველთვეო გამოცემაზე იღებენ ათს პროცენტს გამოცემის ღირეულებისას, გამოცემა რომელიც თვეში ორჯერ გამოდის—12%, საყოველ დღეო გამოცემაზე იღებენ 18%; უკანასკნელი ფასი, რომელიც ქვეით არ შეიძლება ფოსტაში მიღება გამოცემათა არის საყოველთვეო გამოცემისათვის წელიწადში 40 კაპ. საყოველ ორ კვირაოსათვის 60 კაპ. საყოველ-დღეოსათვის 1 მან. 50 კაპ.

*უცხოეთის კორრესპონდენცია* ისეთივე წესებს ემორჩილება როგორც ზემო მოყვანილი კორრესპონდენციები, ხოლო იმ განსხვავებით რომ წერილები შეიძლება გაგზავნილ იქმნას უცხოეთში ფრანკიროვანებში ესე იგი მარკა დაკრული და *პორტო* მარკა დაუსხმელი ამ უკანასკნელისათვის მიმღებს ბარათის ჩაბარების დროს გამოერთმევის ორჯერ მეტი ფასი მარკისა. ადრესები საუცხოეთო წერილებზე უსათუოდ ფრანგულ ენაზე უნდა იყვეს დაწერილი.

*საზოგადო დაწესებულებანი კორრესპონდენციის გამგზავნების და მიმღებლებისათვის.* ადრ-

ძალულია ფოსტით გაიგზავნოს ყოველ გვარი ადვილად ასანთებელი ან ასაფეთქებელი ნივთეეი და აგრეთვე უბანდეროლო თამბაქო. წინა-აღმდეგ შემთხვევაში საქონელი ხაზინის სასარგებლოდ მიდის, ამის გარდა გამგზავნს ან მიმღებს ჯარიმა გამოერთმევის. აკრძალულია აგრეთვე უბრალო ან ჩვეულებრივი პაკეტებში ფულის გაგზავნა. როდესაც ფასიანი პაკეტი იგზავნება უსათუოდ გამგზავნის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი უნდა იყვეს აღნიშნული კონვერტზე. თუ ვინცობაა ფოსტაში დაიკარგა ან ზაკაზნოი ან ფასიანი პოსილკა, გამგზავნს შეუძლიან თხოვნით მიჰმართოს საფოსტო მმართველობას, სადაც მიცემული იყო ხსენებული ფასიანი პაკეტები. თხოვნის მიცემა მაშინ იქმნება კანონიერი როდესაც თხოვნასთან ერთად წარიდგინება კვიტანცია ან ნატარიუსისაგან დამტკიცებული კოპიო. ხოლო თუ დაკარგვის შემდეგ ორი წელიწადი გავა, მაშინ მთხოვნელს ეკარგება უფლება საქმის და ჩივილის დაწყებისა,—

## ტელეგრაფი

სატელეგრამო ფასისათვის რუსეთის იმპერია განიყოფება ორ ნაწილად: ევროპიული და აზიური ნაწილები. ევროპიულ ნაწილს ეკუთვნიან ყველა რუსეთის გუბერნიები, ფინლიანდია, პოლშა და ჩვენი კავკასიც. აზიურს ნაწილს—ციმბირი, თურქესტანის და ამიერ კასპის მხარენი. ფასი ტელეგრამისათვის შესდგება ასე ა, საყოველთაო დეპეშის ფასიდამ და ბ, საყოველ—სიტყვის ფასიდამ.

საყოველთაო დეპეშის ფასი როგორც ევროპიულ აგრეთვე აზიურ ნაწილებისათვის დაწესებულია 15 კაპ. საყოველ - სიტყვისათვის დადგენილია 5 კაპ. ყოველი სიტყვისათვის სიშორის გაურჩევლად; ასე რომ ათი სიტყვა ღირს 50 კაპ. და დეპეშის ფასი 15 კაპ. სულ კი 65 კაპ.

თუ კი ევროპიულ ნაწილიდამ ტელეგრამა იგზავნება აზიურ ნაწილში მაშინ ყოველი სიტყვა ღირს 10 კაპ.

თუ ტელეგრამის გამგზავნმა მოისურვა პასუხის მიღება თავის ხარჯზე, მაშინ იგი მოვალეა მისცეს გადრა თავის ტელეგრამის ფასისა კიდევ ათი სიტყვის და თუ უნდა მეტის ფასიც. სიტყვების რიცხვი საპასუხო ტელეგრამაში უსათუოდ ტელეგრამაში აღნიშნული უნდა იყვეს, თორემ მიმღებს გამოერთმევის მეტი სიტყვის ფასი.

**საზოგადო წესდებულება ტელეგრამებისათვის.** ტელეგრამები ანუ დეპეშები მიიღება როგორც სამმართებელო აგრეთვე რკინის გზის სატელეგრამო სტანციებში ყოველ დღე და უქმე დღეებიც ხოლო დანიშნილ საათებზე. რაც შეეხება ტელეგრამის ანუ დეპეშის შინაარს ინახება საიდუმლოდ. დეპეშის მიღებაში მოხელენი აძლევენ კვიტანციებს. დეპეშაში სიტყვები მარტივად, წაუშლელად და სუფთად უნდა იყვნენ დაწერილები და დეპეშის ბოლოს სახელი ან გვარი გამგზავნისა. სიტყვები გაჭიანურებული არ უნდა იყვეს და უდიდესი ზომა სიტყვისა არის 7 მარცლოვანი სიტყვა. თუ ამ რიცხვს აღემატა, მაშინ ორ სიტყვად ჩაითვლება. შეიძლება დეპეშის შეჩერება თუ კი მაგას გამგზავნი პირი მოისურვებს. ტელეგრამები ფოსტის სტოროჟებს ხელით მოაქვთ ხოლმე და ამისათვის სასყიდელი არ ეძლევათ. ტელეგრამაში უსათუოდ უნდა იყვეს აღნიშნული ქალაქი ან სოფელი სადაც იგზავნება იგი, გვარი და სახელი მიმღებისა, მერე შინაარსი და ბოლოს სახელი ან გვარი გამგზავნისა. თუ ტელეგრამა საჩქაროა მაშინ დეპეშზედ ეწერება „საჩქარო“ **(срочная)** და ამისთანა საჩქარო დეპეშისათვის გამგზავნ პირს გამოერთმევის ერთი სამად დაწესებული ფასისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფოსტის გზები.

ვისაც ფოსტის გზებით მოუხდება მიმოსვლა ხოლმე, იმას უნდა ჰქონდეს „პოდოროჟნიი“ პოდოროჟნების აღება შეიძლება საგუბერნიო, სამაზრო ხაზინებიდამ (казначейство-დამ) და ამათ გარდა თბილის გუბერნიაში ამ ადგილებში. მიხაილოვის ფოსტის სტანციაში, დაბა ლაგოდეხში, დაბა ცარკიე-კოლოდცაში, შულავერში, ბორჟომში, აბას-თუმანში და სტანცია ვაზიანში, ზოგან ამ ხსენებულ ადგილებში ვოინსკი უპრავლენია, ზოგან სამაზრო მმართველობა და ზოგან პრისტავი აძლევენ ხოლმე პოდოროჟნებს.

ქუთაისის გუბერნიაში ყველა მაზრებში და აგრეთვე დაბა ხონში. კერძო პირებს პოდოროჟნები ეძლევათ მას უკან როცა ისინი წარმოადგენენ მოწმობას, (свидѣтельство) და პასპორტს. ფასი ითვლება ასე: თვითო ცხენზე 3 კაპ. ერთ ვერსტზე, ამის გარდა 12 კაპ. ეკიპაჟისათვის და 12 კაპ. ეკიპაჟის ღერძზე ქონის წასასმელად. თუ სტანციის ან სხვა ვინმე მოხელე უსამართლობას ჩაიდენს, მგზავრს შეუძლიან საჩივარი ჩასწეროს საჩივარ წიგნში ან თხოვნით მიჰმართოს საფოსტო გზების უფროს...

## მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟებისა.

მიხაილოვიდამ ბორჟომამდე ომნიბუსში ღირს 1 მ. 65 კ. ($27\frac{1}{2}$ ვერსი) ახლციხამდე 4 მ. 41 კ. ($73\frac{1}{2}$ ვერსტი) აბასთუმნამდე 5 მ. 85 კ. ($97\frac{1}{2}$ ვერსტი) ომნიბუსის კოზლებზე ნახევარ ფას ახდევინებენ. ზაფხულობით ყოველ დღე და ზამთარში კვირაში ორჯერ დადის.

ოზურგეთიდამ სამტრედიაში (51 ვერსტი) 2 მ. 30 კ. ომნიბუსები ყოველ დღე დადიან.

ახალ სენაკიდამ ზუგდიდში ღირს 2 მ. მიმოსვლა ყოველ დღე არის ახალ სენაკიდამ ოზურგეთში ღირს 2 მ. მიმოსვლა ყოველ დღე.

თბილისიდამ კავკავში მიმოსვლა ყოველ დღე არის. ღირს პირველ კლასით 18 მ. მეორე კლასში 12 მანეთი. ომნიბუსში 11 მ. და კოზლებზე 5 მ.

მთელი ამნიბუსი რომ დაიქირაოს კაცმა ეღირება 6 კაცისათვის 52 მ. 13 კ. კოჩ-კარეტა 56 მ. 14 კ. ნამდვილი კარეტა 66 მ. 16 კ. კალიასკა 54 მ. 13 კ. კალიასკა 2 კაცისათვის 36 მ. 9 კ. (სულ ითვლება 200½ ვერსტი) თუ მგზავრის ბარგი 2 ფუთს არ აღემატება უფასოდ წაიღებენ.

თბისიდამ მანგლისში ღირს 3 მ. 44 კ. კოჯორამდე 1 მ 12 კ. (56¾ ვერსტი).

გზები და სიშორე თბილისიდამ — აბასთუმნამდე 209½ ვერსტი. ბორჯომამდე 139½ ვერსტი, ბათუმამდე 324¾ ვერსტი, ბელოკლუჩამდე 53¾ ვერ. ბაქომდე 515 ვერსტი, კავკავამდე 200½ ვერსტი, გომბორამდე 59¼ ვერსტი, გორამდე 70¾ ვერსტი, დელიჟანამდე 160¾ ვერსტი, ჯულფამდე 453½ ვერსტი, ეკატერინოფელამდე 60¾ ვერსტი, განჯამდე 171½ ვერსტი ზაქათლამდე 187½ ვერ. ყარსამდე 345¼ ვერ. ქუთაისამდე 207 ვერ. ქვიშხეთამდე 105½ ლაგოდეხამდე 153¼ ვერ. თიანეთამდე 49 ვერ. ახალ ციხამდე 439 ვერ. მანგლისამდე 57¼ ვერ. მიხეილოვამდე 112 ვერსტი, ნახიჩევამდე 424 ვერ. ნუხამდე 260¼ ვერ. სიღნამდე 100¼ ვერ. თელავამდე (ბაკურციხეზე) 145/½ ვერ. თელავამდე (გომბორზე) 93¼ ვერ. ცარსკი-კოლოდცამდე 115 ვერ. ერევნამდე 263¾ ვერ.

გზები და სიშორე ქუთაისიდამ—ბეჩომდე 187½ ვერ. თბილისამდე 207 ვერ. სამტრედიამდე 39 ვერ. ლაილაშამდე 58 ვერ. ხონამდე 57 ვერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გზები ფოთიდამ—ბათუმამდე 47 ვერ. სამტრედიამდე 61 ვერ. სოხუმამდე $96^1/_2$ ვერ.

ახალ-სენაკიდამ ფოსტის გზა მიდის ზუგდიდში, მარტვილში, სოხუმში და ოჩამჩირეში.

გზები ბათუმიდამ—არდაჰანამდე 182 ვერ. არტვინამდე 100 ვერ. ახალ-ციხემდე 162 ვერ. ფოთამდე 47 ვერ. სოხუმამდე 143 ვერ. თბილისამდე $324^3/_4$ ვერსტი.

# რკინის გზის მიმოსვლა თბილისიდამ ბათუმამდე

| სტანციები | ვერსტები შუ-ალით და სა-ერთოდ | | რამდენი წუ-თი გზაში. | რა დროს გადის თბი-ლისიდამ. | | რამდ. წუთს დგება სტანც. | რა დროს მიდის ბა-თუმიდამ. | | ფასები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | I კლას. | | II კლ. | | III კლ. | |
| | | | | დილის | | | საღამოს | | მ. | კ. | | | | |
| თბილისი | — | — | — | 8 ს. | 49წ. | — | 10 | 15 | | | — | — | — | — |
| ავჭალა | 10 | 10 | 20 | 9 | 11 | 2 | 9 | 52 | — | 56 | — | 43 | — | 22 |
| მცხეთა | 10 | 20 | 21 | 9 | 40 | 8 | 9 | 28 | 1 | 19 | — | 89 | — | 45 |
| ქსანი | 11 | 31 | 23 | 10 | 5 | 2 | 9 | 7 | 1 | 75 | 1 | 31 | — | 67 |
| კასპი | 14 | 45 | 28 | 10 | 36 | 3 | 8 | 40 | 2 | 59 | 1 | 94 | — | 99 |
| გრაკალი | 12 | 57 | 23 | 10 | 1 | 2 | 8 | 15 | 3 | 26 | 2 | 46 | 1 | 25 |
| გორი | 13 | 71 | 24 | 11 | 40 | 15 | 7 | 44 | 4 | — | 3 | — | 1 | 53 |
| ქარელი | 17 | 88 | 28 | 12 | 11 | 3 | 7 | 16 | 4 | 95 | 3 | 71 | 1 | 90 |
| გომი | 14 | 102 | 26 | 12 | 41 | 4 | 6 | 50 | 5 | 74 | 4 | 30 | 2 | 20 |
| მიხაილოვი | 10 | 112 | 21 | 1 | 17 | 15 | 6 | 17 | 6 | 30 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი | 14 | 116 | 12 | 1 | 32 | 3 | 6 | 2 | 6 | 59 | 4 | 94 | 2 | 52 |
| ფონი | 6 | 122 | 28 | 2 | 3 | 3 | 5 | 30 | — | — | — | — | — | — |
| წიფა | | — | 24 | 2 | 33 | 6 | 5 | შუაღ. | — | — | — | — | — | — |
| ბეჟათუბანი | 9 | 131 | 23 | 3 | 16 | 20 | 4 | 18 | 7 | 43 | 5 | 58 | 2 | 85 |
| მარელისი | 9 | 141 | 29 | 3 | 48 | 3 | 3 | 47 | — | — | — | --- | — | — |
| ბელაგორი | 9 | 149 | 27 | 4 | 18 | 3 | 3 | 17 | 8 | 44 | 6 | 33 | 3 | 23 |
| მერულა | 9 | 158 | 27 | 4 | 48 | 3 | 2 | 48 | 8 | 94 | 6 | 71 | 3 | 43 |
| ყვირილა | 13 | 171 | 38 | 5 | 40 | 14 | 1 | 58 | 9 | 63 | 7 | 21 | 3 | 69 |
| აჯამეთი | 21 | 192 | 34 | საღ. 6 | 16 | 2 | 1 | 15 | 10 | 86 | 8 | 14 | 4 | 14 |
| რიონი | 7 | 199 | 13 | 6 | 44 | 15 | 12 | 47 | 11 | 25 | 8 | 44 | 4 | 31 |
| კოპიტნარი | 17 | 216 | 24 | 7 | 10 | 2 | 12 | 13 | 12 | 21 | 9 | 15 | 4 | 68 |
| | | | | | | | დილის | | | | | | | |
| სამტრედია | 12 | 228 | 14 | 7 | 49 | 20 | 11 | 33 | 12 | 89 | 9 | 66 | 4 | 93 |
| საჯევახო | 8 | 236 | 16 | 8 | 7 | 2 | 11 | 14 | 13 | 34 | 10 | — | 5 | 11 |
| ნიგოითი | 14 | 250 | 20 | 8 | 30 | 3 | 10 | 51 | 14 | 6 | 10 | 55 | 5 | 39 |
| ლანჩხუთი | 6 | 256 | 12 | 8 | 46 | 4 | 10 | 35 | 14 | 46 | 10 | 84 | 5 | 54 |
| სუფსა | 19 | 275 | 33 | 9 | 27 | 8 | 9 | 55 | 15 | 53 | 11 | 65 | 5 | 96 |
| ნატანები | 14 | 289 | 25 | 9 | 55 | 3 | 9 | 25 | 16 | 31 | 12 | 24 | 6 | 26 |
| ქობულეთი | 15 | 304 | 27 | 10 | 25 | 3 | 8 | 54 | 17 | 16 | 12 | 86 | 6 | 50 |
| ბათუმი | 21 | 325 | — | 11 | 13 | — | — | | 18 | 45 | 13 | 84 | 7 | 07 |

# თბილისიდამ ბაქომდე.

| სტანციები | ვერსტები შუა და საერთოდ. | | რავდენი წუთი გზაში. | და დროის გასვლის თბილისიდამ. | | რავდენ წუთს სდგება. | და დროის მისვლის ბაქოში. | | ფასები I კლას. | | II კლ. | | III კლ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ღამის | | | დილის | | | | | | | |
| თბილისი | . | — | — | 10 | 46 | 31 | 8 | 6 | — | — | — | - | — | — |
| აღ-ტაღლია | 20 | 20 | 37 | 11 | 26 | 3 | 7 | 22 | 1 | 19 | — | 89 | — | 45 |
| ყარაიაზი | 17 | 37 | 25 | 11 | 57 | 6 | 6 | 46 | 2 | 9 | 1 | 56 | — | 79 |
| სოგუთ-ბულ. | 21 | 58 | 30 | 12 | 30 | 3 | 6 | 9 | 3 | 26 | 2 | 45 | 1 | 25 |
| ფოილი | 17 | 75 | 30 | 1 | 3 | 3 | 5 | 34 | 4 | 23 | 3 | 16 | 1 | 62 |
| აქსთაფა | 13 | 88 | 31 | 1 | 52 | 18 | ღამ. 4 | 53 | 5 | 1 | 3 | 75 | 1 | 92 |
| თაუზი | 19 | 107 | 41 | 2 | 36 | 3 | 4 | 16 | 6 | 8 | 4 | 56 | 2 | 33 |
| ძეგამი | 26 | 133 | 44 | 3 | 25 | 5 | 3 | 21 | 7 | 49 | 5 | 61 | 2 | 86 |
| შამხორი | 22 | 155 | 36 | 4 | 5 | 4 | 2 | 35 | 8 | 73 | 6 | 54 | 3 | 35 |
| ელისავეტპ. | 22 | 177 | 38 | 4 | 57 | 14 | 1 | 42 | 9 | 96 | 7 | 46 | 3 | 82 |
| დალმამქილი | 16 | 193 | 30 | 5 | 30 | 3 | 1 | 1 | 10 | 86 | 8 | 14 | 4 | 16 |
| | | | | დილისა | | | | | | | | | | |
| გერანი | 23 | 216 | 36 | 6 | 10 | 4 | 12 | 11 | 12 | 21 | 9 | 15 | 4 | 68 |
| ევლახი | 24 | 240 | 34 | 6 | 55 | 11 | 11 | 22 | 13 | 50 | 10 | 13 | 5 | 18 |
| ლაქი | 23 | 263 | 38 | 7 | 38 | 5 | 10 | 42 | 14 | 85 | 11 | 14 | 5 | 69 |
| უჯარი | 19 | 282 | 30 | 8 | 27 | 19 | 9 | 56 | 15 | 86 | 11 | 90 | 6 | 8 |
| მუსი-უსლი | 24 | 306 | 39 | 9 | 10 | 4 | საღ. 9 | 14 | 17 | 28 | 12 | 95 | 6 | 62 |
| ქურდამირი | 19 | 325 | 31 | 9 | 47 | 6 | 8 | 40 | 18 | 34 | 13 | 75 | 7 | 3 |
| საღირი | 23 | 348 | 34 | 10 | 24 | 3 | 8 | 1 | 19 | 64 | 14 | 73 | 7 | 52 |
| ყარა-სუ | 24 | 372 | 33 | 11 | 2 | 5 | 7 | 17 | 20 | 93 | 15 | 70 | 8 | 3 |
| აჯი-ქაბულ | 24 | 396 | 36 | 11 | 58 | 20 | 5 | 21 | 22 | 28 | 16 | 71 | 8 | 54 |
| | | | | დღისა | | | | | | | | | | |
| ნავაღი | 17 | 413 | 33 | 12 | 36 | 5 | 5 | 45 | 23 | 29 | 17 | 46 | 8 | 92 |
| ალიატ | 24 | 437 | 34 | 1 | 11 | 6 | 5 | 1 | 24 | 64 | 15 | 33 | 9 | 44 |
| სანგაჩალა | 22 | 459 | 34 | 1 | 53 | 3 | 4 | 23 | 25 | 83 | 19 | 36 | 9 | 90 |
| ფუთა | 24 | 483 | 37 | 2 | 34 | 4 | 3 | 42 | 27 | 18 | 20 | 38 | 10 | 42 |
| ბალაჯარი | 18 | 501 | 36 | 3 | 12 | 2 | 3 | 8 | 28 | 24 | 21 | 18 | 10 | 82 |
| ბაქო | 13 | 514 | 28 | — | — | — | 2 | 36 | 28 | 98 | 21 | 73 | 11 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფოთიდამ სამტრედიამდე

| სტანციებ | ვერსტები. | | ფასები I კლას. მან. | კ. | II კლ. მან. | კ. | III კლ. მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფოთი | — | — | — | — | — | — | — | — |
| ჭალადი | 14 | 14 | — | 85 | — | 64 | — | 32 |
| ახალსენაკ | 21 | 35 | 2 | 3 | 1 | 53 | — | 78 |
| აბაშა | 13 | 48 | 2 | 76 | 2 | 6 | 1 | 6 |
| სამტრედია | 13 | 61 | 3 | 49 | 2 | 61 | 1 | 33 |

## ბაქოდამ სურახანამდე

| სტანციებ. | ვერსტები. | | ფასები. I კლას. | II კ. | III კლ. |
|---|---|---|---|---|---|
| საბუნჩი | 12 | 12 | 68 | 51 | 26 |
| სურახანი | 15 | 27 | 85 | 69 | 32 |
| **ქუთაისიდამ რიონამდე** | | | | | |
| | 8 | 8 | 50 | 38 | 23 |

შენიშვნა ის სტანციები, რომელნიც დიდი ასოებით არიან დაბეჭდილნი უმთავრეს სტანციებად ითვლებიან და ბუფეტებიც არიან.

ყველა სტანციებში კასსა ბილეთების სასყიდლათ იღება ნახევარ საათით წინ პოეზდის გასვლამდინ.

ბილეთის დაბრუნება შეიძლება პოეზდის გასვლამდე ათის წუთის წინეთ. ყოველ მოგზაურს შეუძლიან ორი ფუთი ბარგი თან წაიღოს, ამაზე მომეტებული ბარგი ბაღაჟში მიცემულ უნდა იქმნეს.

ბათუმიდამ ბაქომდე პოეზდი გზას ანდომებს 31 საათს და 36 წუთს. თბილისიდამ ბაქომდე 16 საათს და 54 წუთს. თბილისიდამ ბათუმამდე 14 საათს და 11 წუთს. თბილისიდამ მიხაილოვამდე 10 საათს და 13 წუთს.

ქუთაისიდამ რიონის სტანციას პოეზდი გადის დილით 12 ს. და 7 წ. და ღამის 5 ს. და 50 წ. რიონიდამ —ქუთაის 10 ს. და 30 წ. საღამოს 6 ს. და 55 წ გზას ანდომებს 21 წუთს.

## სურამიდამ თბილისამდე

| სტანციები | რავდენი ვერსტია გზაში. | რა დროს გადის სადგურ. | | რავდ. წუთს დგება სტანც. | რა დროს მოდის თბილისს. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ს. | წ. | ს. წ. | ს. | წ. |
| სურამი | — | საღ. | | | ღამ. | |
| მიხაილოვ. | 12 | 3 | 11 | 16 | 2 | 59 |
| გომი | 20 | 3 | 50 | 5 | 3 | 27 |
| ქარელი | 29 | 4 | 24 | 7 | 3 | 55 |
| გორი | 33 | 5 | 4 | 15 | 4 | 31 |
| გრაკალი | 27 | 5 | 46 | 5 | 5 | 19 |
| | | დილ. | | | | |
| კასპი | 27 | 6 | 18 | 6 | 5 | 51 |
| ქსანი | 31 | 6 | 55 | 4 | 6 | 24 |
| მცხეთა | 25 | 7 | 24 | 8 | 6 | 59 |
| ავჭალა | 23 | 7 | 55 | 3 | 7 | 32 |
| თბილისი | 26 | 8 | 24 | — | 7 | 58 |

## თბილისიდამ სურამამდე

| სტანციები | რავდენი ვერსტია გზაში. | რა დროს გადის. | | რავდ. წუთს დგება სტან. | რა დროს გადის თბილ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | დილის | |
| თბილისი | — | — | | — | 3 | 21 |
| ავჭალა | 25 | 3 | 46 | 3 | 3 | 49 |
| მცხეთა | 26 | 4 | 15 | 10 | 4 | 25 |
| ქსანი | 24 | 4 | 49 | 3 | 4 | 52 |
| კასპი | 32 | 5 | 24 | 5 | 5 | 29 |
| გრაკალი | 31 | 6 | საღ. | 3 | | |
| | | | | | 6 | 3 |
| გორი | 28 | 6 | 31 | 15 | 6 | 45 |
| ქარელი | 33 | 7 | 18 | 5 | 7 | 24 |
| გომი | 29 | 7 | 53 | 4 | 8 | 1 |
| მიხაილოვ. | 23 | 8 | 24 | 15 | 8 | 38 |
| სურამი | 12 | 8 | 50 | — | | |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა ამ გზას პოეზდი ანდომებს 5 საათს და 29 წუთს. ფასი ისეთივეა როგორც ზემო მოყვანილ ცხრილში-

## ტოვარო-პასაჟირის პოეზდი ფოთიდამ სამტრედიამდე.

## ფოთიდამ სამტრედიამდე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | დილის | |
| ფოთი | — | — | — | — | 8 | 6 |
| ჭალადიდი | 32 | 8 | 38 | 7 | 8 | 45 |
| ახალსენაკი | 54 | 9 | 39 | 18 | 9 | 57 |
| აბაშა | 35 | 10 | 32 | 12 | 10 | 44 |
| სამტრედია | 31 | 11 | 15 | — | | |

## სამტრედიიდამ ფოთამდე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | საღამ. | |
| სამტრედია | — | — | — | — | 8 | — |
| აბაშა | 33 | 8 | 33 | 10 | 8 | 43 |
| ახალსენაკ. | 35 | 9 | 18 | 16 | 9 | 34 |
| ჭალადიდი | 47 | 10 | 21 | 7 | 10 | 28 |
| ფოთი | 32 | 11 | — | — | | |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა ამ გზას პოეზდი ანდომებს 3 საათს და 5 წუთს. ფასები მოყვანილნი არიან ზემო ცხრილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე

| | ფ ა ს ე ბ ი. | | | | | | საბარგო (საბალაგო) ფასი თვი-თო ფუთზე | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I კლასი | | II კლასი | | III კლასი | | | |
| | მან. | კაპ. | | | | | | |
| ბათუმიდამ | — | — | — | — | — | — | — | — |
| ფოთში | 2 | 80 | 1 | 80 | — | 80 | — | 20 |
| სოხუმში | 5 | — | 3 | 50 | 1 | 20 | — | 20 |
| სოჭში | 12 | — | 9 | 10 | 3 | 20 | — | 25 |
| თუაფსეში | 12 | — | 9 | 10 | 3 | 20 | — | 25 |
| ნოვოროსიისკში | 16 | — | 12 | 50 | 4 | — | — | 25 |
| ტაგანროგში | 35 | — | 27 | 50 | 8 | 80 | — | 60 |
| მარიუპოლში | 32 | 50 | 25 | 50 | 8 | 20 | — | 60 |
| ბერდიანსკში | 28 | — | 21 | 50 | 7 | 20 | — | 55 |
| ქერჩში | 21 | 50 | 16 | — | 5 | 20 | — | 40 |
| თეოდოსიაში | 26 | 50 | 20 | — | 6 | 60 | — | 50 |
| იალტაში | 31 | — | 23 | — | 7 | 70 | — | 55 |
| სევასტოპოლში | 31 | — | 23 | — | 7 | 90 | — | 60 |
| ევპატორიაში | 31 | 50 | 23 | 50 | 7 | 45 | — | 55 |
| ოდესაში | 39 | — | 30 | 50 | 9 | 80 | — | 60 |

## რა ადგილიდამ რა დროს გადიან ორთქლის გემები.

| | ზაფხულობით | ზამთრობით |
|---|---|---|
| ბათუმიდამ | შაბათს, სამშაბ. ხუთშაბ. | ხუთშაბ. შაბათს |
| ფოთიდამ | პარასკევს | სამშაფათს |
| ოჩამჩირიდამ | კვირას | კვირას |
| სოხუმიდამ | კვირას და ოთხშაბათს | კვირას |
| ფსერეთიდიმ | კვირას | კვირას |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| გუდაუთიდამ | კვირას | კვირას |
| ადლერიდამ | კვირას | კვირას |
| სოჩიდამ | კვირას | ორშაბათს |
| ფსეზუაპიდამ | კვირას | ორშაბათს |
| თუაპსედამ | ორშაბათს | ორშაბათს |
| ჯუბგიდამ | ორშაბათს | ორშაბ. და პარასკ. |
| ნოვოროსიისკიდამ | ორშაბ. პარასკ. | სამშაბათს |
| ანაპიდამ | ორშაბათს | ოთხშაბ. შაბათს |
| ქერჩიდამ | სამშაბ. ხუთშაბ. და შაბ. | ოთხშაბ. შაბათს |
| ფეოდოსიიდამ | ორშაბ. პარას. შაბათს | ოთხშაბ. შაბათს |
| იალტიდამ | ოთხშაბ. პარასკ. კვირას | კვირას და ხუთშაბ. |
| სევასტოპოლიდამ | ოთხშაბ. ზარანკ. კვირას | სამშაბ. ხუთშაბ. |
| ევპატორიიდამ | ოთხშაბათ კვირას | ხუთშაბათს |
| ოდესიდამ | ხუთშაბ. პარასკ. შაბათს | ხუთშაბ. ორშაბ. |

## ზომა და წონა

### რუსული

1 საჟენი ედრის 7 ფუტს,=3 არშინს=48 ვერშოკს.

1 ფუტი ედრის 12 დიუიმს,=120 ლინიას=$^3/_7$ არშინს

1 არშინი ედრის 4 ჩეტვერტს=16 ვერშოკს $2^3/_4$ ფუტს =28 დიუმს

1 ვერსტი ედრის 500 საჟენს

1 მილი ედრის 7 ვერსტ.

ამის გარდა არის ოთხკუთხედი კვადრატნი ზომა. □

1 კვადრატნი საჟენი=9 კვად. არშინს=2304 კვად. ვერშოკს

4 კვადრატნი არშინი=256 კვადრატ. ვერშოკს=784 კვად. დიუმს

1 კვადრატნი ფუტი=144 კვად. დიუმს=47 კვად. ვერშოკს

1 კვადრატ. ვერსტი 250000 საჟენს

1 კვადრატ. მილი 49 კვადრატ. ვერსტს.
1 დესეტინა 2400 კვადრატ. საჟენს.
1 ბოჩკა შეიცავს 40 ვედრას, 1 ვედრა 20 ბოთლს
1 ბერკოვეცი=10 ფუთს, 1 ფუთი=40 გირვანქას.
1 გირვანქა 32 ლოტს, 1 ლოტი 3 მისხალს, 1 გირ. 99 მისხ.

## ქართული (ქართლში)

1 ლიტრა უდრის 5 ჩარექს, ჩარექი 4 რუბს, რუბი 10 მისხალს მისხალი 4 დანგს, ამის გარდა ლიტრა უდრის 9 გირვანქას
1 ურემი=20 კოდს, კოდი 10 ჩანახს.
1 ურემი=3 საპალნეს, საპალნე 2 ცალი, 5 კოკაა, კოკა_3 ჩაფია, ჩაფი 4 თუნგია, თუნგი 4 ჩარექი.ა
დღიური=ნახევარ დესეტინას.

## იმერეთში

ბათმანი=6 ოყაა. ოყა 3 გირვანქა, გირვანქა 4 ჩარექია.
1 ურემი 20 გოდორია, გოდორი 3 ბათმანი,
1 საპალნე 2 ცალია, ცალი 6 კოკაა. კოკა 3 დოქია
1 ქცევა უდრის $^1/_3$ დესეტინას ანუ 900 კვადრ. საჟენს

---

ევროპიულ სახელმწიფოებში ამ უკანასკნელი ათის წლის წინეთ მიღებულ იქმნა ფრანგული მეტრიული ზომები, რომელნიც საფრანგეთში შემოღებულ იქმნა დიდი რევოლიუციის შემდეგ. სიტყვა მეტრეული ნიშნავს ათეულს სისტემას ზომისას. ამ ქვეყნებში ზომის ნიმუშად მიღებულ აქვთ მ ე ტ რ ი რომელიც უდრის მერიდიანის $^1/_{4000000}$ ნაწილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საკომერციო ცნობანი

**სახელმწიფო ბანკი.** თავნი ფული ამ ბანკს აქვს 20 მილიონი მანეთი. სახელმწიფო ბანკი სცვლის ძველ საკრედიტო ფულებს—ასიგნაციებს, იღებს სასარგებლოდ ფულებს მოკლეს და დიდის ხნით, აძლევს სესხს პროცენტიან ქაღალდებზე და გირაოდაც ლებულობს, ერთი ადგილიდამ მეორე ადგილას გადააქვს კერძო პირების ფულები; სცვლის ოქროს და ვერცხლის ფულებს და სხვა.

**სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკი.** აძლევს სესხს ყველა თავად-აზნაურებს სასოფლო მამულებზე, დიდ ხნობით: 48—და 36 წლით. დაფასებული ფასისაგინ 60% აძლევს დამგირავებელთ, ხოლო ათას მანეთზე ნაკლებ ღირეულ მამულზე სესხს არ აძლევს. ბანკის საქმის საწარმოებლად ნება აქვს გირავნობის ფურცლების გამოშვებისა, 100, 300, 500, 1000, 5000 და 10000 მანათიანებისა.

**საგლეხო ბანკი.** სესხა აძლევს მხოლოდ გლეხებს.

**შემნახველი კასსები.** ამ გვარ კასსებში ყოველ პირს შეუძლიან ფულის შეტანა 25 კაპეიკიდამ დაწყებული ვიდრე 1000 მანეთამდე, კასსა აძლევს 4%. ფულის შემტანს ეძლევა წიგნაკი, რომელშიაც იწერება ყოველი დღეური თუ თვეური შემოტანილი ფული.

**სესხთ შემნახველი ამხანაგობა**, საგნათ მაგ გვარ კასებს აქვს სესხის გაადვილება თავის წევრთათვის. წევრად ის ითვლება ვინც არა ნაკლებ მანეთისას შემოიტანს.

**საქალაქო საკრედიტო საზოგადოება.** სესხს აძლევს ქალაქის მამულებზე. სესხად აძლევენ 5% გირავნობის ქაღალდებს. სახლები უსათუოდ დაზღვეული უნდა იყვნენ.

**სათავად-აზნაურო ბანკები.** სესხს აძლევენ როგორც სოფლის აგრეთვე ქალაქის მამულებზე— სესხებს აძლევენ დიდ

ხნობით და მოკლე ხნობითაც: $43^{1}/_{2}$,18 წლობით—ბანკებს თავის საქმის საწარმოებლათ აქვთ გირავნობის 6% ქაღალდები, რომლების ფასი დამოკიდებულია თვითონ ბანკის ავკარგიანობაზე.

**საურთიერთო სესხის საზოგადოება**, შესდგებიან იმ წევრთაგან რომლებმაც შეიტანეს არა ნაკლებ 10%, იმ ფულისა, რაც ჰსურთ აიღონ სესხად.

---

## სავაჭრო ხარჯი

მოწმობა ვაჭრობის უფლებაზე I გილდიისა ღირს ყველგან 565 მანეთი, II გილდიისა პირველ კლასის ადგილებში ღირს 120 მ., მეორე კლასისა 95 მ. მესამე კლასისა 75 მ. მეოთხე კლასისა 55 მ. და მეხუთე კლასის ადგილებში 40 მანეთი.

მოწმობა საწვრილმანო ვაჭრობაზე ღირს პირველი კლასის ადგილებში 30 მ. მეორე კლასის 25 მ. მესამე კლასის 20 მ. მეოთხე კლასის 15 მ. და მეხუთე კლასის ადგილებში ღირს 10 მანეთი.

მოწმობა საწვრილმანო სატარებელ ვაჭრობაზე ღირს I კლასის 16 მანეთი და II კლასის 6 მანეთი

საპრიკაზჩიკო მოწმობა I კლასის 35 მ. II კლასის 6 მანეთი.

საპასპორტო მოწმობა I გილდიისა 15 მ., II გილდიისა 6 მანეთი.

ხარჯი სავაჭრო ადგილებზე. პირველი გილდიის მოწმობასთან I კლასის ადგილებში 55 მ. II კლასის 45 მ., III კლასის 35 მან. IV კლასის 25 მ. და V კლასის 20 მ., მეორე გილდიის მოწმობასთან I კლასის ადგილებში 35 მ., II—25 მ. III—20 მ. IV—15 მ. V—15 მანეთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ხარჯი საწერილმანო მოწმობისთან I კლასის ადგილებში 10 მ., II—8 მ., III—6 მ., IV—4 მ., და V—2 მანეთი.

საპატენტო ხარჯი. ქალაქის ღვინის სარდაფებს გამოერთმევის I კლასისა 300 მ., II კლასისა 150 მ., და III კლასის 100 მ.

სოფლებში გამოერთმევით 60—40— და 30 მანეთი.

## პროცენტების (სარგებლის) გამოანგარიშება

პროცენტებს ანუ სარგებელს სთვლიან ყოველ ასი მანეთიდამ სრულს წელიწადში (თორმეტი თვე ანუ კიდევ 360 დღე).

პროცენტების გამოანგარიშება ადვილია ვინც კი არითმეტიკა იცის.—

სრული წლების პროცენტების გამოანგარიშება ძრიელ ადვილია:

სასარგებლოდ გაცემული თავნი ფული უნდა გამრავლდეს წლების და პროცენტების რიცხვებზე და ჯამი გაიყოს ასსზე. მაგალითად: 5000 მან. გაცემული 9% წელიწადში, რამდენს სარგებელს მოიტანს ეს ფული 3 წლის განმავლობაში? ზემო მოყვანილის წესით ასე უნდა მოვიქცეთ: თავნი ფული 5000 მ. გავამრავლოთ წლების და პროცენტების რიცხვზე ე. ი. 3 და 9-ზედ ჯამი გავყოთ 100-ზე, გამოვა ასეთი ფორმულა $\frac{5000 \times 3 \times 9}{100} =$ 1350 მან. მაშასადამე 5000 მან. სამის წლის განმავლობაში 9%-ით სარგებელს შემოიტანს 1350 მ.

სრული თვეების პროცენტები გამოიანგარიშებიან ასრე: თავნი ფული უნდა გამრავლდეს პროცენტების და თვეების რიცხვებზე და ჯამი გაიყოს 12-ზე. მაგალითად: 700 მანეთი 6% გაცემული წელიწადში რამდენი სარგებელს შემოიტანს 8

თვის განმავლობაში? ზემო მოყვანილის წესით ასე უნდა მოვიქცეთ: თავნი ფული 700 მ. გავამრავლოთ პროცენტის და თვეების რიცხვებზე ე. ი. 6 და 8-ზე და ჯამი გავყოთ 12-ზე, გამოვა ასეთი ფორმულა: $\frac{700 \times 6 \times 8}{12} = 2800$ კ. ანუ 28 მ. მაშასადამე 700 მ. გაცემული 6% წელიწადში 8 თვის განმავლობაში სარგებელს შემოუტანს 28 მ.

სრული დღეების პროცენტებს გამოიანგარიშებენ ასრე: თავნი ფული უნდა გამრავლდეს პროცენტების და დღეების რიცხვებზე და ჯამი გაიყოს 360-ზე. მაგალითად: 1200 მ. გაცემულია 10% წელიწადში, რამდენი სარგებელს შემოიტანს სრულს 12 დღის განმავლობაში? ზემო მოყვანილს წესით უნდა მოვიქცეთ ასრე: თავნი ფული 1200 მ. გავამრავლოთ პროცენტების და დღების რიცხვებზე ე. ი. 10 და 12-ზე და ჯამი გავყოთ 360-ზე, გამოვა ასეთი ფორმულა: $\frac{1200 \times 10 \times 12}{360} = 400$ კაპ. ანუ 4 მან. მაშასადამე 1200 მ. გაცემული 10% თორმეტის დღის განმავლობაში შემოიტანს 4 მ. სარგებელს.

რო უფრო გავუადვილოთ მკითხველებს პროცენტების გამოანგარიშება შემდეგს ცხრილს მოვიყვანთ სრული დღეების პროცენტის გამოსანგარიშებლად: თავნი ფული უნდა გამრავლდეს დღეების რიცხვზე და ჯამი გაიყოს:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა, | — | 180-ზე | თუ ფული | გაცემულია | | 2% | წელიწადში. |
| ბ, | — | 120 | „ | „ | „ | 3% | — |
| გ, | — | 90 | „ | „ | „ | 4% | — |
| დ, | — | 72 | „ | „ | „ | 5% | — |
| ე, | — | 60 | „ | „ | „ | 6% | — |
| ვ, | — | 45 | „ | „ | „ | 8% | — |
| ზ, | — | 40 | „ | „ | „ | 9% | — |
| ჱ, | — | 36 | „ | „ | „ | 10% | — |
| თ, | — | 30 | „ | „ | „ | 12% | — |

## ცხრილი პროცენტების გამოანგარიშებისა ყოველ 100 მანეთზე.

| თვენი | 1% | 2% | 3% | 4% | 5% | 6% | 7% | 8% | 9% | 10% |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. კაპ. | | | | | | | | | |
| 1 | — $8^{1}/^{3}$ | — $16^{2}/_{3}$ | — 25 | — $33^{1}/_{3}$ | — $41^{2}/_{3}$ | — 50 | — $58^{1}/_{3}$ | — $66^{2}/_{3}$ | — 75 | — $83^{1}/^{3}$ |
| 2 | — $16^{2}/_{3}$ | — $33^{1}/_{9}$ | — 50 | — $66^{2}/_{3}$ | — $83^{1}/_{3}$ | 1 — | 1 $16^{2}/_{3}$ | 1 $33^{1}/_{3}$ | 1 50 | 1 $66^{2}/_{3}$ |
| 3 | — 25 | — 50 | — 75 | 1 — | 1 25 | 1 50 | 1 75 | 2 — | 2 25 | 2 50 |
| 4 | — $33^{1}/_{3}$ | — $66^{2}/_{3}$ | 1 — | 1 $33^{1}/_{3}$ | 1 $66^{2}/_{3}$ | 2 — | 2 $33^{1}/_{3}$ | 2 $66^{1}/_{3}$ | 3 — | 3 $33^{1}/_{3}$ |
| 5 | — $41^{2}/_{3}$ | — $83^{1}/_{3}$ | 1 25 | 1 $66^{2}/_{3}$ | 2 $08^{1}/_{3}$ | 2 50 | 2 $91^{2}/_{3}$ | 3 $33^{2}/_{3}$ | 3 75 | 4 $66^{2}/_{3}$ |
| 6 | — 50 | 1 — | 1 50 | 2 — | 2 50 | 3 — | 3 50 | 4 — | 4 50 | 5 — |
| 7 | — $58^{1}/_{3}$ | 1 $16^{2}/_{3}$ | 1 75 | 2 $33^{1}/_{3}$ | 2 $91^{2}/_{3}$ | 3 50 | 4 $08^{1}/_{3}$ | 4 $66^{2}/_{3}$ | 5 25 | 5 $83^{1}/_{3}$ |
| 8 | — $66^{2}/_{3}$ | 1 $33^{1}/_{3}$ | 2 — | 2 $66^{2}/_{3}$ | 3 $33^{1}/_{3}$ | 4 — | 4 $66^{2}/_{3}$ | 5 $33^{1}/_{3}$ | 6 — | 6 $66^{2}/_{3}$ |
| 9 | — 75 | 1 50 | 2 25 | 3 — | 3 75 | 4 50 | 5 25 | 6 — | 6 75 | 7 50 |
| 10 | — $83^{1}/_{3}$ | 1 $66^{2}/_{3}$ | 2 50 | 3 $33^{1}/_{3}$ | 4 $16^{2}/_{3}$ | 5 — | 5 $83^{1}/_{3}$ | 6 $66^{2}/_{3}$ | 7 50 | 8 $33^{1}/_{3}$ |
| 11 | — $91^{2}/_{3}$ | 1 $83^{1}/_{3}$ | 2 75 | 3 $66^{2}/_{3}$ | 4 $58^{1}/_{3}$ | 5 50 | 6 $41^{2}/_{3}$ | 7 $33^{1}/_{3}$ | 8 25 | 9 $16^{1}/_{3}$ |
| 12 | 1 — | 2 — | 3 — | 4 — | 5 — | 6 — | 7 — | 8 — | 9 — | 10 — |

## საიურიდიო ნაწილი.

ყოველს პირს, ვინც კი სრულ წლოვანია ესე იგი ვინც 21 წლის არის, შეუძლიან ჩივილი, გარდა შეშლილების, ყოველ ღირსების აყრილ და გაკოტრებულ პირთა.

მცირე წლოვანების და შეშლილების მაგიერ ჩივილი შეუძლიანთ ოპეკუნებს ამის გარდა ყოველ მომჩივარს პირს შეუძლიან თავისი საჩივარი გადასცეს ეგრედ წოდებულ ნაფიც ვექილებს და კერძო ვექილებს, ხოლო ამ შემთხვევაში მაგ პირთ უნდა ჰქონდესთ რწმუნების ქაღალდი, რომელსაც ნოტარიუსი ამტკიცებს ხოლმე.

ყოველმა მოჩივარმა პირმა უნდა შეიტანოს თხოვნა იმ სასამართლოში, რომელსაც საქმე თხოულობს და თხოვნაზე დაკრულ უნდა იყვეს 80 კაპეიკიანი მარკა. თხოვნაში უნდა იყვეს ახსნილი დაწვრილებით საქმე და აგრეთვე გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი როგორც მოჩივარისა აგრეთვე იმ პირისა ვიზედაც სჩივიან. თხოვნის შეტანა სასამართლოში შეიძლება პირადად და გადაცემითაც, ხოლო ამ უკანასკნელ შემთხვევაში თხოვნაში მოხსენებულ უნდა იყვეს, რომ თხოვნა გადაეცა სასამართლოში გადასაცემათ ამ და ამ პირს. საჩივარა თხოვნასთან ერთად უნდა წარდგენილ იქმნას სასამართლოში ის საბუთებიც, რომელზედაც მოჩივარი აფუძნებს თავის საჩივარს, აგრეთვე კოპიები თხოვნისა იმდენი, რავდენი პასუხის მგებელნი პირნი არიან, ამის გარდა უდნა წარდგენილი იქმნას ფულიც ეგრედ წოდებული საჩივარო ხარჯი ყოველ 100 მანთზე ნახევარი მანეთი; თუ რომელიმე ამ პირობათაგანი არ იქმნა ასრულებული, მაშინ მოჩივარს თხოვნა უკან უბრუნდება.

დანიშნულ დროზე უნდა მოვიდეს ორივე პირი: მოჩივარი და პასუხის მგებელი, ხოლო თუ არ მოვიდა პასუხის მგებელი მაშინ სასამართლო უიმისოდაც ადგენს თავის გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინებას და თუ არ მოვიდა თვითონ მომჩივარი მაშინ საქმეს სრულებით შეაყენებენ ხოლმე.

## მომრიგებელი სასამართლო

მომრიგებელ მოსამართლე არჩევს ყოველ გვარ საქმეთ, რომელნიც ორას თუმანს არ აღემატებიან, ყოველ გვარ საქმეს, რომლისაგან პირს რამე ზიანი მისცემია, შეურაცყოფის მიყენებას, საკუთრების დარღვევას, ყოველ გვარ დავებს და სხვას.

თხოვნა უნდა მიეცეს იმ მომრიგებელ მოსამართლეს, სადაც პასუხის მგებელი პირი დგას, მოდავეს უფლება აქვს თავის საქმე გადასცეს ვექილს, რომელსაც რწმუნების ბარათი უნდა ჰქონდეს მიცემული; რწმუნებულ ვექილს შეუძლიან საქმე მორიგებითაც გაათაოს.

თხოვნასთან ერთად წარდგენილ უნდა იყვეს ყოველ გვარი დასამტკიცებელი საბუთები.

მომრიგებელი მოსამართლე საქმეს არჩევს საჯაროდ, თუმცა ხანდისხან საქმეს არჩევენ არა საჯაროდ, თუკი მაგას მოდავენი მოისურვებენ და მოსამრთლეც დაინახავს საჭიროდ. თუ კი საქმე მორიგებით გათავდა მოდავეთა შორის, მაშინ საქმე ჩაითვლება სრულებით გათავებულად, ხოლო თუ რომელიმე მოდავეთაგანი არ დაეთანხმა მოსამართლის განჩინებას, მას შეუძლიან იჩივლოს უმაღლეს სასამართლოში.

საქმის გადადება შეიძლება მაშინ როცა ერთი რომელიმე მოდავე პირი მაგას თხოულობს და თუ მოსამართლე მაგას საჭიროდ დაინახავს.

მოჩივარმა უნდა დაამტკიცოს თავის საჩივარი საქმე ან საბუთებით ან მოწმების საშუალობით.

მოწმებს იხმობს მოსამართლე და თუ მოწამე დანიშნულ დროზე არ მოვიდა სასამართლოში მაშინ მოსამართლე ჯარიმას ახდევინებს იმ შემთხვევაში თუ მოწამემ ვერ წარმოადგინა თავის გასამრთლებელი საბუთი.

მოდავეთ შეუძლიან სთხოვონ მოსამართლეს, რომ საქმის გარჩევის დროს მოწამეებმა დაიფიცონ. ფიცი ეკუთვნის დასამტკიცებელს საბუთს

ხანდისხან მომრიგებელ მოსამართლეს შეუძლიან საქმე გაათაოს უპასუხის მგები პირითაც, თუ ეს უკანასკნელი არ მოვა დანიშნულ დროზე, და მაგისთანა განჩინებას ჰქვიან „ზაოჩნოე რეშენიე“ (უპირო განჩინება) ხოლო ამ შემთხვევაში პასუხის მგები პირს ეგზავნება კოპიო განჩინებისა. პასუხის მგები პირს შეუძლიან ორი კვირის განმავლობაში—ზაოჩნოე რეშენიეს შემდეგ—პასუხი გასცეს სასამართლოში განჩინების დადგინებაზე.

რა კი უპირო განჩინებაზე დამნაშავედ ცნობილი პირი „ოტზივს“ (პასუხს) მისცემს მაშინ, რა თქმა უნდა, უპირო განჩინებას ძალა ეკარგება. მაგრამ თუ მეორედაც არ მოვიდა პასუხის მგებელი პირი, მაშინ მოსამართლე ხელ მეორედ ადგენს განჩინებას, რომელზედაც ოტზივის (პასუხის) მოცემა არ შეილება. შეიძლება აგრეთვე უპირო განჩინებაზე აპელლიაციის წესით იქმნას გადატანილი საქმე უმაღლეს სასამართლოში.

ყოველი განჩინება მოსამართლესი შეიძლება გადატანილ იქმნას უმაღლესს სასამართლოში ერთის კვირის განმავლობაში.

## საოლქო (ОКРУЖНЫЙ) სასამართლო

საოლქო სასამართლო არჩევს ყოველ გვარ საქმეს, რომელიც არ ემორჩილება მომრიგებელ სასამართლოს. აქაც საჩივარი შეტანილ უნდა იქმნას იმ საოლქო სასამართლოში სადაც პასუხის მგებელი პირი სცხოვრობს, მაგრამ ხანდისხან შეიძლება საქმის და გარემოების მიხედვით სხვა საოლქო სასამართლოში შეტანილ იქმნას ჩივარი.

საოლქო სასამართლოს განჩინება შეიძლება გატანილ იქნას სასამართლო პალატაში გარემოების და გვარად ერთის კვირიდამ ერთს თვის ვადამდე, ზოგს საქმეს კი ოთხი თვის ვადა აქვს. აპელაციის გადატანა მაშინ შეიძლება, როდესაც რომელიმე წესი კანონთა დარღვეული ან დაცული არ იქმნება.

საზოგადოთ, როდესაც მოჩივარს საქმე გადააქვს მომრიგებელ სასამართლოდამ საოლქო სასამართლოში, ან საოლქო სასამართლოდამ სასამართლო პალატაში, თხოვნასთან ერთად წარდგენილ უნდა იქმნას ყველა დასამტკიცებელი საბუთები, კოპიები განჩინებიდამ და სხვა დოკუმენტმები, რომელნიც მარკიანი ქაღალდზე დაიმოწმება ნოტარიუსისაგან.

მოჩივარმა თუ საქმე მოიგო, შეუძლიან დამნაშავესაგან მოითხოვოს თავის სასარგებლოთ სასამართლო ხარჯი და საქმის წარმოების ხარჯიც. ამის გარდა მოჩივარს ეძლევა „ისპოლნიტელნი ლისტი" (შემასრულებელი ბარათი).

ყოველ გვარი შესრულება განჩინებათა უნდა მოახდინონ სამოსამართლო პრისტავებმა. სამოსამართლო პრისტავი ატყობინებს უწყებით დამნაშავეთ ცნობილ პირს სასამართლოსაგან გადაწყვეტილ განჩინებას. დამნაშავედ ცნობილ პირს შეუძლიან ჩივილოს სამოსამართლო პრისტავზე საოლქო სასამართლოში, თუ პრისტავი რამე უკანონო საქციელს ჩაიდენს თავის მოვალეობის აღსრულების დროს.

„ისპოლნიტელნი ლისტით" (შემსრ. ბარ.) შეიძლება აწერილ იქმნას მამული, როგორც მოძრავი, აგრეთვე უძრავი, სხვა და სხვა ქონება, ჯამაგირი, პენსია და სხვა ამ გვარი სახსარი ცხოვრებისა.

## პირობების შეკვრა

პირობების შეკვრა შეიძლება პირადაც და ბარათებითაც,

ხოლო მომეტებულად პირობები ბარათებზე იწერება ხოლმე. პირობების შეკვრა შეიძლება შინაურად და ნოტარიუსის შემწეობითაც. საზოგადოთ ყოველი პირობა მაშინ არის კანონიერი, როდესაც ამ პირობით არა ვითარი ზიანი არ ეძლევა მესამე პირს. პირობები უსათუოდ უნდა იყვეს დაწერილი ღერბის, აქტის ან მარკიანი ქაღალდზე. შეიძლება რომ პირობა უმარკო ქაღალდზე იყვეს დაწერილი, ხოლო ამ შემთხვევაში თუ საქმე ჩივილზე მივიდა მოჩივარს და პასუხის მგებელს ერთი ათად ჯარიმა გადაეხდევინება და ხანდისხან ოცდა ხუთზე მეტი ფასიც ქაღალდის ღირეულობისა. ყოველ პირობის ქაღალდი უსათუოდ მოწერილ უნდა იყვეს პირობის შემკვრელ პირთაგან. პირობის შემკვრელებს უნდა ჰქონდეთ ხელ მოწერილი პირობის პირები (კოპიები). თუ ერთმა პირობის შემკვრელ პირთაგანმა წერა არ იცის, მაშინ მის მაგიერ სხვა ვინმე აწერს ხელს, ხოლო ესეთი ხელის მოწერა დამტკიცებული უნდა იყვეს პოლიციის პრისტავისაგან ან ნოტარიუსისაგან. არ შეიძლება პირობის შეკვრა მცირეწლოვანებთან, გიჟებთან, ბრმებთან, ყრუებთან, მუნჯებთან, ოპეკის ქვეშ მყოფებთან, სულელებთან, გაკოტრებულ პირებთან და ყოველ ღირსება აყრილ-პირებთან.

## ანდერძები.

შეიძლება ანდერძება უმოძრავო ქონებათა მაგ.: მამულებისა, სახლებისა და სხვა შენობებისა, რომელნიც გადასულ არიან მამა პაპიდამ მემკვიდრეობით და აგრეთვე კეთილ შეძენილი ქონებაც. მამა პაპეული ქონებანი უსათუოდ შვილებს და ნათესავებს უნდა ეანდერძოს. ყოველ სრულ წლოვან პირს შეუძლიან ანდერძება, ქალი იქნება იგი თუ ვაჟი, ხოლო თუ სრულ ჭკვაში და გონებაში იმყოფებიან. ანდერძის ბარათები შეიძლება შეიდგინოს შინაურად და ნოტა-

რიუსის შემწეობითაც. მეანდერძეს სიკვდილის შემდეგ ანდერძის ბარათი უნდა წარდგენილ იქმნას საოლქო სასამართლოში დასამტკიცებლად და მფლობელობაში შესაყვანად.

## ნოტარიუსები

ნოტარიუსები მოვალენი არიან ყოველ დღე იყვნენ თავიანთ კონტორაში არა ნაკლებ ექვსის საათისა. ნოტარიუსი მოვალეა, თუ რომელიმე პირი ავად არის და სახლიდამ გასვლა არ შეუძლიან თავისუფალ დროს ავად მყოფი პირის სახლში მივიდეს აქტების შესამოწმებლად. თუ ნატარიუსმა რამე უკანონობა ჩაიდინა შეიძლება იმაზე საჩივარი შეიტანოთ ორი კვირის განმავლობაში საოლქო სასამართლოში.

*ნატარიალური ხარჯი.* ნოტარიალურს ხარჯს შეადგენს ღერბის ქაღალდის ხარჯი თავნი ფულის შესაფერად, ნასყიდობის ხირჯი და აქტოვოი ხარჯის.

*დასაჩუქრება ნოტარიუსებისა.*—აქტი, რომელიც არ აღემატება 500 მანეთს, ნოტარიუსებს ეძლევად 2 მ. აქტები 501—1000 მანათაძდე 3 მ. აქტები რომელნიც 1000 მ. აღემატებიან 4 მ. და კიდევ $^{1}/_{10}$ % აქტის ღირეულობისა ანუ ყოველ ათ თუმანზე ორი შაური. იქტი, რომელიც არ აღემატება 500 მ., დამოწმებისათვის ეძლევათ 50 კაპ., ხოლო თუ 500 მანეთს აღემატება მაშინ აქტის დამოწმებისათვის ეძლევათ 1 მანეთი $^{1}/_{10}$ % იქტის ღირეულობისა; კოპიების დამოწმებისათვის ეძლევათ 25 კაპეიკი. პირველი თაბახიდამ,—დანარჩენებზე ორ ორ შაური. ხელის მოწერის დამოწმებისათვის ორ ორ შაური; რწმუნების ბარათების, თხოვნების და სხვა სასამრთლო ბარათების დამოწმებისათვის ეძლევათ ყოველ პირველ თაბახზე თვითო მანათი, დანარჩენებზე 50 კაპ.

სხვა და სხვა აქტოვოი ქაღადლების დავთარში შეტანისათვის ეძლევათ ყოველ სტიქონზე 2 კაპ. და სხვა.

## დასაჩუქრება სამოსამართლო პრისტავებისა

ქონების აღწერის და დაფასებისათვის პრისტავებს ეძლევად ყოველ მანეთში თითო კაპ. მაგალითად 25 მ.-ში 25 კაპეიკი, 400 მ-ში. 4 მანეთი, 500 მ.-ში 5 მ. ხოლო თუ 500 მანეთიდამ 5000 მანათამდე, ყოველ ათი თუმანზე ეძლევათ ნახევარი მანათი; 5000—25000 მანეთამდე ყოველ ასი თუმანში 2 მანეთი.

ნივთების დაბეჭდისათვის ან ბეჭდის ახსნისათვის ეძლევათ ყოველ 50 ბეჭედში სამ სამ კაპ. როცა 100 ბეჭედია მაშინ ორ ორ კაპეიკი როდესაც 1000 მაშინ თითო თითო კაპეიკი.

## ვექილების (ადვოკატების) სასყიდელი

ნაფიც ვექილებს სასამრთლოში საქმის დაცვისათვის კანონით ერგებათ: დავისათვის 500 მ.—2000 მანეთამდე ათი პროცენტი ($10^0/_0$) ესე იგი ყოველ ას მანეთში ერთი თუმანი. რაც 2000 მანეთს აღემატება $8^0/_0$, რაც 5000 მარეთს აღემატება $4^0/_0$, რაც 25000 მან. აღემატება $2^0/_0$, რაც 50000 მანეთს აღემატება $1^0/_0$, 75000 მ. აღემატება $^1/_2{}^0/_0$. ეს კანონიერი სასყიდელია, ხოლო ხშირად ხდება რომ ვექილები უფრო მეტს ღებულობენ. ეს დამოკიდებულ პირობაზე.

---

## ახალი ღერბის ქაღალდი.

ღერბის ქაღალდები ან მის მაგიერ მარკები ორის ღირსესის არიან: ერთი 80 კაპეიკიანი (ოთხ აბაზიანი) და მეორე 15 კაპეიკიანი (სამ შაურიანი).

**ოთხ აბაზიანი** ქაღალდებს ანუ მარკებს ხმარობენ ყოველ გვარ თხოვნებისათვის, საჩივარ ბარათებისათვის, პასუხე-

ბისათვის, კოპიებისათვის და სხვა დოკუმენტებისათვის, რომელთ ფასი აღემიტება 50 მ. ყოველ გვარი ოფიციალური მოწმობისათვის, ანდერძებისათვის, შესყიდის ბარათებისათვის, ვექილობის ბარათებისათვის, კუპჩებისათვის, დანნებისათვის ნასყიდობის ქაღალდების და სხვა. მრავალი დოკუმენტებისათვის.

**სამ შაურიანი** მარკებს ხმარობენ ყოველ გვარ დოკუმენტებისა და საქმის ბარათებისათვის რომლების ფისი ანუ ღირეულობა არ აღემატება 50 მანეთს.

**სამ აბაზიანი** და **ორ შაურიანი** მარკები დარჩენილია სახმარებელად მხოლოდ მარტო პასპორტების, ბილეთების და მოწმობისათვის.

აღკრძალულია წერა ერთს ღერბის ქაღალდზე ან ერთი მარკიანი ქაღალდზე ორის, სამის და მეტის აქტების ანუ დოკუმენტებისა. ვინც ამას დაარღვევს ან არა და სულ არ იხმარებს ღერბის ქაღალდს ან მარკას იმას ჯარიმა გადაეხდევინება ათჯერ მომეტებული ფასი ვიდრე მარკიანი ქაღალდი ღირს.

ამის გარდა არის კიდევ ეგრედ წოდებული პროპორციანალური ღერბოვოი ღირეულობა ან თანაბრობითი ესე იგი ისეთი ღირეულობა ღერბის ქაღალდისა, რომელიც ეთანახმება საქმის—აქტის ჯამს.

საზოგადოთ ყოველ გვარი საქმის ქაღალდები და ბარათები უთუოდ ღერბის ან მარკიანი ქაღალდზე დაწერილ უნდა იყვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფასები

ვექსელის ქაღალდებისა / ნასყიდობის

| | | მ. | კ. | | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მანეთიდ. | 50 მან. | — | 10 | 50 მანეთ. | 300 მან. | 1 | 65 |
| 55 — | 100 — | — | 15 | „ — | 900 — | 3 | 10 |
| 100 — | 200 — | — | 30 | „ — | 1500 — | 5 | 40 |
| 200 — | 300 — | — | 40 | „ — | 2000 — | 7 | 10 |
| 300 — | 400 — | — | 55 | „ — | 3000 — | 11 | — |
| 400 — | 500 — | — | 70 | „ — | 4500 — | 15 | 65 |
| 500 — | 600 — | — | 80 | „ — | 6000 — | 20 | 30 |
| 600 — | 700 — | — | 90 | „ — | 7500 — | 28 | — |
| 700 — | 800 — | 1 | — | „ — | 9000 — | 31 | — |
| 800 — | 900 — | 1 | 15 | „ — | 10000 — | 36 | — |
| 900 — | 1000 — | 1 | 20 | „ — | 12000 — | 41 | — |
| 1000 — | 1500 — | 1 | 90 | „ — | 13000 — | 48 | — |
| 1500 — | 2000 — | 2 | 50 | „ — | 15000 — | 53 | — |
| 2000 — | 3200 — | 3 | 70 | „ — | 18000 — | 63 | — |
| 3200 — | 4000 — | 5 | 15 | „ — | 21000 — | 71 | — |
| 4000 — | 6400 — | 6 | 80 | „ — | 30000 — | 103 | — |
| 6400 — | 8000 — | 9 | — | „ — | 45000 — | 156 | — |
| 8000 — | 10000 — | 11 | 40 | „ — | 60000 — | 211 | — |
| 10000 — | 12000 — | 13 | 80 | „ — | 90000 — | 312 | — |
| 12000 — | 15000 — | 15 | 60 | „ — | 120000 — | 415 | — |
| 15000 — | 20000 — | 21 | — | „ — | 150000 — | 519 | — |
| 20000 — | 25000 — | 27 | 60 | „ — | 225000 — | 781 | — |
| 25000 — | 30000 — | 33 | 60 | „ — | 300000 — | 1031 | — |
| 30000 — | 40000 — | 42 | — | „ — | „ „ — | — | — |
| 40000 — | 50000 — | 54 | — | „ — | „ „ — | — | — |

## როგორ უნდა დაიწეროს ზოგი ერთი საქმის ქაღალდები.

(ვექსელი) თამასუქი იწერება ასრე; მაგალითად:

თბილისი 17 დეკემბერს 1887 წელს. ვექსილი 600 მან.

ამა ჩვიდმეტ დეკემბრიდამ ათას რვას ოთხმოცდა შვიდი წლიდამ ექვსი თვის შემდეგ (აქ შეიძლება დაისახელოს რამდენი დროისათვის) ამ ჩემის თამასუქით მოვალე ვარ მე (აქ სახელი, მამის სახელი დს გვარი) მივცე მცხოვრებს თბილის გუბერნიისა თბილისის მაზრისა, სოფელ ახალ გორისა (აქ უნდა დაიწეროს სახელი მამის სახელი და გვარი) ან იმას ვისაც მანიშნებს იგი ექვსასი მანეთი, რომელიც მივიღე მე იმისაგან სრულად ფულად (ან საქონლით ამის შემდეგ ხელი უნდა მოაწეროს მიმღებმა პირმა ესე იგი თავისი სახელი, მამის სახელი და გვარი).

**სესხის ბარათი** (ვექსელის ქაღალდზე იწერება) ათას რვაას ოთხმოც და შვიდს წელსა, ნოემბერს რვას მე ქვემორემ ამისა ხელის მომწერმა (აქ უნდა სახელი, მამის სახელი და გვარი) ვისესხე ქ. თბილისის მცხოვრებისაგან (აქ უნდა სახელი და გვარი მსესხებელისა) ათი თუმანი ნახევარის წლის ვადით (აქ შეიძლება რამდენი დრო გსურთ იმდენი დაისახელოს) ესე იგი მომავალის ათას რვას ოთხმოცდა რვა წლის რვა მაისისათვის სრულად უნდა ჩავაბარო ჩემგან ნასესხი. ათი თუმანი, წინააღმდეგ შემთხვევოში (აქ საჭიროა სახელი და გვარი მსესხებლისა) მომექცეს კანონიერად კანონების ძალით. (ამის შემდეგ სახელი, მამის სახელი და გვარი მოვალისა)

**შენახვის ბარათი** (сохранная росписка) ათას რვაას· ოთხმოცდა შვიდს წელს ოცს ენკენისთვეს თბილისში მე ქვემორემ ამის ხელის მომწერმა (სახელი და გვარი) მივიღე (სახელი და გვარი ვისგანაც მიღებულია) შესანახვად ორასი მანათი (ან ქონება ან ნივთი და სხვა ხოლო სია და დაწვრილებითი აღწერილობა უნდა იყვეს ნივთათა, რომელიც მოვალე ვარ დავუბრუნო პირველსავე თხოვნაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონიერი პასუხის გებაში ვეძლევი (სახელი და გვარი მიმღებისა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შინაური ანდერძი** სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. მე ქვემორე ამისა ხელის მომწერელი, მცხოვრები თბილისის გუბერნიის, სიღნაღის მაზრის, სოფელი ველის ციხის (სახელი, მამის სახელი და გვარი) სრულს ხსომიერებაში და ნათელს გონებაში ჩემის სიკვდილის შემდეგ ვუანდერძებ: (ამა და ამა პირს სახელი და გვარი მისი) ჩემს შეძენილს უმოძრავო ქონებას, რომელიც შესდგება (ამა და ამ მიწიდამ ამა და ამ ადგილს) სრულს საკუთრებად, ჩემი მოძრავი ქონება (ამდენი ნივთი ფული და სხვა დაწვრილებით უნდა დაისახელოს ყოველივე) ამ ჩემს ანდერძის აღმასრულებლად ვნიშნავ (ამა და ამ პირის სახელი და გვარი) ამინ! (აქ სახელი და გვარი მეანდერძესი.

**შენიშვნა** როდესაც ქონება მემკვიდრეობით არის მაშინ ამ გვარ ქონებას და მამულს უანდერძებენ მხოლოდ ნამდვილს მემკვიდრეს—ხოლო შეძენილი ქონების ანდერძება შეიძლება სურვილისა მებრ. ყოველს ანდერძს უნდა მოწმობდეს სამი მოწამე.

**რწმუნების ბარათი** (довѣренность) მოწყალეო ხელმწიფევ! (აქ უნდა დაიწეროს სახელი და მამის სახელი რწმუნებულისა).

ამ რწმუნების ბარათით ნებას გაძლევთ თქვენ იშუამდგომლოთ ყველა ჩემი საქმეებისათვის ყველგან სასამართლოებში და სხვა და სხვა სამმართველოში და კერძო პირებთან, როგორც თქვენ დაინახავთ საჭიროდ. თქვენ შეგიძლიანთ საჭიროების და გვარად იჩივლოთ მომრიგებელ მოსამართლესთან და სხვა უმაღლეს სასამართლოში, შეიტანოთ თხოვნა, პასუხი მისცეთ ყოველ გვარ განჩინებებზე, დაიწყოთ სხვა და სხვა დავები, მიიღოთ დოკუმენტები, მოწმეები და სხვა და სხვა ცნობები, შეგიძლიანთ აგრეთვე თქვენის შეჴ-

დულობით ყოველ გვარ სადაო საქმეების დაწყება შემასრულებელი ბარათების (ისპოლნიტელნი ლისტების) მიღება და მორიგებით გათავება საქმეთა, მიიღოთ ფულები, რომელნიც კანონით და სასამართლოს განჩინების ძალით ჩემს სასარგებლოთ იქნება გადაწყვეტილი, ჩემს გადმოსაცემათ. შეგიძლიანთ აგრეთვე ეს რწმუნების ბარათი სხვა პირს გადასცეთ. ყველაფერში რასაც კი მოახდენთ მე სრულებით გეთანხმებით და გერწმუნებით და არამც და არამც წინააღმდეგობას არ გაგიწევთ. ეს რწმუნების ბარათი ეკუთვნის (აქ დასახელებული უნდა იყვეს წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი იმ პირის, რომელსაც ეკუთვნის რწმუნების ქაღალდი. ყოველი რწმუნების ბარათი ნოტარიუსისაგან დამტკიცებულ უნდა იყვეს.)

**ნასყიდობის ქაღალდი (запродажная запись)** ათას რვაას ოთხმოცდა რვა წელს, თორმეტს აპრილს, მექვემორე ამისა ხელის მომწერმა (აქ სახელი და გვარი უნდა გამყიდველისა) მივყიდე (აქაც სახელი და გვარი იმ პირისა, რომელმაც იყიდა) ჩემი საკუთარი მიწა, რომელიც მდებარეობს თბილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში სოფელ ტყვიავში (ან ის ადგილი სადაც მაწა მდებარეობს) და რომელიც შეიცავს 400 დღეურს მიწას, მათ შორის 150 დღეური სახნავ-სათესი, 150 ტყე, 90 საძოვარი ადგილი და 10 დღეური ზვარი, რომელნიც ემიჯნებიან (აქ უნდა დაისახელოს სამიჯნო ადგილები და პატრონების გვარი და სახელი) გავყიდე მე ეს მიწები სამას თუმნად, რომლიდამაც ორასი თუმანი უკვე მიღებული მაქვს ბეეთ. კუპჩის ქაღალდს შევადგენ ერთის თვის შემდეგ, და თუ რომელიმე მიზეზით კუპჩის ბარათი არ შესდგა მე მოვალე ვარ (ამა და ამას) დავუბრუნო უკან ჩემგან უკვე მიღებული ბეე და ამის გარდა ჯარიმა ორმოცდა ათი თუმანი. მე (აქ სახელი და გვარი) მოვალე ვარ დარჩენი ასი თუმანი ჩავაბარო (აქ სახელი და გვარი ვისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ჩაბარდეს ფული) რა წამს ნოტარიუსი კუპჩის ქაღალდს დამიმტკიცებს. თუ ვინიცობა მე (აქ სახელი და გვარი) უარს ვიტყვი მამულის ყიდვაზე მაშინ ჩემი ბეე სრულ საკუთრებად რჩება მამულის გამყიდავს (აქ სახელი და გვარი.)

(ამის შემდეგ ხელი უნდა მოაწერონ გამყიდავმა და მყიდველმა, წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი.)

**ᲒᲘᲠᲐᲕᲜᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ** ათას რვაას ოთხმოცდა რვა წელს, მარტის ხუთმეტს მე ქვემორე ამისა ხელის მომწერმან (აქ სახელი, მამის სახელი და გვარი) ვისესხე (ამა და ამ პირისაგან სახელი და გვარი) ორმოცი თუმანი ფულად (ამა და ამ სარგებლით) ორის წლის ვადით ესე იგი ათას რვაას ოთხმოცდა ათს წლამდე მარტის ხუთმეტამდე და ამ ფულში გირაოდ მივეცი ჩემი ორ სართულიანი სახლი (აქ დაისახელება ის რასაც გირაოდ აძლევენ მამული იქნება ის თუ ნივთი) რომელიც მერგო მემკვიდრეობით დედი ჩემისაგან, რომელიც არსად არ არის გიყიდული და დაგირავებული, რომელიც იმყოფება ქ. თბილისში, პირველ განყოფილების მეხუთე ნაწილში და თუ ვინიცობა ნასესხი ფული თავის სარგებლით არ დავუბრუნო დანიშნულ ვადაზე (ამა და ამ პირს) უფლება აქვს კანონიერად მომექცეს (აქ ორნივე ხელს აწერენ)

**ᲙᲣᲞᲩᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ** ათას რვაას ოთხმოცდა რვა წელს ენკენისთვის ოცს მექვემორე ამისა ხელის მომწერმა (სახელი და გვირი) მივყიდე ჩემი საკუთარი მამული, რომელიც შესდგება (აქ დასახელებულ უნდა იქმნეს მამულის სახე ესე იგი სახლია იგი თუ მიწა და სხვა აგრეთვე სად მდებარეობს მამული მიჯნები და სხვა.) და რომელიც მერგო ნასყიდობის ქაღალდით (ამა და ამ პირისაგან) სამი ათას თუმნად (ამა და ამ პირს სახელი და გვარი) ამ კუპჩას ხელს აწერენ (ესა და ეს პირნი) არავითარი ვალი და ზაპრეშჩენი არ აძევს ამ მამულს.. ხარჯი ვიკისრე მე მყიდველმა (სახელი და გვარი) ხელს ვაწერთ (აქ ორნივე გამყიდავი და მყიდველი ხელს აწერენ,)

**დაქირავების ბარათი** ათას რვაას ოთხმოცდა რვა წელს აგვისტოს შვიდსა მე ქვემორე ამის ხელის მომწერმა (სახელი და გვარი) ვიქირავე თქვენგან (სახელი და გვარი) ერთ სართულიანი სახლი (რამდენი ოთახებია და სხვა) მდებარე ქალ. თბილისში ვორონცოვის ქუჩაზე ხუთის წლით. ფასი უნდა გაძლიოთ წელიწადშა ოცდა ხუთი თუმანი ყოველ წლის დასაწყისში წინეთ. რაც შეეხება სახლის სისუფთეს და წმინდად შენახვას მე მოვალე ვარ სვინიდისიერად, წესიერად ვიყო. ხოლო თუ სახლს დასჭირდა ან გარევან ან შიგან ოთახების გასწორება მე (სახელი და გვარი) მოვალე ვარ ვიკისრო ყველა ეს ჩემს ხარჯზე. თუ ვინიცობა ეს სახლი ჩემის მიზეზით ან დაიწვა ან დაზიანდა მე მოვალე ვარ პასუხი გაგცეთ თქვენ სახლის პატრონს (აქ სახელი და გვარი) მე სახლის პატრონს (სახელი და გვარი) ნება არა მაქვს თქვენდა უნებურად დაგაცლევინოთ სახლი თქვენ (სახელი და გვარი) დანიშნულ დრომდე ესე იგი ათას რვაას ოთხმოცდა მეცამეტე წლის აგვისტოს შვიდამდე. თუ ვადის გასვლის შემდეგ თქვენ მოისურვებთ ჩემი სახლის ხელ ახლად დაქირავებას მე არ შემიძლიან უარი ვყო თქვენი სურვილი. ჩემგან სახლის დაცლის დროს მე (სახელი და გვარი) მოვალე ვარ სახლი ჩაგაბაროთ იმ სახით რა სახითაც თქვენ გადმომეცით პირველადვე ეს პირობა ორივე მხარემ წმინდათ და შეურყევლად უნდა შევასრულოთ წინაალმდეგ შემთხვევაში პირობის დამრღვევ პირს ათი თუმანი ჯარიმა გადაეხდევინება, რაშიაც ხელს ვაწერთ (აქ ორნივე ხელს აწერენ.

**ხელწერილი ფულის მიღებაზე დაკარგლ თამასუქით** მე ქვემორე ამისა ხელის მომწერი (სახელი და გვარი) ვაძლევ ამ ხელის წერილს ბატონს (აქ სახელი და გვარი) იმაში რომ მე უკვე მიღებული მაქვს ვალი, რომელიც თქვენ (სახელი და გვარი) გმართებდათ თამასუქით, ესე იგი ექვსი თუმანი თავის სარგებლით და რადგან მე თქვენი თამასუქით დაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



კარგე ამიტომ გაძლევთ ამ ხელის წერილს, რათა თუ დაკარგული თამასუქი გამოჩნდა, თქვენ მეორედ არ გადიხადოთ ვალი—მიჟეცი ეს ხელის წერილი 1888 წელს 16 ღვინობისთვეს. ქ. თბილისი რაშიაც ხელს ვაწერ (აქ სახელი მამის სახელი დაგვარი).

---

# საოჯახო რჩევანი

ამ სათაურის ქვეშ ჩვენ მოვაქცევთ ზოგიერთ საოჯახო რჩევათ, რომელნიც ყველას გამოადგებიან. დავიწყებთ სადგომიდამ. სადგომი ადამიანს ისეთი უნდა ჰქონდეს, რომ შეძლების და გვარად არ აბრკოლებდეს ადამიანურს მოთხოვნილებას. ოთახი უნდა იყვეს მაღალი, სინათლიანი, იატაკი კარგად დაკრული, კარები ფართო, ჰაერი წმინდა. ძრიელ ერიდეთ ნოტიო ოთახებს, რადგან სინოტიესაგან მრავალი უბედურება ხდება. პირველი პირობა ადამიანის ჯანმრთელობისა არის სისუფთავე. ყოველთვის ოთახი დაგვილ-დაწმენდილ უნდა იყვეს, როცა დრო ნებას გაძლევთ ფანჯრები და კარები დაალეთ, რომ მზე შემოვიდეს და ჰაერიც გაიწმინდოს; სარეცელი და ლოგინი სუფთად შეინახეთ. ლოგინი პირველი მეგობარია ადამიანისა. ლოგინზე ვიბადებით და იქვე ვკვდებით. იქ არის ჩვენი სიხარული და სიმწუხარეც. იქ ვისვენებთ დაღლილ დაქანცულნი, იქ ვგრძნობთ ბედნიერს ცოლ-ქმრობის სიამოვნებას.

რაც შეეხება ტანთ-საცმელს ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ სჯობს კაცმა ღარიბად ჩაიცვას, ხოლო სუფთად კი. პერანგი და პერანგის ამხანაგი, წინდები და სხვა თეთრეული ყოველთვის სუფთა უნდა იყვეს. თუ იმდენი საშუალება არა გაქვს

რომ ხშირად არეცხინო, თვითონ გარეცხე აბანოში. იქ წყალი მუქთია და ადგილიც ხელს გიწყობს. ჩაცმა დახურვაც თავის ცოდნას თხოულობს. რუსული ანდაზაა, «ფეხები თბილად, თავი გრილად და მუცელი მსუბუქად იქონიეო და ჯან მრთელი იქნებიო» ფეხები ყოველთვის თბილად უნდა იქონიოთ, რადგან ყველაზე უწინ ფეხებიდამ ცივდება ადამიანი. გულის მკერდი და მუცელიც თბილად შეინახეთ. ტანის სიწმინდე დიდი რამ არის. თვეში უკანასკნელი ორჯერ მაინც უნდა იბანაოთ. მუშა ხალხს კი ყოველ კვირაზე მართებს ბანაობა.

საჭმელ-სასმელიც ხომ ყველამ იცის რა დიდი ყურადღების ღირსია. ნუ დაუჯერებთ ყოველისფერში გემოს. ხშირად გემო უბედურებას მოგვრის ადამიანს; მოთხოვნილების დაგვარად სჭამეთ და სვით. რაც გადამეტებულია ის მაწყინარი და უსარგებლოა. გაძღომა ისე მავნებელია, როგორც შიმშილი. სჭამეთ ცოტა, თუ შეძლება ნებას გაძლევთ ხშირად, ხოლო ერთბაშად ბევრს ნუ სჭამთ. უფრთხილდით წყალს, რადგან ხშირად ცუდი წყალი სენის გადამდებია. საჭმელი ყოველთვის მსუბუქი და წმინდა უნდა იყვეს.

---

## საჭმელების მომზადება

აქ ჩვენ მოვაქცევთ ზოგიერთი ქართული საჭმელების მომზადებას განაწილებულ საყოველდღეო სადილად, მაგალითად:

**ორშაბათისათვის** 1) არტალა ძროხისა ასე კეთდება. უნდა აიღოთ ძროხის კანჭები, ცური და პურტი. მერე დასჭერით, კარგად გარეცხეთ. აადუღეთ წყალი, ჩაყარეთ ქვ ბშა და ჰხარშეთ ადუღებულ წყალში სანამ წვენი არ გასქელდება, მერე ორი კბილი ნიორი და სამყოფი მარილი ჩაჰყარეთ.

2) *ჩახოხბილი მწვადი*, აიღეთ ორი ან სამი გირვანქა სამწვადე ხორცი, დასჭერით და შესწვით. შემდეგ ერბოში ხახვი მოხრაკეთ, მოხრაკულს ერთი ან ორი ჭიქა წყალი დაასხით, აადუღეთ, ოდნავ მჟავე უყავით და შემდეგ შემწვარი წვადები ჩაჰყარეთ.

**სამშაბათისათვის** 1) *ბატკნის ჩიხითმა* ასე კეთდება: აიღეთ სამი გირვანქა ბატკნის ხორცი, კარგა გარეცხის შემდეგ, დასჭერით, ჩაყარეთ ქვაბში და ჰხარშეთ, მოიხარშება თუ გადმოდგით და წვენი ცალკე გადასწურეთ, ამის შემდეგ წვრილად დასჭერით შვიდი თავი ხახვი ან მეტი ჩაჰყარით ტაფაზე ზედ ერთი ფინჯანი ერბო დაადეთ და ისე ხრაკეთ, როცა ხახვი სულ დაითუთქება მარილი უყავით და მერე ბატკნის ხორცი ჩაყარეთ ზედ გადაასხით გაწურული წვენი და ისევ ნელ ცეცხლზე დადევით, ამის შემდეგ აიღეთ ოთხიოდე კვერცხი და ძმარში ან სხვა რამე მჟავეში აურიეთ და დრო გამოშვებით ჩაასხით ქვაბში და ისევ ხელ ახლად ადუღეთ, ზედ პიტნა და ქინძი მოაყარეთ და ნახევარი საათის შემდეგ მზათ იქნება.

2) *ვარიების ტაბაკა* ასე კეთდება: გაყვლეფილი, გასუფთავებული და გამოშიგნული ვარია შუაზე გასჭერით, მოაყარეთ სამყოფი მარილი, ნახევარი ფინჯანი ერბო გააცხელეთ ტაფაში და მერე ვარია ზედ დადეთ; მოიხრაკება თუ არა შეგიძლიანთ სუფრაზე მიართვათ.

**ოთხშაბათისათვის** 1) *წვნიანი ქათამი.* ქათამი გაბტყვენით და გამოშიგნეთ, მერე ასო-ასოთ დასჭერით, ათიოდე ნიგოზი დანაყეთ, ხუთიოდე მარცვალი მიხაკი, პილპილა და დარიჩინი დანაყეთ ქინძით და ქონდარით. მერე ჩაყარეთ ქათამი ქვაბში და დანაყილი მასალები შიგ აურიეთ, ბოლოს დაასხით ერთი ფინჯანი ძმარი და ასე ორჯერ აადუღეთ, შემდეგ სუფრაზე მიართვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) ცხვრის ტოლმა, ერთი ან ორი გირვანქა ხორცი წვრილად დაკეპეთ, თან მიაყოლეთ ათი ან თორმეტი ოდე კბილი ხახვი, ამას მოაყარეთ დანაყილი პილპილი და ზირა, შემდეგ სამიოდე კვერცხი გათქვიფეთ და აურიეთ, მერე აიღეთ ცხელ წყალში ამოვლებული ვაზის ან კომბოსტოს ფოთლები და პატარ-პატარა გახვიეთ გუფთად ფოთლებში, ჩადეთ ქვაბში, ზედ დაასხით სამყოფი წყალი და ისე ხარშეთ, როცა მოიხარშება წვენი გამოსწურეთ და ზედ ერთი ფინჯალი ერბო მოასხით და ისე მოშუშეთ, ამავე დროს დანაყეთ დარიჩინი შაქრით. ბოლოს გუფთებს მოასხით სამყოფი გაწურული მაწონი და ზედ ზემო ნახსენები დანაყილი დარიჩინი შაქრით მოაყარეთ.

**ხუთშაბათისათვის** 1) ცხვრის ხაში. ცხვრის ან ძროხის ნაწლევები წმინდათ გარეცხეთ, ამასთანავე გასწმინდეთ ცხვრის ფეხებიც, შემდეგ აადუღეთ წყალში და ისევ გაასუფთავეთ, მერე ნაწილ-ნაწილად დასჭერით, ჩაყარეთ ქვაბში და ბლომად ჩაასხით წყალი, აადუღეთ ცეცხლზე, როდესაც წვენი გასქელდება, მაშინ ადუღება სამყოფი უნდა იყვეს. შემდეგ მარილით და ნიორით შეაზავეთ თქვენს გემოვნებაზე.

2) ძროხის ბეჭი. ძროხის ბეჭი უნდა გარეცხოთ, შემდეგ წყალ მარილში მოხარშეთ, ხოლო ეცადეთ რომ ძრიელ არ მოიხარშოს, სუფრაზე ცხლად უნდა მიართვათ. ვისაც ჰსურს შეუძლიან ბეჭთან იხმაროს ტყემლის საწებელი ან კიდევ სხვა რამე ან მდოგვი ან ხორდალი.

**პარასკევისათვის** 1) ბოზბაში ასე კეთდება: სამი ან ორი გირვანქა ცხვრისა ან ძროხის ხორცი წვრილად დასჭერით, ჩაყარმთ ქვაბში და აადუღეთ, როცა ხორცი კარგათ მოიხარშება გასწურეთ და რაც ძირს დარჩება ლექი გადაღვარეთ, ხოლო ხელ მეორედ ჩაყარეთ ქვაბში ხორცი და ნადუღი წყალიც ჩაასხით, მერე დუმა წვრილად დასჭერით და

ზედ მოაყარეთ, შემდეგ ჩაყარეთ ერთი ფინჯალი დანაყილი ბრინჯი და ხუთიოდე კბილი წვრილად დაჭრილი ხახვი, უყავით მარილი, ამის შემდეგ ორიოდე კვერცხი გათქვეფეთ და ბოზბაზში ჩაასხით, სუნისათვის შეგიძლიანთ ქინძი ან ტარხუნა ჩაყაროთ. სიმჟავისათვის საკმარისია ჩაყაროთ ტყემალი ან კოწახური.

2) *ფლავი* ერთ ნახევარი ან ორი გირვანქა ბრინჯი კარგათ გარეცხეთ, მერე აადუღეთ წყალი, უყავით მარილი და გარეცხილი ბრინჯი შიგ ჩაყარეთ, როცა ბრინჯი იმდენად მოიხარშება, რომ გარეგან რბილი იქნება, გადაასხით ცივი წყალი და ისე გასწურეთ. შემდეგ სამი კვერცხი გათქვეფეთ, აურიეთ გადაწურული ბრინჯი ორი კოვზი, ამის შემდეგ ჩაასხით ქვაბში ერთი ფინჯალი ერბო და გათქვეფილი კვერცხები ბრინჯით შიგ ჩაასხით, როცა მოშუშდება აიღეთ და გაწურული ბრინჯი ჩაყარეთ, ამის შემდეგ დადგით ნელს ცეცხლზე ქვაბი და ზევით კარგად დახურეთ რომ ორთქლი არ ამოვიდეს და შიგ ბრინჯი კარგად გაფუვდეს, ზედ კიდევ ორი კოვზი ერბო დაასხით და ფლავი მზათ იქნება.

ფლავთან შეგიძლიანთ ან ყაურმა ბატკნის, ან ცხვრისა ან ინდოურის მიართვათ ან კიდევ მურაბა ბალისა ან შვინდისა.

**შაბათისათვის** 1) *ორაგული ჩახოხბილი.* შამფურზე ააგეთ ორაგული და მწვადისავით შესწვით, მერე აიღეთ ერთი ფინჯალი ძმარი და შიგ ორი კბილი ხახვი ჩასჭერით, შემდეგ დასდევით ტაფაზე და ცეცხლზე მოშუშეთ რომ ხახვი შიგ ჩათუთქდეს, ამის შემდეგ ამ ძმარ-ხახვში გაფხეკილი ორაგული ჩადევით და ესე მიართვით სუფრაზე. *გელაქნური ცივად.* გელაქნურს დისწლავთ, მერე წყალ-მარილში მოხარშეთ, დანაყეთ ოციოდე ნიგოზი აურიეთ ძმარში ცოტა მარილი უყავით და ასე გადაასხით გელაქნურზე.

2) ლ ო ბ ი ო ს  ბ ა რ ა ნ ი. აიღეთ ერთი გირვანქა ახალი ლობიო, დაარჩიეთ, ორად გატეხეთ, ჩაყარეთ ქვაბში და წამოადუღეთ, შემდეგ გასწურეთ. მერე ჩაყარეთ ისევ ქვაბში და ერბოში მოშუშეთ. ვარიები შესწვით ტაბაკათ. ლობიოც და ვარიებიც დააწყეთ ბლუდზედ ზედ მოასხით გაწურული მაწონი, მაწონზე დანაყილი დარიჩინი და შაქარი მოაყარეთ.

**კვირისათვის** 1) ხ ა რ შ ო; ოთხი გირვანქა ძროხის ხორცი ძალიან წვრილად დასჭერით, ჩაყარეთ ქვაბში, წამოადუღეთ, ჩაყარეთ ათიოდე კბილი დაჭრილი ხახვი, ორი კოვზი დანაყილი ბრინჯი, ცოტა პილპილი, დაჭრილი ნიახური და ოხრახუშიც ჩაყარეთ, უყავით მარილი და ტყლაპი ან მის მაგიერ შეგიძლიან ერთი ან კოვზი ნახევარი ძმარი ჩაასხით.

2) მ წ ვ ა დ ე ბ ი; მწვადებათ შეგიძლიან იხმაროთ ან ღორის ან ძროხის ან კიდევ ბატკნის ხორცი უნდა ააგოთ შამფურზე და ცეცხლზე შესწვათ, ამასთანავე შეგიძლიანთ ან ხახვი ან შემწვარი ბადრიჯანიც მიართვათ.

3) ტ კ ბ ი ლ ი  ტ ო ლ მ ა; ტკბილი ტოლმისათვის შეგიძლიანთ იხმაროთ დამაზი, ან ქლიავი ან უფრო უკეთესი კომში. ჩაყარეთ ტაფაში დაასხით ორი ფინჯალი წყალი და ამდენივე ერბო, ასე მოშუშეთ, როცა წვენი შეაშრება აიღეთ ნახევარი გირვანქა ქიშმიში და ერთი ფინჯალი ნუში შიგ ჩაყარეთ, ზედ დაასხით ნახევარი გირვანქა თაფლი ან მის მაგიერ დანაყილი შაქარი და ასე მოშუშეთ, ერთი მეოთხედი კოვზი მარილი უყავით მოშუშეთ, გააციევეთ და ტოლმა მზად იქნება.

---

## შინაური ექიმობა.

ერთს უდიდეს ადამიანის უბედურობისას, რა თქმა უნდა, შეადგენს ავად-მყოფობა. ადამინის ავად-მყოფობა მრა-

გვარია და ამ მრავალ-გვარ ავად-მყოფობის საშუალობა მრავალ გვარივე წამლობა და აქიმობაა. აქ ჩვენ დავასახელებთ მხოლოთ ისეთს ავად-მყოფობაებს და ისეთს ავადმყოფობის მოსარჩენი საშუალობათ, რომელნიც შინაურულად შეიძლება მოახდინოს ყოველმა ჩვენთაგანმა. ადამიანს ათასგვარი უბედურება ეწვევა ხოლმე ცეცხლისაგან, წყლისაგან, საჭმელ-სასმელისაგან და სხვა მრავალ ბუნების მოვლენათაგან—ყველაფერს ჩვენ ვერ მოვსთვლით და არც შეიძლება, ხოლო უმთავრეს მათთაგანს დავასახელებთ:

**ნაღრძობი**, თუ კაცი ან გადმოვარდა რომელიმე სიმაღლიდამ, ან წაიქცა ან დაეცა რამე, მაშინ უცილობლად საჭიროა უბედურება შემთხვეულს პირს ტანთ გაეხდეს, რათა კაცმა ადვილად დაინახოს რა ადგილს რა სჭირს და მერე წამლობას შეუდგეს. რა თქმა უნდა, ყოველ შემთხვევაში ექიმის მოწვევა სჯობიან, მაგრამ ხშირად ექიმი ან შორს სდგას ან სულ არ იმყოფება იმ ადგილში და ამიტომ შინაური წამლობა ხშირად საკვდილისაგან არჩენს კაცს. თუ ვინმემ მოტეხა ძვალი მაგალითად ხელი ან ფეხი, მაშინათვე ძვალი ისე უნდა მოათავსოთ, როგორც სიმრთელეში იყო და ზედ მიააკრათ ღვედით ვიწრო ფიცარი ისე რომ ძვალი არ ინძრეოდეს; რა თქმა უნდა, ღვედი ან ბაწარი ძრიელ არ უნდა უჭერდეს დაშავებულს ალაგს, თუ ამასთანავე ადამიანი ტკივილს გრძნობს საჭიროა რომ ცივ წყალში ამოლებული ტილო ხშირად დაედვას დაშავებულ ადგილზე. ასეთივე საშუალობით უნდა მოვიქცეთ როდესაც ვიღრძობთ რასმე.

**სისხლის დენა**, ხშირად ხდება ხოლმე, რომ კაცი ან დანით ან სხვა რამე იარაღით დაიჭრება ხოლმე, ჭრილობის სიდიდესდა გვარად სისხლიც ედინება ხოლმე, ამ შემთხვევაში თუ ჭრილობა ან ხელზე ან ფეხზეა, მაშინვე უნდა დაჭრილი ადგილი ზევით ასწიოთ და ქვეშ ღვედით ან ბაწრით შეიკრათ რათა სისხლის დენა შესწყდეს. თუ კი ჭრილობა ან ტანზე,

ან კისერზე ან კიდევ თავზეა მაშინ უნდა მონახოთ ის ძარღვი, რომლიდამაც სისხლი სდის და ზედ რამდენიმე ხანი თითი დააჭიროთ, რათა სისხლის დენა დროებით შესწყდეს, სანამ წამალი ან მალამო არ დაედება. ყოველს ჭრილობას უსათუოდ წყლით უნდა გასუფთავება და ამის შემდეგ უნდა შეიკრას წმინდა ტილოთ ან რამე სუფთა ნაჭერით.

აგრეთვე ხშირად ხდება რომ კაცს ცხვირიდამ სისხლი მოსდის ხოლმე, ამისთანა სისხლის დენას არაფერი ცუდი შედეგი არ აქვს, მაგრამ ხანდისხან ცხვირიდამ სისხლი ბევრი მოედინება და მაშინ საშიშია. ვისაც სისხლი ედინება ცხვირიდამ, ის უნდა ისე დაწვინოთ, რომ თავი მაღლა ჰქონდეს, ცხვირზე ცივ წყალში ამოლებული ტილო უნდა დაადოთ და ხშირად გამოუცვალოთ, გარდა ამისა ურიგო არ იქნება რომ ცხვირი ბამბით დაუცოთ. ხანდის-ხან კაცს სისხლი წამოედინება პირიდამ. ეს ძრიელ საშიშია და უთუოდ ექიმს უნდა შეატყობინოთ, ხოლო სისხლის დენის შესაწყვეტად საკმარისია, რომ ავად მყოფი ლოგინზე დააწვინოთ, თავი მაღლა დაუდვათ, გულის ფიცარზე და კისერზე სველი ტილო უნდა ხშირად გამოუცვალოთ და დრო-გამოშვებით აძლიოთ წყალმარილი.

**მოწამლვა.** კაცი შეიძლება მოიწამლოს ან უცაბედოთ ან განზრახ. ორივე შემთხვევაში წამლობა უნდა. მოწამლული კაცი მაშინათვე იცნობება: საშინელი გულის რევა და პირის ღება, ტკივილი გულის კოვზის ქვეშ, საშინელი საქმობა, ხელების და ფეხების გაცივება და სხვა. პირველი წამალი მაგ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არის პირის სასაქმებელი წამლები, რადგან საწამლავი ამ საშუალობით სტომაქიდან გარედ გამოდის. ავადმყოფს უნდა დაალევინოთ თბილი წყალი კვერცხის ცილით და თითი შეუყავით, რომ პირიდამ ახაქმოს. კარგია აგრეთვე ნადუღები რძე. ავად მყოფი თუ გულის კოვზთან დიდს ტკივილს გრძნობს, მაშინ უნდა სველი

ტილო გულის ფიცარზე დაადოთ, ხშირად გამოუცვალოთ, ან არა და არაყით დაუზელოთ ის ადგილი სადაც ტკივილს გრძნობს. თუ ავად მყოფი თან და თან ცივდება უნდა შალის ნაჭერით უზელოთ მთელი ტანი. თუ ავად მყოფი ძრიელ დასუსტდება, შეიძლება რძით ორი კოვზი ღვინო დალევინოთ. ამასთან უნდა ეცადოთ რომ არ დაიძინოს, ამისათვის კარგია მაგარი, მუქი ჩაი. ხშირად ავადმყოფისათვის კარგია დროზედ მოსწრებული სასაქმებელი ზეთი. საზოგადოთ კი ყოველს საწამლავს თავისებური წამალი აქვს. ხშირად უბრალო საჭმლისაგან მოიწამლება კაცი, როგორც მაგლითად თევზისაგან. როგორც ახალს აგრეთვე ძველ თევზს აქვს მოსაწამლავი თვისება, ამიტომ ყოველთვის თევზი კარგათ ადუღებულ წყალში უნდა მოიხარშოს. აგრეთვე ხშირად ხდება კაცი ავად სოკოსაგან. აქაც საწამლავი მოქმედებს და ამიტომ ყოველ შემთხვევაში, როდესაც საჭმელ სასმელისაგან კაცი ავად გახდება უსათუოდ ისე უნდა მოიქცეთ, როგორც ზემო იყო მოყვანილი.

**გველის ნაკბენი.** თუ კაცს გველმა უკბინა, მაშინათვე ზომა უნდა მიიღოთ, თორემ შეიძლება რომ კაცი მოკვდეს. გველი კბენის დროს ნაკბენ ადგილს შეასხამს ხოლმე თავის საწამლავ შხამს. ნაკბენი ადგილი ძლივსღა მოჩანს ხოლმე, მაგრამ გაივლის თუ არა რამდენიმე ხანი ნაკბენი ადგილი გარშემო წითლდება და სივდება და ბოლოს ლურჯდება. იმ წამსვე ნაკბენ ადგილის ზევით უნდა შეიკრას ღვედით ან ბაწრით, რომ მოწამლულს სისხლს არ შეეძლოს ადამიანის აგებულებაში გავრცელება. მერე უნდა ეცადოთ, რომ რაც შეიძლება უფრო ბევრი სისხლი გამოადინოთ ნაკბენი ადგილიდამ, თუ სისხლი არ ამოდის, მაშინ იარაზედ კოტოში უნდა მოუკიდოთ, ან პირით გამოსწოვოთ სისხლი, მაგრამ იმ უკანასკნელ შემთხვევაში დიდი სიფრთხილე ჰმართებთ, რათა პირი არ მოიწამლოთ. რაკი სისხლი საკმაოდ გამოვა,

მაშინ იარა უნდა გაიბანოს ძმარით ან მარილ-წყლით ან კიდევ ნაცარ ტუტით მერე შეგიძლიანთ გაცხელებული შანთით დასწვათ ნაკბენი ადგილი და მერე ზეთი ან მალამო დაადოთ. ამასთანავე უნდა ყოველ ორის საათის განმავალობაში თვითო ჭიქა ოფლის ჩაი სვათ.

**სიმთვრალე** ხანდისხან ადამიანი ძრიელ ავად ხდება უბრალო არაყი ან ღვინოსაგან, მეტადრე თუ კაცი დაჩვეული არ არას სასმელებს. სიმთვრალის შედეგი გშირად ძალიან მაწყინარია- გულის რევა, პირის საქმობა და სხვა ამ გვარი უსიამოვნო მოვლენა ადამიანს საშინლად სტანჯავს. ამ გვარად მთვრალი კაცი უნდა გაიყვანოთ სიკრილეზე, თავზე ცივი წყალი ასხით, ფეხები თბილად ჰქონდეს, დრო გამოშვებით შეგიძლიანთ ნიშადურის სპირტი ასუნებინოთ და ოთხიოდე წვეთი წყალში გარეული დაალევინოთ,

**ცოფიანობა** თუ ადამიანს ცოფიანმა ძაღლმა ან სხვა რომელიმე პირუტყვმა უკბინა, მაშინათვე უნდა მიიღოთ შესაფერი ზომები. დაცოფილი კაცი ერთბაშად როდი ხდება ავად. სიცოფე სამის ან ოთხის კვირის შემდეგ გამოჩნდება. სიცოფე კაცს მალე შეეტყობა: თავდა პირველად მადა ეკარგება, მერე სილონე და მწუხარება დაეტყობა, შემდეგ წყლისა ეშინიან და ბოლოს სიცოფე იმით გამოიხატება რომ კაცი ვიქისავით აქეთ იქით ეცემა, ყველაზე იწევა და ხანდისხან კბენს კიდეც ყველასა. ყველა ამ ნიშნებს საშინელი სიკვდილი მოსდევს ხოლმე. წამლობა ისეთივეა როგორც გველის დაშხამისაგან და ამასთანავე საჭიროა რაც კი შეიძლება ბევრი ოფლის გამოდენა.

**დამწვარი.** კაცმა ან ხელი ან სხვა რამე ასო როგორმე თუ დაიწვა მაშინ დამწვარ ადგილს უნდა სველი ტილო დაადოთ, მაგრამ თუ დამწვარ ადგილზე ბუშთები გამოყარა მაშინ ზეითუნის ზეთი ან ქონი ან მალამო უნდა წაისვათ და კარგათ შეიკრათ, რომ მტვერი ან სხვა რამე არ მიეკაროს.

**წვეთის დაცემა.** ხანდისხან კაცი ერთბაშად წაიქცევა, სახე საშინლად უწითლდება, ხოლო ხელები და ფეხები უცივდება. ეს იმის ნიშანია რომ კაცს წვეთი დასცემია, მაშინათვე უნდა ავად მყოფს თავი ბალიშზე ან მუთაქაზე დაუდვათ და ზედ ცივი წყალი ასხათ, ხოლო ფეხებზე და ხელებზე ბოთლები დაადოთ ცხელის წყლით, ამის შემდეგ სასაქმებელი უნდა დაალევინოთ.

**კბილის ტკივილი და ყბის გასივება.** კბილის ტკივილის დროს კარკია სოდა დაადოთ გაფუჭებულ კბილის ღრძილზე, ან კიდევ ცხელი ლუღსმარი შეუშვათ კბილის გამოფულურულში. როცა ყბაგასივებულია მაშინ საჭიროა ყბაზე დაიდვათ თბილი რამე და თბილათ შეიხვიოთ, ტკივილი მაშინათვე მოშმანდება.

**გულ-შეღონებული ყმაწვილის დაბადება.** თუ ახლად დაბადებულს სიცოცხლის ნიშანი არ ეტყობა, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს რომ იგი მკვდარი იყვეს. უნდა თბილ წყალში ცოტა არაყი გაურიოთ და ახლად დაბადებული გულშეღონებული ყმაწვილი შიგ ჩააწვინოთ და ოდნავ დაუზილოთ მთელი ტანი თითით, პირი უნდა გამოუწმინდოთ, ცხვირზე ხელი მოუჭიროთ და პირში ჰაერი ჩაბეროთ, მერე ოდნავ მუცლიდამ ყელამდე ხელი აუსვით, რომ ჰაერს მოძრაობა მიეცეს და ეს რამდენჯერმე გაიმეორეთ, ამასთანავე დროგამოშვებით ცივი წყალი გულზე, წელზე და სახე ჩააწინწკლეთ და ისევ თბილ წყალში ჩააწვინეთ.

თუ ახლად დაბადებულს სახე ან ლურჯი ან წითელი აქვს, მაშინ ჭიპი უნდა ამოჭრათ და ორი კოვზის ტოლი სისხლი რომ გამოედინება მერე შეგიძლიანთ ჭიპი შეუმსოთ.

**გულის შეწუხება.** მელოგინე ქალს რომ გული უღონდებოდეს ან სხვა ვისმე ქალს ან კაცს უნდა ნიშადურის სპირტი ასუნებინოთ, ხელის და ფეხის გულზე წყალში გახსნილი მდოგვი დააკარით. თუ ამით ვერა უშველეთ რა

პირში ჰაერი ჩაბერეთ საბერველით ან პირით. საზოგადოთ სიმშვიდეში უნდა ამყოფოთ ავადმყოფი და ბოლოს ჩაი ასვით ღვინით ან არაყით შერეული.

**დახრჩობა.** წყალში დამღრჩვალი კაცი, ხანდისხან ოცი საათის შემდეგ მოსულიერდება. რა წამს წყლიდამ ამოიღებთ დამღრჩვალს, ნურც თავდაღმა დაჰკიდებთ, ნურც გამობერტყავთ. ეს საშუალება მეტად საეჭვოა. ავადმყოფი რბილ სარეცელზე უნდა დააწვინოთ, ჰაერი ოთახში წმინდა უნდა იყვეს. მერე პირიდამ გამოუწმინდეთ ქაფი, ქვიშა და სხვა; ტანთ გახადეთ, მერე მთელი ტანი მაუდით ან ჩოხით დაუზილეთ, ისე რომ ტანი გაუთბეს და გაუხურდეს. ფეხებთან და ხელებთან დაუწყეთ თბილის წყლით სავსე ბოთლები, შეიძლება იხმაროთ აგრეთვე ცხელი პარკები ქვიშით ან კიდევ გაცხელებული აგური, მერე შეუბერეთ პირში ჰაერი, ისე როგორც ზემო ვსთქვით გულშეღონებულებზე. ეს მალ-მალ განიმეორეთ, სანამ დამღჩვალი თვითონ არ დაიწყებს სუნთქვას. ამის შემდეგ პირში ჩააწვეთეთ რამდენიმე წვეთი ნიშადურის სპირტი, თავაც ასუნებინეთ, ნიშადურის სპირტის მაგიერობას ხანდისხან ხორდალიც გასწევს. ივადმყოფი მოსულიერდება თუ არა, ასვით ჩაი ღვინით ან არაყით.

**დამბლა** დამბლად დაცემული კაცი უნდა სიგრილეში დააწვინოთ, თავი მაღლა დაუდეთ, ტანთ გახადეთ და ფეხები და ხელები ქაფურით ან არაყით დაუზილეთ, მერე თბილ წყალში ჩაუდევით ფეხები, თავზე ცივი წყალი ასხით, თეძოებზედ და ხელის გულზე წყალში გახსნილი მდოგვი დაადეთ, ასვით მჟავე რამე და მოასვენეთ.

**მეხ-დაცემული** მეხ დაცემულს ტანთ გახადეთ, პირზე და გულზე ცივი წყალი ასხით, გული, ზურგი და საფეთქებელი სპირტით უზილეთ, პირში ჰაერი ჩაბერეთ, მთელი ტანი უსრისე ხელით. მიწა გათხარეთ ერთს ციდაზე და მეხ დაცემუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი იქ ჩააწვინეთ, ზედ მიწა დააყარეთ ერთი გოჯის ოდენა, ხოლო პირი და ცხვირი თავისუფლად უნდა ჰქონდეს.

**სისხლის დენა** ხშირად კაცს ცხვირიდამ სისხლი მოსდის ხოლმე ამ შემთხვევაში გულ აღმა უნდა დაწვეთ, ხელები თავ ზევით გადიყარეთ, თავზე გადიფარეთ ძმარ-წყალში დასველებული ცივი ტილო, რომ ცხვირზედაც გადმოგეფაროთ. ნელ-ნელა შეისუნთქე ძმარ-წყალში შერეული შაბი, თუ ამ საშუალობით სისხლის დენა არ შესწყდა ლოგინში დაწექით და ხელებზე და ფეხებზე მდოგვი დაიკარით.

ხანდისხან ქალს საშვილოსნოდამ სისხლი არ შეუწყდება. ამ შემთხვევაში კარგია გულაღმა დააწვინოთ ავად-მყოფი, მუცელსა და ფეხებ შუა უნდა სველი ცივი ტილო დაუდოთ. სასმელები არ ასვათ.

**პირის საქმება.** პირის საქმების დროს ყოველ ნახევარ საათში 10—15 გოფმანის კაპლები უნდა დალიოთ. კარგია აგრეთვე პიტნის კაპლიც; თუ ყინული არის, იმის ყლაპვაც მარგებელია. მარჯვენა ფერდზე წყალში გახსნილი მდოგვი დაიკარით.

**ციება.** ციების საუკეთესო წამალი ქინაქინაა. თავდაპირველად მუცელი უნდა გაინთავისუფლოთ სასაქმებელით, მერე სამ-სამი გრანი ქინაქინისა სვით ყოველ საათში. საზოგადოთ ყოველი მძიმე საჭმელი მაწყენარია. ღვინო და მჟავე რამე არ დაილევა.

**ცხელება.** თუ ადამიანს გააცხელა, მაშინ უნდა იხმაროთ დასალევათ მარილის ანუ გოგირდის სიმჟავე. 8—10 წვეთი ერთ სტაქან წყალზე. თუ სიცხემ იმატა სვით ძმარ-წყალი, ტანზედაც ძმარ-წყალი ისვით, ამასთანავე კარგია ოფლის გამოდენა რაც კი შეიძლება ბლომად.

**მუცლის ყვანა.** ხშირად ადამიანს გაციებისაგან მუცელში ყვანა უჩნდება; ამ შემთხვევაში რბილად უნდა დაწვეთ, მუცელზე თბილი ტილო ან გაცხელებული ტილოში გახვე-

ული აგური დაიდევით, ფეხებზე ადუღებულის წყლით სავსე ბოთლები მიიდეთ და მსუბუქი საჭმლები იხმარეთ.

თუ ყვანა მაწყენარი საჭმელისაგან მოგდით უნდა სასაქმებელი მიიღოთ, თუ ყვანა ძრიელდება, მაშინ ექვსი მისხალი მუხის ქერქი ერთ სტაქან წყალში აადუღეთ და ნადუღები ორ საათში ერთი ჩაის კოვზი დალიეთ, ამის მაგიერობას გასწევს წითელი ბროწეულის დანაყული ქერქი ადუღებულ ღვინოში, ან კიდევ არაყში აადუღეთ და ორ საათში ერთი სტოლის კოვზი სვით.

**სურდო.** სურდოს დროს ავად-მყოფმა წინდებში მშრალი მდოგვი უნდა ჩაიყაროს და ისე დაწვეს, ხშირად შეისუნთქოს ძმარ-წყალი, ანუ კიდევ წყალში გახსნილი შაბი, ცხვირზე ღორის ან სანთლის ქონი უნდა ისვას არაყში შერეული. საზოგადოთ ფეხები თბილად უნდა იქონიოს და თბილად ჩაიცვას.

**ხველება.** როდესაც ხველა გაციებისაგან წარმოსდგება, მაშინ უნდა თბილად ჩაწვეთ ლოგინში, გულის ფიცარი ქონით დაიზილოთ და დრო გამოშვებით სვით კამის ძირის ან ყვავილების საოფლო ჩაი. ძრიელ კარგია აგრეთვე ანისუნის კაპლები.

**თავის ტკივილი.** ამ შემთხვევაში კარგია სინამაქის ფოთოლი (александр. листъ) უნდა მოხარშოთ ჩაისავით, გაწურეთ და დრო გამოშვებით დალიეთ ხოლმე. თუ თავი ძრიელ ცხელია, მაშინ ან ყინულით ან ცივის წყლით ისველეთ თავი. ხელებზე და ფეხებზე მდოგვი დაიკარით, ძმარ-წყალი სვით, კარგია აგრეთვე ლიმონი წყალში გარეული და შავი ყავაც.

**ყივანა ხველება.** ხშირად ყმაწვილები ავად ხდებიან ყივანა ხველით. თავდა პირველად ყმაწვილს ახველებს. მერე სურდო ემართება, ბოლოს თვალები უწითლდებათ. ასეთი მდგომარეობა გასტანს არა ნაკლებ 1—2 კვირისა, ამის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ ხველა უფრო ძლიერია, ყმაწვილს დიდი სიცხეც აქვს, ხშირად ხველების შემდეგ გულის რევაც მოსდევს, ამ გვარად ყივანა ხველა ხანდისხან გრძელდება ორ-სამ თვეს. ამ გვარ შემთხვევაში ყმაწვალი თბილად უნდა შეინახოთ, არ გააცივოთ, ოფლის ჩაი ასვით. ძრიელ მარგებელია ვალერიანის კაპლები 5—10 კაპლი ყოველ ოთხ საათში ერთხელ.

**ჭუნთრუშა** თავდა პირველად ავადმყოფს ეტყობა სიცხე, მოქანცვა, თავის ტკივილი, ენა უთეთრდება, მადა თან და თან ეკარგება, სიცხე მატულობს; ავადმყოფი ტკივილს გრძნობს ყელში, ეს უკანასკნელი საშინლად სწითლდება, ასე რომ სიცხისაგან ყელი უშრებათ. მერე გამოყრის გარეთ ყელზე და მკერდზე. საზოგადოთ ავად მყოფობა ხან მოკლეა—ბევრი ბევრი ათის დღის განმავლობაში ავად-მყოფი ან მორჩება ან კვდება. რა წამს კაცი ავად შეიქნება მაშინათვე ქინაქინა უნდა დაალევინოთ 2—4 გრანი დღეში სამჯერ. ყელზე კომპრესები უნდა დააკრათ, ყელი უნდა გამოურწყოთ გახსნილის შაბით; საზოგადოთ მხედრელობაში ის უნდა იქონიოთ, რომ ამ სენით ავადმყოფს ყმაწვილები მოაშოროთ და ავადმყოფის საჭმელ-სასმელს აგრეთვე მისს ტანსაცმელს და სხვა ამ გვარ ნივთებს მოერიდეთ, რადგან ავადმყოფობა გადამდებია.

**ყელ-ჭირვება** ეს საშინელი ავადმყოფობაა და რაწამსვე ამ სენით ავად შეიქნება ვინმე უნდა ექიმს შეატყობინოთ. ავადმყოფობა ძრიელ ადვილად გადადის სხვებზე, ამიტომ ავად-მყოფი ყველას უნდა მოაშოროთ. ოთახში ჰაერი ყოველთვის წმინდა უნდა იყვეს. პირველი პირობა ის არის, რომ მაშინთვე ავად-მყოფს წყალში გახსნილის ბერტლეტის მარილით გამოურწყოთ ხოლმე ყელი ამავე მარილი უნდა აძლიოთ დასალევათ ყოველ ორ საათში თვითო სტოლის კოვზით.

**წითელა** ეს ავად-მყოფობა ხშირად ეწვევა ხოლმე ბავშვებს და საშიშო არ არის რა, ხოლო ყოველის ღონისძიებით უნდა ეცადოთ, რომ ბავშვი არ გაცივდეს, თუ გაცივდა შედეგი საუბედუროა, ბავშვს მსუბუქი საჭმელი უნდა აჭამოთ, თუ მუცელში მაგრად არის, ნუშის რძე ასვით. ავად-მყოფი ერთის კვირის გამავლობაში რჩება ხოლმე.

## სალიტერატურო განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წმინდა ნინო

## ქართველთ განმანათლებელი.

წმინდა ნინო იყო ქალი ზაბულონისა და სუსანნასი, ქვეყნით კაბადოკიიდამ. როდესაც ნინო შეიქმნა თორმეტის წლისა, მაშინ ზაბულონმა დაუტევა აქაური სოფელი და წავიდა უდაბნოს ღვთის მსახურებისათვის; სუსანნაც განწესდა გლახაკთა დედათა მოსამსახურედ. ამ გვარად დაობლებული ნინო მიაბარა თავისმა ბიძამ, პატრიარქმა, აღსაზრდელად ერთს მოხუცებულ დედა ნიაფორას, რომელი იყო შთამომავლობით სომეხი. შინაურ ბაასში ერთხელ ნინომ მოისმინა ნიაფორასგან ამბავი უფლის კვართისა, და საკვირველი სურვილი მიეცა იმის ნახვისა. ნინომ ჰკითხა ნიაფორას: სად არის უფლის კვართიო? ნიაფორამ უპასუხა: „ივერიის ქვეყანაში, სადაც ჯერ ქრისტეს სარწმუნოება არ მისულა და იმის მცხოვრებნი არიან ისევ წარმართებაში." ამ დროდგან ნინოს აზრი ის იყო: წასულიყო ივერიას და განენათლებინა ხალხი ქრისტეს სარწმუნოებით. მაგრამ უძლურება თავისი და სისუსტე თავის სქესისა ძალიან აბრკოლებდნენ იმას. ამის გამო იყო დიდ ჭმუნვაში და იქნება დაეტევებინა თავის აზრი, თუ რომ ღვთის-მშობელი არ გამოსცხადებოდა იმას სიზმარში და არ გაემხნევებინა: „წადი ივერიის ქვეყანაში, ეუბნებოდა ღვთის-მშობელი ნინოს სიზმარში,—აუწყე სახარება იესო ქრისტესა და მოიპოვებ იმისგან ჯილდოს; მეც ვიქნები შენი მფარველი." მერე მისცა ვაზის ჯვარი და უთხრა: „მიიღე ეს ჯვარი, რომელიც დაგიფარავს შენ ყველა ხილულ და უხილავ მტერთაგან; ამის ძალით აღმართე ნიშანი სარწმუნოებისა და უქადაგე მაცხოვარებითი სწავლა ძისა ჩემისა." მიიღო რა ჯვარი წმინდა ნინომ, შეკრა თავის თმით.

ამ ღვთის-მშობლის გამოცხადებამ უფრო გაამბედვინა ნინოს თავის წადილის აღსრულება, და შემდეგ მცირედი ხნისა, თავის დედის ძმის, პატრიარქის, კურთხევით, გაემართა გზას და მივიდა ეფესოს. აქ შეჰხვდა მეფის ქალს რიფსიმეს და იმის ორმოცდა ათთა ამხანაგთა, რომელთაც შეეწირათ თავიანთი ქალწულება ღვთის მსახურებისათვის. აქედამ ნინო რიფსიმეთი და ამის ამხანაგებით გაექცნენ დიოკლეტიანეს დევნას,—რომელსაც მოეწონა რიფსიმეს სილამაზე და მოინდომა იმისი ცოლად შერთვა, — და მივიდნენ სომხითს. აქ სომხითის მეფემ ტრდატმა აწამა რიფსიმე, დიოკლეტიანეს ბძანებით, და ამასთან რამდენიმე ქალწულნი; გადარჩა მხოლოდ ნინო და რამდენიმე სხვანი. განგებულებამ ღვთისამ დაიფარა ნინო უჩინოდ ვარდის ბუჩქებში, სადაც იმას გამოეცხადა ანგელოსი და უთხრა: „აღსდეგ და ვიდოდე ჩრდილოთ კერძო, სადა იგი ფრიად არს სამკალი და მუშაკი ყოვლად არა."

ნინო დაემორჩილა ანგელოსის ბრძანებას და წავიდა თავის გზას. გზაზედ მრავალი სიმშილი, სიცივე და ტყის ნადირთაგან შიში გამოსცადა; ამისთვის ფრიად შეწუხდა და მიიძინა ფარავნის ტბის პირას. აქ გამოეცხადა სიზმარში უფალი, მისცა მას დაბეჭდილი წიგნი და უთხრა: „მიართვი ესე მსწრაფლ ქალაქსა შინა მცხეთას მეფესა მას წარმართთასა." როცა გამოეღვიძა წმ. ნინოს, ხელში ეჭირა წიგნი, სადაც იყო საკვირველი სიტყვები, დაწერილი ათ მცნებად. დასაწყისი წიგნისა იყო ესე:

ა) სადა იქადაგოს სახარება ესე, მუნცა ითქმოდის დედაკაცი ესე.

ბ) არცა მამაკაცება არს, არცა დედაკაცება, არამედ თქვენ ყოველნი ერთნი ხართ.

გ) წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს სცემდით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა.

დ) ნათელი გამობრწყინდებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაილისა.

ე) და იქადაგოს სახარება ესე ყოველსა სოფელსა დაბადებულსა.

ვ) რომელნი თქვენ შეგიწყნარნეს—მე შემიწყნარა, და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი.

აღტაცებულმა უფლის ხილვით, ნინომ ახოვანებით გააგრძელა თავის გზა და, კვალად მრავალი მოთმინების შემდეგ, მივიდა ქ ურბნისს *). აქედამ ნინო გაჰყვა ხალხს, რომელნიც მიედინებოდნენ მცხეთას თავიანთ ღმერთის-არმაზის თაყვანის საცემლად. პომპეის ხიდზედ რომ მივიდა, იქ ნახა დღესასწაულებრივი სვლა მეფე მირიანისა და დედოფალი ნანასი კერპის თაყვანის საცემლად. ამ ამბავმა გაიყოლია თან ნინო და მიიყვანა იმ ალაგას. სადაც იყვნენ ამართულნი სამი მდგომარე კერპნი, კაცის სახისანი, შუაზედ მდგომი იყო არმაზ, ფრიად დიდი ტანზედ ეცო ოქროს ჯაჭვი და თავზედ ეხურა ოქროს ჩაფხუტი, სამხრენი და თვალნი ჰქონდა ზურმუხტისა და იაგუნდისა და ხელშიაც ეჭირა ბრწყინვალე მახვილი. ამ კერპს აქეთ იქიდგან ედგნენ ორი სხვა კერპნი, კაცის სახისანივე, ერთი ოქროსი და მეორე ვერცხლისა, რომელთა სახელი იყო: გაცი და გაიმ. მეფე და დედოფალი რომ მივიდნენ ამ ალაგს—დაიწყეს დღესასწაულება; დაჰკმიეს გუნდრუკი, შემოჰკრეს საკრავებს და შესწირეს კერპთ მრავალი მსხვერპლი. ამ სანახაობამ შეაწუხა ნეტარი ნინო და ამან დაიწყო ლოცვა უფლისადმი და ევედრებოდა ღმერთს ამ ხალხის უსჯულოებიდგან გამოყვანას. როცა დაასრულა ნინომ ლოცვა, ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, დაიწყო ჭექა ქუხილი, მილეწა კერპნი და გაყარა აქეთ-იქით. ხოლო ხალხი და მეფე დედოფლითურთ ეძებდნენ შესაფარ ალაგს. ყველანი გაიქცნენ აქედამ გარდა წმ. ნინოსი, რომელმაც დაჰყო აქ სამი დღე-ღამე ლოცვასა და ვედრებაში უფლისადმი.

---

*) ქალაქი ურბნისი იყო გორის მაზრაში და, როგორც გვაქვს გადმოცემული, დააშენა ქართლოსის შვილმა უფლოსმა 2340 ცკმ-წელში ქრისტეს წინ. XVII იზ-საუკუნემდის ურბნისი იყო ეპისკოპოზის სამყოფელი.

ერთმა კარის ქალმა რა ნახა ნინო მარტოკა მყოფი ამ საშინელ მთაზედ, მიიწვია სასახლეში. მაგრამ წმ. ნინომ დიდი ხნის დაუტევა დიდება ამ სოფლისა, და ამისთვის უარი უთხრა იმის თხოვნაზედ. სამი დღის შემდეგ ნინო ჩამოვიდა იქიდგან მცხეთას და სცხოვრებდა მარტოკა რამდენიმე ხანი იმ ალაგას, სადაც მტკვარი და არაგვი ერთვიან ერთმანერთს. ბოლოს ის მეფის მებაღის ცოლის ანასტასიას თხოვნით დასახლდა მეფის ბაღში და დაჰყო აქ ცხრა თვე.

ამ დღიდგან გაითქო სახელი ნინოსი მცხეთას მრავალი საკვირველი საქმეებით და სასწაულებით. მრავალნი მოდიოდნენ იმასთან მოსასმენად ქრისტეს სწავლისა და ფარულად მრავალთ მიიღეს ქრისტეს სარწმუნოება. წმ. ნინომ მოახდინა მრავალი სასწაულები: იმის ლოცვით მიეცა შვილი უშვილო ანასტასიას, რაისათვისაც ამან თავის ქმრითურთ მიიღო ქრისტეს სარწმუნოება. იმისავე ლოცვით განიკურნა ერთი დიდი ხნის ავათმყოფი ყრმა. ამ დროიდგან, როგორც ამბობს ისტორია, წმინდა ნინომ დაიწყო გამოჩენით ქადაგება სახარებისა და იმისი ლოცვით მრავალნი უძლურნი და მახინჯნი განიკურნენ. ამ სასწაულების ამბავმა მიაღწია თვით დედოფალ ნანამდისინ, რომელიც ამ დროს იყო მდებიარე ავათმყოფი. დედოფალმა სთხოვა ნინოს თავის განკურნება და იმისი ლოცვით მყისვე განიკურნა. ამ სასწაულებრივი მორჩენისათვის დედოფალმა იწამა ქრისტე და მეფე მირიანსაც ურჩევდა ქრისტიანობას. მაგრამ მირიან თავის მოუქნელობისა გამო უარს ჰყოფდა ქრისტეს სწავლას, და ერთგულობით ემსახურებდა კერპებს. ამას ისიც ძალიან ეჯავრებოდა, რომ მცხეთაში დღითი-დღე მრავლდებოდნენ ქრისტიანები და მცირდებოდა წარმართები. ამის გამო გულში ჩაიჩერგა ბოროტი ნინოზედ და ეძებდა მიზეზს იმის დასჯისას. მაგრამ განგებამ სხვა ნაირად იწარმოა. ამ დროს ახლო ნათესავი სპარსთა მეფისა იყო სტუმრად მირიანთან და გახდა სამძიმოდ ავათ, ასე რომ იმის მორჩენა აღარ შეიძლებოდა.

მირიანს ეშინოდა სპარსთა მეფის რისხვისა და ამისთვის მოუწო-
და წმ. ნინოს და ევედრებოდა თავის სტუმრის მორჩენას. წმ.
ნინო ევედრა ღმერთს და ავათ მყოფიც განიკურნა სრულებით.
ამან მადლობისთვის დაუტევა ცეცხლის თაყვანისცემა და მიიღო
ქრისტეს სჯული. ახლა უფრო შეფიქრიანდა მეფე მირიანი. გა-
ჯავრებულმა ახლა-კი მოიწადინა სრულებით შემუსვრა ქრისტეს
სჯულისა მცხეთაში და ნინოსი საქვეყნოდ დასჯა, მაგრამ განგე-
ბულებამ დაიფარა მორწმუნენი და შთააგონა მეფე. ერთხელ წავი-
და მირიან სანადიროთ, და თოხათის მთაზედ უეცრივ დაუბნელდა
თვალთ და იგრძნო თვის ზედა სასჯელი ღვთისა. შეშინებულმა
შევედრა წმ. ნინოს ღმერთს, რადგან თავის ღმერთებმა ვერარა
უშველესრა, და აღუთქვა ქრისტიანობის მიღება მთელი ხალხით,
თუ რომ ამ მდგომარეობიდამ დაიხსნებოდა. ამ აღთქმის შემდეგ
მსწრაფლ მოეფინა სინათლე მთებს და თითონაც იგრძნო რაღაცა
განახლება თავის არსებაში. დაბრუნდა რა შინ, შეიქმნა ჭეშმარი-
ტი ქრისტიანი და მომხრე ქრისტეს სარწმუნოებისა. მაშინ ნინო
შეიქმნა იმის მასწავლებელი ქრისტეს სჯულისა და შემწე ახალი
სწავლის გავრცელებაში. მირიანმა ნინოს რჩევით ააშენა მცხეთაში
ფიცრის ეკლესია ათორმეტთა მოციქულთა, და გაგზავნა კონ-
სტანტინე დიდთან მღვდლებისათვის. მაშინ მოვიდა საქართველოს
კონსტანტინესაგან გამოგზავნილი ევსტათი, ანტიოქიის მთავარ-
ეპისკოპოზი, და მონათლა ქრისტეს სარწმუნოებით მეფე-დედო-
ფალი და ახლო-მახლო მოსახლე ხალხი.

შემდეგ ამისა მირიანმა აღმართა თავის სამეფოში ოთხი ხის
ჯვარი: ერთი არაგვს გაღმა მთაზედ, მეორე თოხათის მთაზედ,
სადაც მირიანმა პირველად იწამა ქრისტე, მესამე უჯარმას და მეო-
თხე ბოდბეს. ეკლესიის აშენებამ და ჯვართა ამართვამ დაამყარეს
სარწმუნოება ქრისტესი მცხეთაში და მახლობელ ალაგებში. წმ.
ნინომ თავის მოციქულებრივი სწავლით მოაქცია მხოლოდ ქართლი
და დარჩა მოუქცეველი მთიულები და კახეთი. ამის გამო ერთი

მღვდელით და ერთი დიაკვნით გაემართა ის სახარების საქადაგებ-ლად ჩრდილოეთისკენ მთიულებში და ძალით თავის ქადაგებისა მოაქცია მცხოვრებნი კავკასიის მთებისანი. აქედგან წამოვიდა ერ-წოსკენ და მიაწია კახეთამდის. მოიარა მთელი კახეთი ქადაგე-ბით და ბოლოს დასახლდა ბოდბეს, რომელი მოეწონა იმას მშვე-ნიერი მდებარეობით. აქაც გაითქვა ის უმანკო ცხოვრებით და სასწაულებით და მოიზიდა მრავალნი მოწაფენი და მრავალნი და-ნათლა. ბოლოს ეწყა იმას ზეცით ჩქარი სიკვდილი, და ამის გა-მო მიიწვია თავისთან მეფე და მღვდელ-მთავარი იოანნე. მეფე თავის სასახლით და იოანნე თავის სასულიერო დასით წავიდნენ ბოდბეს. მოხდა დიდი ხალხის დენა მომაკვდავ საქართველოს გან-მანათლებელთან. მეფე და მასთან მოსულნი ეამბორნენ წმ. ნინოს და ბევრი იტირეს. ბოლოს, რომ მოახლოვდა აღსასრულის ჟამი, წმ. ნინომ თქო რამდენიმე სიტყვა მეორედ მოსვლაზედ და—გა-მოეთხოვა რა მეფეს და იქ მყოფთა—აღესრულდა მშვიდობით (სა-მოცდა შვიდის წლისა, 347 ტმზ-წელში, შემდეგ 35 ღე-წლის მოციქულებრივი ღვაწლისა). ბევრი იგლოვეს მეფემ, მღვდელ-მთავარმა და მთელმა ხალხმა და დაასაფლავეს დიდებით ბოდბეს.

წმ. ნინოს საკვირველი საქმეებისა გამო, იმის ღვაწლებისა და სასწაულებისა, ივერიის ახლად დანერგილმა ეკკლესიამ, ანტიო-ქიის ეკკლესიის თანხმობით, უწოდა ქართველთ განმანათლებელს „მ ო ც ი ქ უ ლ თ ს წ ო რ ი,“ შერაცხა წმინდათა დასში და დააწესა იმის ხსენებისათვის დღესასწაული 14 იდ-იანვარს, იმის აღსრუ-ლების დღე. შემდეგში მრავალი ეკკლესიები ააშენეს საქართველო-ში წმ. ნინოს სახელობაზედ, და მომეტებული ნაწილი საქალო სასწავლებლებში. საქართველოს ეკკლესია ჰრაცხს წმ. ნინოს ქარ-თველთ განმანათლებლად, შემწედ და მფარველად და ლოცვაში სთხოვს ხოლმე მეოხებასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შეთქმულობა გიორგი სააკაძისა.

განრისხებულმა საქართველოზედ სპარსეთის შაჰმა, მძლავრმა აბაზმა გამოუსია ქართლსა და კახეთს აურებელი ჯარი და მისცა ბრძანება, რომ კახეთი მთლათ გაწყვიტეთ, რომ ცოცხალი ადამიანი აღარ გაუშვათო, და ქართლი ერთიან დედა-ბუდიან აჰყარეთ და სპარსეთში გადმოასახლეთო.

ამათ გამოატანა შაჰმა შემწედ გიორგი სააკაძე, რომელსაც დიდ მოურავსაც ეძახდნენ, რადგან ქართლში ყველაზედ დიდი სამოურავოები მას ებარა. ეს სააკაძე ამ ხანებში იყო გაქცეული საქართველოდამ, რადგან იმას მეფე და ქართლის დიდებულნი ღალატით უპირებდნენ სიკვდილს. გამოაყოლეს აგრეთვე ზურაბ არაგვის ერისთავიცა, რომელიც ამავე ხანებში სპარსეთში იყო. ეს ზურაბი იყო ცოლის ძმა სააკაძისა და გაზდილი ამისავე.

ამ დროს ქართლში მეფე თითქმის აღარ იყო: სვიმონ მეფეს რომელიც შაჰისგან იყო დაყენებული და იყო გათათრებული, ქართლელები არა სცნობდნენ თავის მეფეთ და არც უდებდნენ თავს; ლუარსაბ მეფე შაჰ-აბაზმა გაიტყუა სპარსეთში და მოკლა. კახეთის მეფე, თეიმურაზ იყო გაქცეული საოსმალოში, რადგან ის რამდენსამე წლის წინათ განდევნა ამავე შაჰ-აბაზმა კახეთიდამ და მთლათ აიკლო კახეთი და დედა-მიწასთან გაასწორა. მეფის მაგიერად კახეთში შაჰმა დასვა თვისი დიდებული, ფეიქარ-ხანი.

ქართლ-კახეთი იყო უპატრონოთ. ორივე ქვეყანაში იდგა დიდ-ძალი ჯარი სპარსებისა და მეტადრე კახეთში, სადაც ფეიქარ-ხანს ჰყავნდა ორმოცი ათასი კაცი კახეთის მოსამორჩილებლათ. თავადობა იყო მოუძლურებული. ზოგს კიდეც ეჭირა სპარსელების მხარე.

დადგა საქართველოსათვის განკითხვის დღე. უნდა ქართლი და კახეთი აღგვილიყო იყო ქვეყნის პირიდამ. ვისაც მოელო-

და აყრა და გადასახლება, მათთვისაც უმჯობესი იყო სიკვდილი. ეს იცოდნენ ქართველთა წინანდელი მრავალი მაგალითებით და გამოცდილებით.

რომ არ გვიღალატონო შაჰ-აბაზმა დაიჭირა მძევლად სააკა-კაძის უფროსი და საუკეთესო შვილი პაატა. სპარსეთშივე დარჩა ცოლი ზურაბისა.

სააკაძემ აქვე, გულმდუღარემ, ამოიგლიჯა გულიდამ თავისი საუკეთესო შვილი, და გულში ცეცხლ-ანთებული, გაჰყვა სპარსთა ჯარს.

ჯარი კალიასავით მოედო ქართლსა და კახეთს. საშინელი შიშის ზარი იდგა ყველგან. ყველანი ესალმებოდნენ ერთმანერთს. ესალმებოდნენ სიცოცხლეს, ესალმებოდნენ თავის მიწა-წყალს, სამშობლოს ტკბილს ჰაერს. პატრონი ქვეყნისა აღარა სჩანდა. იქ მდგომმა წინადვე სპარსთა ჯარმა შეუკრა გზაც გახიზნვისა. მთელი ქართლი და კახეთი იყო მტრის ხელში.

მრისხანე ბრძანება შაჰისა მოჰყავდათ აღსრულებაში. ათასობით ხალხი კახეთისა იხოცებოდა, ქართლელებს აშურებდნენ ასაყრელად.

მაგრამ არ ეძინა სააკაძეს.

მართალია იმას ქართლის მეფე და დიდებულნი უპირებდნენ ღალატით მოკვლას; მართალია იმათ გააქცა ეს საქართველოდამ, დაჰკარგა თავისი ყმა და მამული, დაუწვეს სახლი და ბინადრობა, გაუუპატიურეს დედა, გადაკარგეს მტრის ქვეყანაში და შეაფარებინეს მტრის კარს თავი. მართალია ამ მტერმა ის შეიფარა, მისცა დიდი პატივი და დიდება; მართალია ამ მტერმა გაუწია ამას ნამდვილი მოყვრობა და მოკეთეობა. მაგრამ, სააკაძემ იქვე, ისპაანშივე გადაწყვიტა, რომ არ მიეცა სპარსთათვის შთასანთქავად სამუდამოდ თავისი სამშობლო ქვეყნები. აქვე გადასწყვიტა მყარნა სპარსელებზედ ჯავრი იმ სისხლისა, რაც შაჰ-აბაზს დაეღვარა ქართლსა და კახეთში ამისი საქართველოდამ განდევნის უკან. ის აქამდისაც ელოდა დროს, და აი, ახლა უთუოთ მას უნდა ესარ-

გეძლებინა ამ დროთი. თუ არა საქართველო იღუპებოდა სამუდამოთ, საუკუნოთ.

სააკაძე საიდუმლოთ გაენდო წილკნელს მიტროპოლიტს და დაიჭირა ის ხელში.

იმან მოიხმო ზურაბ ერისთავი, და უთხრა თავისი განზრახვა.

ზურაბ შეფიქრიანდა, იმას საყვარელი ცოლი ჰყავდა სპარსეთში. თუ უღალატებდა ეხლა შაჰს, უნდა სამუდამოთ გამოსალმებოდა თავის ცოლსა, რომელსაც ვინ იცის რა უპატიურობა და რა ბოლო მოელოდა ამისი ღალატით.

—რატომ იქვე არ მითხარ, რომ ცოლი თან წამომეყვანა?— უთხრა ზურაბმა.—რაღა პასუხი უნდა გავსცე ჩემს ცოლს! ხომ იცი რა რიგ მიყვარდა.

—მიტომ, რომ მეშინოდა გახმაიანებისა.—უპასუხა გაუტეხარმა სააკაძემ.—ეხლა მაგაზედ ლაპარაკი აღარ შეიძლება, ქვეყანა იღუპება. ჰხედავ რას სჩადიან და რას აპირობენ ეს ულმერთოები, რაღა პასუხი უნდა გავცეთ ჩვენს თავს, ჩვენს ღმერთს, ჩვენს შვილის შვილებს. რაღა თვალით უნდა უყუროთ ქვეყანას .. ჰხედავ ქვეყნის საცოდაობას და გოდებას!?.. ნუთუ მთელი ამოდენა ქვეყნისთვის ვერ დავთმობთ მე შვილს, შენ ცოლს?!. ნუ თუ ეს ამოდენა ქვეყანა უნდა გავანაცვალოთ თითო ადამიანს?!.. ჩვენზედ არის ეხლა ქვეყნის ხსნა... და ეს ამოდენა ქვეყნის სისხლი და საცოდაობა უნდა დაეწვეს ჩვენ'ა კისერს, თუ ეხლავე რამე მიზეზით დაუბრკოლდით და არ გავწირეთ ქვეყნისთვის თავები...

ზურაბ ჩაფიქრდა. იმას ენანებოდა საყვარელი ცოლის დაკარგვა. იმის გულში ორნაირი ცეცხლი ბრუნავდა; ან უნდა გაეწირა ცოლი, ან მთელი ორი სამშობლო ქვეყანა, მთელი ქართლი და კახეთი.

— რა ჰქენ გიორგი! რათ მომკალ! რატომ არ მითხარ იქვე ისპაანს... იფიქრე: უნდა ჰხედავდე აქედამ, რა რიგ აუპატიურებენ

ჩემს გვირგვინს, ჩემს პატივს, ჩემს დიდებას, და მე კი შველა რა შემიძლოს!...

— დიახ! აგრეა... მაგრამ, მე გიშოვნი უკეთესს... გაგხდი სიძეთ მეფეთა... შეგრთავ ლელას, ლუარსაბ მეფის დას. ხომ იცი, რომ მას თხოულობდნენ რუსთა ხელმწიფიშვილისთვის... იცი ყველა იმისი ღირსებანი... და ლუარსაბსაც შენზე მახლობელი მემკვიდრე აღარ ეყოლება საქართველოში...

ზურაბმა და სააკაძემ შეჰფიცეს ერთმანერთს, რომ უეჭველად ან იხსნიდნენ საქართველოს, ან თავებს გასწირავდნენ. მოეხვივნენ მაგრათ, ცხარე ცრემლით ერთმანერთს და გასწია ზურაბმა.

სააკაძე დარჩა მთელს სპარსთა ჯარებში ოთხი კაცით: ერთი იყო იმისი შვილი ავთანდილ, მეორე ელია დიასამიძე, მესამე პაატა ხერხეულიძე; მეოთხე პაპუნა ვაშაყაშვილი. ამ ხუთს გმირს უნდა გეებედნა აუარებელი ჯარისათვის, ამ ხუთთაგან უნდა დაწყებულიყო ღსნა მთელის ქვეყნისა.

სამი დღის განმავლობაში ზურაბს უნდა შეეყარა სპარსთა ჩუმათ ჯარი და რაოდენი ჯარიც უნდა შეყრილიყო, ამ ჯარით უნდა დასხმოდა შუაღამისას სპარსთა.

ზოგთა თქმულობით, ჯარი შეგროვდა ექვსასი კაცი. სპარსთა ჯარი, რომელსაც პირველ ხანათ უნდა დასცემოდა ეს მცირე ქართველობა, ზოგთა სიტყვით იყო ორმოცი ათასი კაცი.

მოატანა შუაღამემ.

სააკაძე და იმასთან იმის ოთხი მეომარი, სულ განაბულები, იარაღით ხელში, ტანთ გაუხდელნი იწვნენ ბნელა კარავში და გულის ძგერით ელოდნენ ხმაურობას და ნიშანს ქართველთა ჯარის დასხმისას.

ზურაბს ჰქონდა დაბარებული სააკაძისაგან, რომ მოახლოვების დროს, შორიდამვე უნდა აეტეხნათ ქართველებს ბუკისა და საყვირის ხმა.

აგერ, შორს ტყეების მხარეს, მოისმა ერთ ხმა ბუკისა და საყვირისა.

სპარსთა სარდალნი და მჴედართ მთავარნი უცებ აიშალნენ.

წინადღით გავარდა ხმა, რომელიც გამოვიდა სააკაძის მხლე-ბელთაგან, რომ თეიმურაზ მეფე რუსისა და იმერლების ჯარით მოდისო.

სააკაძე და იმისი მხლებლები მაშინვე დადგნენ ფეხზედ და გაემზადნენ.

— ეხლაა ჩვენის გაჩინების დღე—უბრძანა სააკაძემ თავის მხე-დართ და ხუთნივე გაქვავებულივით იდგნენ და გასცქეროდნენ ყორ-ჩიხანის კარავსა, სადაც ამ ხმაურობაზედ ყორჩიხანის ბრძანებით, საჩქაროთ გროვდებოდნენ ყველა ჯარის წინამძღოლნი.

მოვიდა კაცი სააკაძესთანაც ყორჩიხანისა.

ყორჩიხან და მთელი სპარსნი ელოდნენ შველას ამისგან. სა-ხუმარი არ იყო თუ მართლა თეიმურაზ მოდიოდა რუსისა და იმერლის ჯარით.

საშინელი ხმა საყვირისა და ბუკისა თან და თან ახლოვდე-ბოდა და ზარით ედებოდა ჰაერს.

ყველა სარდალნი მისცვივდნენ სააკაძეს.

---რა ამბავია? ვინ არიან? რა ვქნათ?! — შესძახეს იმათ ერთ-ხმით.

— აი, რა!! —შესძახა შემზარავის და თავის მგრგვინარეს ხმით სააკაძემ: — ხმალი იმ ურჯულოთა!!

და ეს ხუთი უმაგალითო გმირი ჩაერივნენ ჯართა წინამძღვა-რების გუნდში და ერთს წუთას დააყენეს გროვა დახოცვილთა.

ქართველთა ჯარი ჯერ კიდევ არ შემოსეოდა სპარსთა რომ ყველა აქ მყოფნი წინამძღვარნი სპარსთა ჯარებისა დაჰხოცეს საა-კაძემ და მისთა მხედართა და ჩაერივნენ ეხლა სპარსთა ზარდაცე-მულს ჯარში, და საშინელი ყიჟინით სცემდნენ ხმალსა და „მხალი-ვით სთიბავდნენ", როგორც ამბობენ სომხების მწერალნი.

აქ, ვითა გაათეთრებული ლომი, ჩამოერია ჯარი ზურაბისა და შექნა საშინელი მუსრვა. ჯარი სპართა ტიტველა, ფეხშიშველა,

უიარაღოთ გარბოდა და ზოგან თვით იარაღიანები, შიშის ზარ-დაცემულნი, ჰხოცავდნენ ერთმანეთს და ერთმანეთივე ეჩვენებოდათ მტრათ და ქართველებათ.

ქართველებს ძლივს მოესმათ კიდევ თავისი გმირი გიორგი სააკაძის ხმა მის ერთს დაძახებაზედ, ქართველნი დაემგვანენ მდევს და გმირს, ისინი შეიქმნენ ფრთა შესხმულნი, გახდნენ გაუდრეკავნი.

— გაუმარჯოს გიორგის!—ისმოდა ყოველ მხრით, და საშინელი ძალით გადადიოდნენ ქართველნი ერთი მტრის გუნდიდამ მეორეზედ.

სპარსთ დაჰყარეს იარაღი, გუდა ნაბადი, ყოველი საგძალი, კარვები და რაც კი შეადგენდა ჯარის საჭიროებას და ესწრაფვებოდა მარტო გაცლას, მაგრამ გაცლის გზა აღარ იყო.

გავარდა ქვეყნად ხმა, რომ სააკაძე გაუძღვა ქართველთ ჯარს და ჰმუსრავს სპარსთაო. ამ ხმაზედ დაიძრა მთელი ქართველობა და მორბოდა სააკაძის საშველად.

ერთს დღეს ოთხი ციხიდამ და სიმაგრიდამ გამოერეკა სააკაძემ სპარსნი და ქართლში მყოფი ჯარებიდამ თითქმის მოამბე აღარ გაუშვა.

ქართლიდამ გადუხტა კახეთში ფეიქარ ხანს რომელსაც ორმოცი ათასი თავისი ჯარებით მოჰყვანდა შაჰი სპარსისანე ბრძანების აღსრულებაში. და ამასაც თითქმის ის დღე დააყენა, რაც ქართლში მყოფს ჯარს.

სამს დღეზედ გასწმინდა სააკაძემ სპარსთაგან საქართველო.

ის წავიდა საოსმალოში და გადმოიყვანა კახთა მეფე თეიმურაზ, რომელსაც ჩააბარა ორივე სამეფო: ქართლიცა და კახეთიც.

ა. ფ.

1887 წ. ნოემბერი 27.

## საპოლიტიკო მიმოხილვა.

პოლიტიკური დამოკიდებულება ევროპიულ სახელმწიფოთა შორის ამ ორის წლის განმავლობაში და მეტადრე ამ უკანასკნელ დროში ძრიელ დაიხლართა. საპოლიტიკო დევიზი: „თუ მშვიდობიანობა გინდა, მუდამ საომრად მზად უნდა იყო,“ ძვალ რბილში გაუჯდა როგორც დიდთა, აგრეთვე პატარა სახელმწიფოთა. ამის გამო, რა თქმა უნდა, ყველა სახელმწიფონი ერთს საგანს მისდევენ: ყოველ გვარ ღონისძიებას ხმარობენ ჯარის და საომარი საგნების გასამრავლებელად. დიპლომატია თავს იტეხს დღე და ღამ: რა ღონე და საშუალება ვიხმაროთ, რომ ჯარი გავაძლიეროთ, საომარი ხარჯი მოვაგროვოთ მტრის მოსაგერებლად, თუმცა ამ ფაცი-ფუცში ყველანი ამბობენ და ამტკიცებენ, რომ ომი არა გვსურს და თუ ჯარს ვამრავლებთ მაგას მხოლოდ მშვიდობიანობის დასაცავად ჩავდივართო. ასეა თუ ისე, ხოლო ის გარემოება ჭეშმარიტია, რომ ამ გვარი „მშვიდობიანი პოლიტიკის“ წყალობით ყველა სახელმწიფოთა მცხოვრებთ აუარებელი ხარჯი და მეტად სამძიმო ტვირთი აწევთ ზურგზე...

თავი და პირველი საბუთი საპოლიტიკო დავთრების არევისა, რა თქმა უნდა, არის ბოლგარეთი და მისი შინაური საქმენი. ხოლო მიზეზი სულ სხვაგან არის და უფრო ღრმათ იმყოფება...

ბოლგარეთის მთავარმა ალექსანდრე ბატენბერგმა ამ ორის წლის წინეთ ზურგი შეუქცია რუსეთს და ავსტრო-ვენგრიისაკენ მიიქცია პირი. რუსეთის მთავრობამ ეს არ მოიწონა და მტკიცედ შეუდგა თავის სურვილების განხორციელებას... საფრანგეთში იმ ჟამად იმყოფებოდნენ სამინისტროში ისეთი პირები როგორც ფრეისინე მთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ მინისტრად და ბულანჟე სამხედრო მინისტრად, რომელნიც, მეტადრე ეს უკანასკნელი, ეგრეთ წოდებული „რევანშის“ ესე იგი, ელზას ლოტარენის უკან დაბრუნების მომხრენი იყვნენ.

ეს კავშირი როგორც რუსეთის აგრეთვე საფრანგეთის ხალხს ძრიელ მოეწონა, მაგრამ, დაუძინებელს მტერს საფრანგეთისას, გერმანიას ვერაფრად ეჭაშნიკა ეს მისთვის საშიშო დაახლოვება და ბევრი ხრიკები და მეცადინეობა იხმარა, ბოლოს კიდეც მიაღწია თავის სურვილს. ფრეისინეს სამინისტრო ძირს დაამხო, მაგრამ რუვიეს სამინისტრო გენერალ ფერონნით არაფერით არ ჩამოუვარდა ფრეისინეს და ბულანჟეს.

ამავე დროს ავსტრო-ვენგრია, გერმანია და იტალია ახალს კავშირს ადგნენ; რომლის ძალითაც ისინი მოვალენი არიან ხუთის წლის განმავლობაში არავის დაუკავშირდნენ, საერთოთ მოიგერონ მტერთა შემოსევა. ამ სამთა სახელმწიფოთა კავშირს ინგლისიც მიემხრო, ასე რომ საპოლიტიკო მოედანი ორ ბანაკად გაიყო: ერთის მხრით რუსეთი, საფრანგეთი, დანია და ბელგია, მეორეს მხრით კი გერმანია, ავსტრია, იტალია, ინგლისი, ოსმალეთი და ბოლკანიის წვრილი სამთავრონი: ბოლგარეთი, სერბია და სხვანი...

საფრანგეთს ამ ჟამად კარგად და საუცხოვოდ მოწყობილი საომარად, დაიარაღებული ჯარი ჰყავს. გენერალ ბულანჟემაც ბევრი სარგებლობა მოუტანა საფრანგეთს, იმითი რომ ჯარი ისეთს ფეხზე წამოაყენა, რომ თუ არასჯობნის, — არაფრით არ ჩამოურჩება თავის მტერების, გერმანიის ჯარს. ეს კარგად იცის გერმანიამ და, რა თქმა უნდა, მისი მეთაური თავ. ბისმარკი ყოველგვარ ღონეს ხმარობს საფრანგეთი მარტოდ დასტოვოს და წაართოს ის გავლენა, რომელიც მან მოიპოვა ამ უკანასკნელ ხანებში. დეკემბრის დასაწყისში საფრანგეთში ძრიელ აიწეწა შინაური საქმე, მაგრამ ყველა-

ფერი მშვიდობიანათ გათავდა. გენერალი კაფარელის საქმემ ბევრი უწესოება გამოაჩინა სამხედრო სამინისტროში და აგრეთვე სხვა უმაღლეს წრეებში: პატივცემული პრეზიდენტის გრევის სიძე ვილსონი თურმე პირველი მექთამე გამომდგარა. საფრანგეთის ხალხმა სიძის დანაშაულობა სიმამრესაც მიაკერა და მოხუცებული გრევი იძულებული იქმნა პრეზიდენტობის თანამდებობისათვის თავი დაენებებინა. ყველამ დიდის ხმის უმეტესობით პრეზიდენტად სადი კარნო ამოირჩიეს, რომლის პატიოსნება და სიდინჯე ყველასათვის ცნობილია. შედგა აგრეთვე ახილი სამინისტრო ტირარის მეთაურობით.

თვითონ გერმანიის საპოლიტიკო ჰორიზონტი ძრიელ მოღრუბლულია. ამ ჟამად, ტახტის მემკვიდრე, პრინცი ფრიდრიხი ძრიელ ავად არის, მისი მორჩენა ყოვლად შეუძლებელია და ამიტომ მოხუცი ვილგელმის მემკვიდრეთ იქნება მისი შვილის შვილი, პრინცი ვილგელმი, რომელიც თურმე საფრანგეთის დიდი მოძულეა. თვითონ თავადი ბისმარკიც დაბერდა, მალე 74 წელიწადს გადააცილებს, ამის გარდა ხშირად ავად-მყოფობს. გამოჩენილი გერმანიის სპასალარი გრაფი მოლტკე სულ დაბერებულია. ერთის სიტყვით გერმანიის საუკეთესო პირნი და წინამძღოლელნი თუ არ დღეს ხვალ უნდა მოშორდნენ ამ წუთის სოფელს და ვინ იცის ახლოს მომავალში რა ნაირი ცვლილება მოხდება ამ ძლიერ სახელმწიფოში.

აწინდელი გერმანიის მდგომარეობა ევროპაში სწორედ გასაოცარია. თავ. ბისმარკის სურვილზე ტრიალებს ყველა სახელმწიფოთა საპოლიტიკო სასწორი ესეთი გავლენა გერმანიისა ევროპიულ საპოლიტიკო მოედანზე, რა თქმა უნდა, არც ერთს სახელმწიფოს არ მოსწონს და ვისაც რა შეუძლიან, ყველანი ცდილობენ მოაკლონ გერმანიას ის დაუბრკოლებელი გავლენა და ბრძანებლობა, რომელიც მან მოიპოვა საფრანგეთის ომის შემდეგ. ამასთანავე თვითონ გერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანიის გეოგრაფიული მდგომარეობა ისეთია, რომ მან აუცილებლად უნდა დაიწიოს ერთის მხრით რუსეთისაკენ და მეორეს მხრით ავსტრო-ვენგრიისაკენ, ხოლო ჯერ-ჯერობით ამ უკანასკნელთან მეგობრობს. ეს მეგობრობა იმით გამოიხატება, რომ გერმანია ავსტრიას ძრიელ ეხმარება და ხელს უწყობს კონსტანტინოპოლესაკენ დაწევას. ამასთანავე ავსტრიას გაუჩინა ახალი საპოლიტიკო მისსია, ე. ი. წვრილ სლავიანთა წინამძღოლობა.

როგორც ყველამ იცის რუსეთი თვითონ სლავიანთა სამეფოა და არავის არ დაანებებს სლავიანის ხალხთა მეთაურობას. აქედან აშკარად წარმოსდგება მუდმივი შუღლი და მტრობა რუსეთის და ავსტრიის შორის. რუსეთის მთავრობას დიდი ხანია—პეტრე პირველიდამ — გადაწყვეტილი აქვს სტამბოლი და ბოსფორი ხელში იგდოს, რომ შავს ზღვას მის მეტი არვინ მფლობელობდეს. თუმცა ავსტრო-ვენგრია მარტოდ მარტო საშიში არ არის რუსეთისათვის, მაგრამ გერმანიასთან ვერაფერს ჰბედავს და ამიტომ საფრანგეთთან ეძებს კავშირს. ფრანგებიც მაგას ცდილობენ, მაგრამ რაც უბრალო მოკვდავისათვის შეუძლებელია ის ჩვეულებრივი საქმეა თავ. ბისმარკისათვის და ამ ბოლოს დროს ბისმარკმა იმდენი იმეცადინა, რომ რუსეთის იმპერატორი ბერლინში მობრძანდა. რა მოხდა და რა საპოლიტიკო ნასკვი შეკრეს ბერლინში ჯერ-ჯერობით ყველასათვის ამოცანაა. ხოლო ის მართალია რომ საფრანგეთის და რუსეთის კავშირი ამ ჟამად ცოტა არ იყოს მისუსტებულია. ამას რომ თავი ედავანებოთ. მაინც რუსეთის და გერმანიის შორის ამ ხანად სასტიკი საეკონომიო ომია გაჩაღებული, რომლიდამაც გერმანია ჯერ ჯერობით გამარჯვებული გამოდის. რით გათავდება ეს საეკონომიო ომი ძნელი გამოსაცნობია...

ინგლისის დამოკიდებულება რუსეთთან თითქოს გაწყობილ უნდა იყვეს, მაგრამ აქაც სანუგეშოს ვერაფერს ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავს კაცი. რუსეთის მთავრობა დღე-დღეზე კვალ და კვალ იწევა ინდოეთისაკენ, ამ ინგლისის საჩრდილო-სამხედრო რიგებში არის თითქმის გაკეთებული. ამის გარდა ინგლისის შინაური საქმეც ძრიელ აწუხებს.

ხავს კაცი. რუსეთის მთავრობა დღე-დღეზე კვალ და კვალ იწევა ინდოეთისაკენ, ამ ინგლისის სარჩო-საბადებელისაკენ—და ეს გარემოება ძრიელ აფრთხობს ინგლისელებს. თუმცა მათ შორის მორიგებაც მოხდა და სამზღვრების დამიჯნაც, მაგრამ პოლიტიკაში მორიგებაც და სამზღვრებიც მხოლოდ დროებითი ნიმუშია კარგის გაწყობილებისა, საკმარისთა მცირე რამ საბუთი გამოტყვრეს, რომ ყველაფერი აირივ დაირიოს და დაიშალოს. ეს კარგათ იციან ინგლისის პოლიტიკოსებმა და ამიტომ საოცარის სისწრაფით აშენებენ ინდოეთში ციხეებს და ყოველ გვარ სიმაგრეთ და განსაკუთრებით რკინის გზებს ომისათვის მომართულთ. ამის გარდა ინგლისს შინაური საქმეც ძრიელ აწუხებს. ყველამ იცის რა მდგომარეობაშია დღეს ირლანდიელთა მიწათ-მფლობელობა და მათი ეროვნული მდგომარეობა. გამოჩენილის მოხუცის გლადსტონის მეცადინეობა ის არის რომ როგორმე ირლანდიას თვით-მართველობის უფლება მიანიჭოს, მაგრამ ამის მოწინააღმდეგე დასი ტორები მათის მეთაურით სალისბერით ირლანდიაში ძალ-მამრევი კანონების შემოღებას ჰფიქრობენ და შემოიღეს კიდეც.

საზოგადოთ ყველა სახელმწიფოების შინაური საქმე მეტად გაძნელებულია და გაწიწმატებული. ყველას აქვს თვითო სატკივარი. ზოგს ეროვნული კითხვები აწუხებს, ზოგს საეკონომიო სიღატაკე, ზოგს თითქმის გაკოტრება მთელის და ზოგს კიდევ რა. ისე აირია საპოლიტიკო დავთარი, რომ კაცს დღეს არ შეუძლიან სთქვას ხვალ რა იქნება, რა ცვლილება მოხდება ან შინაური ან საგარეო საქმეთა შორის. შიში, უიმედობა გონებითი და ზნეობითი დაღლილობა და რაღაც გაუგებრობის მოლოდინება აი ის გრძნობანი, რომელნიც შხამავენ ადამიანს ამ გვარი „შეიარაღებული მშვიდობიანობის დროში“. ამავე დროს ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დედა მიწის მეორე ნახევარზე —ამერიკაში ზოგიერთი სახელმწიფოებში ომიანობა და შეია-

რაღება სრულებით გაუუქმებიათ, როგორც მავნე და მჩაგრავი სენი კაცობრიობისა. ყოველ-გვარი უთანხმოებანი სახელმწიფოთა შორის, რომელნიც ომის მიზეზად ხდებოდენ ხოლმე, გადაწყვეტილ უნდა იქმნენ ამორჩეულის მედიატორებით...

ესეც თქვენი ძ ვ ე ლ ი ევროპა და ა ხ ა ლ ი ამერიკა!!...

---

## შესანიშნავი მოვლენანი საქართველოს ცხოვრებაში

### ქრისტეს დაბადებამდე

2500 წარღვნა. ნოეს კიდობანი დადგა დიდი არარატის წვერზედ.

2110 ქართლოს ქართველთ წინაპარი გადმოსახლდა საქართველოში და ჰაოს სომეხთ მამა—სომხითში.

1740—1730 სომხითი დაიპყრო ბაბილოველთ მეფა შამირამმა.

1350 გალაშქრება არგონაველებისა ოქროს მატყლისთვის კოლხიდაზედ (გურია და სამეგრელო).

720 ერთი ნაწილი დატყვევებულის ისრაილებისა გადმოსახლდეს ეხლანდელ გურიაში.

700 დაიწყო ბაგრატოველთ გვარი.

633 სკითნი კავკასიის მთებით შევიდნენ სომხითში და მცირე აზიაში.

565 მეფობდა სომხითში ტიგრან პირველი, თანმედროვე სპარსეთის მეფის კვიროსისა

558 კოლხიდა (სამეგრელო) დაიპყრო სპარსთა მეფემ კვიროსმა.

480 ქსერქსმა გაილაშქრა საბერძნეთზედ. იმის ლაშქარში ერივნენ საქართველოს ხალხნი.

322 არტაქსიასი და ზარიადრესი გამოიხსნიან სომხითს ასურელთაგან.

320 ფარნაოზ პირველი მეფე საქართველოსი შემოიღებს

მხედრულ ქართულ ანბანს და ავრცელებს ქართულ ენას.

162 მირვან პირველით დაიწყობა საქართველოში ნებროთიანთ გვარის მეფობა.

149 იწყობა სომხითში არშაკუნიანთ გვარის მეფობა. ვალარშიკ იყო პირველი მეფე ამ გვარისა.

140 აღშენება საქართველოს მეფის მირვანისგან დარუბანდის კარებისა.

93 სპარსელი არშაკუნიანთ გვარი იწყობს საქართველოში მეფობას.

67 პომპეი (რომაელთ ჯარის წინამძღვარი) იპყრობს სამეგრელოს რიონის სათავემდის და შეიქმს მას რომის ნაწილად.

65 მიტრიდატი, დამარცხებული პომპეისაგან, გაიქცევა ყირიმს საქართველოს მეფის არტავის მეფობაში; რომაელები დაიპყრობენ მთელ საქართველოს.

34 მარკ ანტონი—რომაელთ ჯარის წინამძღვარი—დაიპყრობს სომხითს.

28 რომაელნი დაუბრუნებენ საქართველოს მიტრიდატ იბერიელს

## ქრისტეს დაბადების შემდეგ.

40 წმ. ძც. ანდრია პირველ წოდებული და სვიმონ განანათლებენ მესხეთს (ეხლა ახალციხის მაზრა), სამეგრელოს და აფხაზეთს ქრისტეს სარწმუნოებით.

79 აშენება ერევნის ქალაქისა.

150 გოთნი დასახლდებიან შავი ზღვის კიდეებზედ.

265 სპარსელი სასანის გვარი ადის საქართველოს ტახტზედ.

300 სომეხნი მიიღებენ ქრისტეს სარწმუნოებას თრდატის მეფობაში.

303 ეჯმიაწინის აშენება.

314 მეფე მირიანის მეფობაში წმ. ნინო განანათლებს საქართველოს ქრისტეს სარწმუნოებით.

342 ბაქარ I საქართველოს მეფე ომობს სპარსელებთან, რომელთაც დაიპყრეს სომხითი.

397 სპარსნი აშენებენ თბილისში ციხეს.

410—412 წშ. მესროფი იგონებს ასოებს სომხური ანბანისთვის. ცოტახანს უკან შემოიღებენ ხუცურ ასოებს ქართული სიეკლესიო წიგნებისთვის.

415 აშენება მარტომყოფის (მარტყოფის) მონასტრისა.

446 ვახტანგ გურგ ასლანი ადის საქართველოს სამეფო ტახტზედ.

455 ვახტანგ გურგ ასლანი დაიპყრობს სამეგრელოს და აფხაზეთს. აშენება თბილისისა და მცხეთის ეკლესიისა.

458 წამება წმ. შუშანიკასი, სომხითის მეფის ასულისა.

474 დაფუძნება ვახტანგ გურგ-ასლანისაგან ეპარქიისა საქართველოში.

481 ვახტანგ გურგ-ასლანის ადგომა საქართველოზედ.

482 ვახტანგ გურგ-ასლანი ამარცხებს ოსებს და პეჩენეგებს.

499 მიცვალება ვახტანგ გურგ-ასლანისა.

547 ფარსმან მეექვსის მეფობაში მოვიდნენ საქართველოში ათორმეტნი მამანი სირიით, სიმეონ მესვეტის დროს.

550 ვიზანტიელნი დაიპყრობენ აბხაზეთს.

551 სომეხნი შემოიღებენ წელთ აღრიცხვას.

586 ბაგრატოვანთ გვარი იწყობს მეფობას საქართველოში. გურამ კუროპალატი არის პირველი მეფე საქართველოში ამ გვარისა.

622 მაჰმადიანთ სჯულის დამდები მაჰმადი გაიქცევა მეკკიდამ მედინაში.

626 ვიზანტიის იმპერატორი ერეკლე დაიპყრობს თბილისს.

630 დასრულება ჯვარის ეკლესიისა (მცხეთის პირდაპირ მთაზედ რომ არის).

697 არაბნი დაეცემიან სამეგრელოს.

731 მირვან ყრუ დაეცემა საქართველოს და სომხითს.

787 ბაგრატოვინთ გვარი მეორედ ადის საქართველოს ტახტზედ.

780 ქართველნი იწყობენ პასექის წელთ აღრიცხოვის ხმარებას.

931 ოსები დაუტევებენ მართლმადიდებელ სარწმუნოებას.

964 აშენება კუმუდროში საკათედრო ეკკლესიისა, აბხაზეთის მეფის ლევან მეოთხის დროს.

976 12000 ქართველთ მხედარნი, ტორნიკეს წინამძღოლობით, განდევნიან მეშფოთარ სკლირს აზიის საბერძნეთიდგან და ათონის მთაზედ აშენებენ იერიის მონასტერს. ამ წელსვე წმ. ევთიმე ქართველი ათავებს ძველი აღთქმის თარგმნას.

1003 ბაგრატ მესამე, მეფე აბხაზეთისა და ქართლისა აშენებს საკათედრო ეკლესიას ქუთაისში. ამ ეკლესიის წარწერილებზედ სჩანს არაბული რიცხვები. აგრეთვე ფიქრობენ, რომ ამ მეფემ ააშენა მანგლისის სობორო და სამეგრელოში მარტვილის ეკლესია 996 წელში.

1022 დაქორწინება ბაგრატ მეოთხისა და ელენესი, იმპერატორის რომან არგირის ასულისა.

1064 დაქორწინება ბაგრატ მეოთხის ასულისა და იმპერატორი მიხეილ დუკასი.

1068 ოსმალნი დაიპყრობენ თბილისს.

1080 დასაწყისი რუპინიანთ გვარის მეფობისა სომხითში.

1089 გამეფება საქართველოს მეფის დავით მესამისა, რომელი იხსენება წმინდად, ძლევა შემოსილად და აღმაშენებელად.

1128 დავით მესამე აღმაშენებელი დაამარცხებს ოსმალებს და დაიბრუნებს თბილისს.

1139 მოხდა განჯაში დიდი მიწის ძვრა, საქართველოს მეფემ დიმიტრი პირველმა ააოხრა დარუბანდი და წაიღო იქიდამ რკინის კარები, რომელი დადო გელათის მონასტერში (ქუთაისის ახლო).

1170 დაწვა უსჯულოთაგან ათი ათასი სომხური ხელთნაწერი წიგნებისა ბაღაპერტში.

1184—1212 მეფე თამარ დაამარცხებს სომხეთ, ოსმალთ, დაიმორჩილებს ყველა მთის ხალხს და ავრცელებს იმათში ქრისტეს სარწმუნოებას.

1204 მეფე თამარ დააფუძნებს ტრაპიზონის სამეფოს.

1225 ჯალალ-ედდინ-ხორეზმ-შაჰ იკლებს თბილის და დაანგრევს სიონის სობოროს.

1259 იმერეთი გაუდგება ქართლს და დააფუძნებს საკუთარ სამეფოს.

1285 სერგის ჯაქელი იწყობს ახალციხეში ათაბეგობას.

1289 წამებით სიკვდილი საქართველოს მეფის დიმიტრი პირველისა, თვით განწირულისა.

1323 გიორგი პირველი დადიანი შეიქმნება მთავარი სამეგრელოსი.

1387 თემურ-ლენგი (თემურ კოჭლი) იმონავებს სპარსეთს, დაიპყრობს საქართველოს და დაღისტანს—იალბუზამდის.

1394 თემურ-ლენგი აოხრებს საქართველოს და დაანგრევს მრავალ ეკკლესიებს და მონასტრებს.

1403 თემურ ლენგი მეექვსედ (უკანასკნელად) დაეცემა საქართველოს.

1424 საქართველოს მეფე ალექსანდრე პირველი გაუყოფს სამეფოს თავის შვილებს. აქედამ იწყობა მეორე სამეფო იმერეთისა

1478 აკლება თურქმენელი უზან-ჰასან-ხანისაგან საქართველოსი.

1483 გურიელი გახდება დამოუკიდებელი მთავარი გურიისა.

1484 ქუთაისი შეიქმნება იმერეთის სატახტო ქალაქად.

1492 კახეთის მეფე ალექსანდრე ჰგზავნის რუსეთის მეფე იოანნე მესამესთან ელჩებს და სთხოვს მფარველობას.

1501 ისმაილ-სეფი იმონავებს საქართველოს და შირვანს.

1559 შაჰ-თაჰმასი დაეცემა საქართველოს; დანგრევა ვარძიის მონასტრისა.

1567 დაიწყობა წიგნთ ბეჭვდა სომხითში.

1578 ოსმალები და სპარსნი იყოფენ საქართველოს სამფლობელოებს. ოსმალები დაიპყრობენ თბილისს; აშენებენ ფოთს და სუხუმ-კალეს შავ ზღვაზედ.

1586 კახეთის მეფე ალექსანდრე მეორე სთხოვს რუსეთის მეფეს თეოდორე იოანნეს ძეს მფარველობას.

1597 შაჰ-აბბასი განდევნის ოსმალებს საქართველოდამ.

1616 აკლება კახეთისა შაჰ-აბბას დიდისგან.

1658 წასვლა მეფე თეიმურაზ პირველისა რუსეთს.

1703 ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე სწერს მატიანეს და სჯულებს.

1709 იწყობა წიგნების ბეჭვდა საქართველოში მეფე ვახტანგის დროს.

1724 ოსმალები დაიპყრობენ თბილისს. ვახტანგ მეექვსე გადასახლდება რამდენიმე ქართველით რუსეთს.

1735 თბილისს, ერევანს და განჯას დაიპყრობს ნადირ-შაჰ

1736 ნადირ-შაჰ განდევნის ოსმალებს კახეთიდამ და ქართლიდამ.

1744 ერეკლე მეორეს ტახტზედ ასვლა.

1752 ერეკლე მეორე, მეფე საქართველოსი დაამარცხებს სრულებით სპარსეთს ერევანთან.

1764 კათალიკოზი ანტონ პირველი დაბრუნდება რუსეთიდამ საქართველოს.

1773 ტიპოგრაფიის გამართვა ეჯმიაწინში.

1782 სიკვდილი იმერეთის მეფის სოლომონ პირველისა.

1795 აკლება თბილისისა აღა-მაჰმად-ხანისგან.

1798 გარდაცვალება ერეკლე მეორისა.

1800 სიკვდილი მეფე გიორგი მეცამეტისა. ამის შვილი დავით დაინიშნება საქართველოს მმართველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



1801 შეერთება რუსეთისა და საქართველოსი.

1802 გაჩენა ფულის მოსაჭრელი სასახლისა თბილისში გენერალი კნ. ციციანოვი დაინიშნება საქართველოს მთავარ-მმართებლად.

1804 ფოსტის გაჩენა საქართველოში.

1806 გრაფი გუდოვიჩი დაინიშნება საქართველოს მთავარ-მმართებლად.

1807 სასულიერონი განთავისუფლდებიან ბატონის ყმობიდგან.

1809 გენერალი ტორმასოვი დაინიშნება საქართველოს მთავარ-მმართებლად.

1811 მიტროპოლიტი ვარლამი დაინიშნება საქართველოს ეგზარხოსად. მარკიზ პაულუჩი ხდება საქართველოს მთავარ-მმართებელად.

1814 დაფუძნება თბილისში საქართველო-იმერეთის უწ. სინოდის კანტორისა.

1815 სიკვდილი იმერეთის მეფის სოლომონ მეორისა,

1817 გენერალი ერმოლოვი დაინიშნება საქართველოს მთავარმმართებლად.

1817 გაჩენა ეპარქიისა საქართველოში, იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში,

1819 გადმოსახლება ნემეცების ხუთასი კომლისა საქართველოში.

1823 ოპეკის გაჩენა აზნაურთათვის საქართველოში.

1827 გენერალი პასკევიჩი დაინიშნა საქართველოს მთავარ-მმართებლად.

1829 თბილისის სასწავლებელის გადასახელება გიმნაზიად.

1835 გაუქმება თბილისის ფულის საჭრელი სასახლისა.

1837 გახსნა სომეხთაგან სინოდისა ეჯმიაწინში. მობძანება **იმპერატორის ნიკოლოზ** პირველისა. კავკასიაში.

1840 დაფუძნება თბილისში საქალო ინსტიტუტისა კეთილ-შობილთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



1844 გრაფი ვორონცოვი დაინიშნა საქართველოს მთავარ-მმართებლად.

1846 გამოიცა თბილისში რუსული გაზეთი „კავკაზ“. გაჩნდა დოლი თბილისში. გაიხსნა ფბილისში საქალო სასწავ-ლებელი წმ. ნინოსი.

1847 აშენდა თეატრი თბილისში.

1850 მობძანება თბილისს მემკვიდრე ცესარევიჩისა, განსვე-ნებული **იმპერატორი ალექსანდრე ნიკოლაოზის** ძისა

1851 პირველად წარმოდგენა თბილისში თეატრისა ქართულ ენაზედ. აგრეთვე ოპერისა იტალიანურ ენაზედ. გაჩენა აფხაზეთში საარქიერო კათედრისა- ქართული ჟურნალ. „ცისკრის“ დაარსება.

1854 გენერალ მურავიევი დაინიშნა საქართველოს მთავარ-მმართებლად.

1856 თ. ბარათინსკი დაინიშნა საქართველოს მთავარ-მმარ-თებლად

1859 დაჭერა შამილისა.

1860 დამტკიცება კონსტიტუციისა სომეხთ გვარისა ოსმა-ლოს სამეფოში.

1862 დაინიშნა მისი **იმპერატორებით უმაღლესობა** დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლაოზის ძე კავკასიის მთავარ-მმართებელად.

1863 მობრძანება **მ. ი. უმ.** მიხეილ ნიკოლოზის ძისა კავ-კასიაში ნამესტნიკად. ქართ. ჟურნ. „საქართველოს მოამბის“ დაარსება.

1864 გააბეს ტელეგრაფის მავთული თბილისიდამ დილიჯან-ზედ, ერევანზედ და ნახჩევანზედ ჯულფამდის. ბორჯო-მიდგან ახალციხემდის. ყმების განთავისუფლება თბილი-სის გუბერნიაში.

1865 ყმების განთავისუფლება ქუთაისის გუბერნიაში. საქა-ლებო გიმნაზიის დაარსება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1866 დაიწყო სიარული დელიჟანმა თბილისიდამ ქუთაისს, ერევანს, ნახჩევანს და ჯულფს. გაჩნდა ახალი სოფლის მმართველობა — მამასახლისობა (სოფლებში) ქართ. გაზ. „დროების“ დაარსება.

1868 ახალი სასამართლოების დაწესება.

1872 ფოთი-თბილისის რკინის გზის გახსნა.

1873 დამტკიცება სათავად-აზნაურო ბანკის წესდებულებისა. საქალებო პროგიმნაზიის დაფუძნება.

1874 სათავად-აზნაურო ბანკის დაარსება. დამტკიცება წესდებულებათა საქალაქო მმართველობათა მთელს კავკასიაში.

1875 დაარსება სამასწავლებლო სემინარიისა.

1877 სოხუმის აოხრება ოსმალებისაგან. ქართული თეატრის სამუდამო დასის დაარსება. ქართ ჟურნ- „ივერიის“ დაარსება. აჯანყება დაღესტანში.

1878 ბათუმის შეერთება რუსეთთან. პირველი ქართული წიგნის მაღაზიის დაფუძნება.

1879 „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წესდებათა დამტკიცება. დაიწყო რკინის გზის შენება ქალ. ბაქომდე.

1880 უმაღლესი განკარგულება სამეგრელოს კეთილშობილებზე. ნებართვა მთავრობისა რკინის გზის აშენებისა ბათუმიდამ თბილისში.

1881 **ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ II ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ** დრამატიული საზოგადოების წესდებათა დამტკიცება. მეორე საკლასიკო გიმნაზიის დაარსება თბილისში. მიხეილ ნიკოლოზისძისაგან ნამესტნიკობას თავის დანებება

1882 გენერალ-ადიუტანტის თავ. დონდუკოვი-კორსაკოვის კავკასიის მთავარ-მმართებლად დანიშვნა. არქიეპისკოპოსის პავლეს დანიშვნა საქართველოს ექსარხოსათ.

1883 ჟურნ. „ნობათის“ დაარსება. ტყიბულის რკინის გზის აშენების დაწყება. სიონის სობოროს გადაშენება და

ექზარქი პავლესაგან კურთხევა. ბათუმის რკინის გზის გახსნა. გარდაცვალება ჩვენი პოეტი თავ. გრიგოლ ჯანბაკურიან ორბელიანისა. სერგეი მესხის გარდაცვალება.

1885 გაზ. „დროების“ გამოცემა მთავრობისაგან აღკრძალულ იქმნა. ქართ. გაზ. „თეატრი“-ს დაარსება.

1886 ჟურნალ „ივერიისა“ საყოველდღეო გაზეთად გადაკეთება. სახალხო პოეტის იოსებ დავითაშვილის გარდაცვალება.

1887 დიმიტრი ყიფიანის მოწამებრივი სიკვდილი ქ. სტავროპოლში. საქართველოში ჯარის მოკრეფა. პალადის დანიშვნა საქართველოს ექზარხოსად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი ცხოვრების გზა-კვალი.

გზა გავლილი ჩვენის საზოგადოებრივის ცხოვრებისაგან, რა თქმა უნდა, მეტის-მეტად საყურადღებოა საზოგადო მატიანის მეთვალყურესათვის და თავის დროზე, ალბათ, ვისაც ცოდნა და ღონე მისდევს იტყვის რასმე ამ საგულისხმო საგანზე.

ჩვენ თუ განვიზრახეთ ამ საგანზე ორიოდე სიტყვის თქმა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საჭიროდ მიგვაჩნდა საზოგადო კალენდარისათვის. რა თქმა უნდა, ჩვენი ბაასი მეტად მოკლე, უფერული და თავ-ბოლო მოკვნეტილი იქნება, არ ვიტყვით იმას რომ შუა ტანიც მთელი დარჩეს. აზრთა უფერულობა და ტანთა სიმახინჯე ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენს უგემურ ცხოვრებაში ესეც რომ არ იყვეს, ვინ მოსთხოვს უბრალო კალენდარს „ჭკუის მალდატანების“ ნაყოფს და „ჯანყითა და ბურუსით მოსილს“ აზრთა მალაყებს. ვიმეორებთ, ჩვენი ბაასი გაკვრით შეეხება ჩვენის ცხოვრების გზა-კვალს.

ყოველს ერს, ყოველს ხალხს აქვს საზოგადოებრივი ცხოვრება თვისის ავ-კარგობით და მეტ-ნაკლებობით. საზოგადოებრივი ცხოვრება პირმშო შვილია ხალხის ჯან-მრთელობისა, მისის სულიერის მოთხოვნილებისა, მისის სწავლა-განათლების, ყოფა-ცხოვრების, ზნეობა-ჩვეულების და სხვათა მრავალთა მდგომარეობათა.

საზოგადოებრივი ცხოვრება ყველა ხალხთა თუმცა ემორჩილება ერთსა და იმავე ზოგადს კანონებს და სხვა და სხვა მიზეზთა გამო სხვა და სხვა მიმართულებისაა, მაგრას მაინც ყოველის ერის საზოგადოებრივს ცხოვრებას თავისებური კილო და ფერი, თავისებური სუნი... უკაცრავად „არომატი“ აქვს. ჩვენს ქართულ საზოგადოებასაც თავისებური ფერი და სუნი აქვს.

უმთავრესი ადგილი საზოგადოებრივი ცხოვრებაში, ჩვენის აზრით, უჭირავს საზოგადო ხასიათს ეროვნობისას, მისს სიმტკიცეს და სიბეჯითეს, მისს სიფიცხლეს და ტვინის ჭახრაკთა სიმაგრეს. არიან კიდევ სხვა მოქმედნი, რომელნიც ასე თუ ისე ხელს უშლიან ან ხელს უწყობენ საზოგადოებრივს ცხოვრებას, მაგრამ უმთავრესი მათგანი ზემო მოყვანილი თვისებებია.

რაც შეეხება ქართულ საზოგადოების ხასიათის სიმაგრეს და სიბეჯითეს, უნდა გამოვტყდეთ, რომ ბევრს სანუგეშოს ვერაფერს ვნახავთ. მიზეზი მტკიცე და მაგარი ხასიათის უქონლობისა ბევრია, უმთავრესი მათგანი არის საზოგადო უძლურება თვითეულ საზოგადოების წევრთა. ამ უძლურობის მიზეზები მეტად რთულია, მაგრამ კაცი რომ კარგად დააკვირდეს, ადვილად ცნობს, რომ პირველი ადგილი ქართველ კაცის უძლურებაში უჭი-გამოირავს მრავალ გვარ მიზეზთა შორის სწავლა-განათლების ნიადაგს. ყოველს ჩვენთაგანს თითქმის აკვნიდამ აწევს ისეთი ტვირთი, რომლის ზიდვით ნება-უნებლიეთ გვეკარგება, ან უკეთ რომ ვსთქვათ, გვეხარჯება იმდენი ხორციელი და სულიერი ძალ-ღონე, რავდენის დახარჯვა ერთი კაცისათვის შეუძლებელია. ის ენერგია, რაც საკმარისი იქნებოდა ცხოვრებისათვის და საზოგადო საქმისათვის, ჩვენ გველევა სიყმაწვილეშივე, ასე რომ—როდესაც დროს და მოვალეობას ცხოვრების მოედანზე გამოვყვევართ—ჩვენ უკვე დალეულ გვაქვს ღონე და ძალა ცხოვრების ტალღების მოსაგერებლად; ამას ზედ ემატება ხორციელი და სულიერი მოქანცვა, ზნეობრივი უნუგეშობა, უთანხმოება ურთიერთ შორის და სხვა და სხვა. ჩვენ არ გამოვუდგებით სხვა პირობებს და მიზეზებს, რომელნიც ერთი ორად აორკეცებენ ჩვენს უძლურობას. ადვილად მისახვედრია, რომ ამ გვარ პირებთაგან შემდგარს საზოგადოებას არამც თუ ხასიათის სიმტკიცე და ბეჯითი მეცადინეობა ექნება, არამედ ოდნავ სიმხნევე და სიმაგრე არ მოეპოება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომაც საზოგადოებრივი ცხოვრება უფერულია, უმოძრაოა. უფერულია აგრეთვე თვით საზოგადოებრივი საქმენი და მისნი ნაყოფნი. ეს კიდევ არაფერი. კაცი თუ საზოგადოება ზემო მოყვანილის ფერისა და სურისა საზოგადოებრივს შარაზე მსვლელობის დროს ხშირად წაბორძიკდება, ხშირად წამოკრავს ხოლმე ფეხს ან ქვას ან ჯირკსა და შემდეგ ისე გამბედავად ვერ ალაჯებს ხოლმე. ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ თუ მეორედ და მესამედაც წაიბორძიკა, მაშინ ხომ ხელ თავს დაანებებს სიარულს საზოგადოებრივს გზაზე, სასეირნოდაც არ გამოვა, ჩაჯდება შინ, ჩაკეტავს კარებს, ჩავა თავის ქოქში და თუ სიარული სრულებით არ დაივიწყა კიდევ მადლობა უფალს!...

რას აკეთებს ასეთი კაცი თუ საზოგადოება თავის ქოქში? „საქმობს“!.. დიაღ, საქმობს, ხოლო საქმობა იგი მეტად ადვილი და უშიშარია... ეგ საქმე გახლავსთ „ბაასი და ლაპარაკი“.

ყოველი ჩვენგანი უსიკვდილო მოვალეობად სთვლის მუდამ ილაპარაკოს და იბაასოს ყველაფერზე: დღეური სენზე, პოლიტიკაზე, ჩინეთზე, ბისმარკზე, ქვეყნიერობის ბედ-იღბალზე და ქველაოსერ მუტრუკზე...

მეტადრე დიდ ღირსებად ითვლება ხმა-მაღლა, თავისუფალი მსჯელობა. ვინ ამბობს, მსჯელობა და ბაასი კარგი რამ არის გონების და მჭევრ-მეტყველების სავარჯიშებლად, მაგრამ საქმე ის არის, რომ ზემო მოყვანილის პირობების დროს ამ გვარი ლაპარაკი მეტად უნაყოფო, უმნიშვნელო და მავნეა,—რადგან ასეთს ლაპარაკს ხშირად და ძრიელ ხშირად მოსდევს აჩქარებული და დაუფიქრებელი განსაჯა და გადაწყვეტილება. ხშირად ზოგს სრულებით უბრალოდ და უდანაშაულოდ ისე ამოთუთხნიან ჭორების ტალახში, რომ მტკვარიც ვერ გარეცხავს. ვიმეორებ ბაასი კარგი საქმეა და სასარგებლოც არის, რადგან მხოლოდ ლაპარაკში და ბაასში ვუღვიძებთ ერთ მეორეს სხვა და სხვა გრძნობებს და აზრებ-

სა; მართალია ჩვენ ვბაასობთ გულის მოსაფხანად, ბოღმების მოსანელებლად, დღეურ ვარამის გასაქარწყლებლად, მაგრამ მაგ ბაასობას მეტად ბევრს დროს ვანდომებთ ხოლმე, ისე ბევრს რომ საქმე გვავიწყდება. ამით მე ის არ მინდა ვსთქვა, რომ ტყუილ უბრალო ლაპარაკი ქართველ კაცის თვისება იყოს. არა; ყველაფერი ეს შედეგია იმ ზემო აღწერილ პირობათა და მდგომარეობათა რომელნიც გვაუძლურებენ, საქმის წინ გაძღოლას გვეღობებიან, საზოგადო სამსახურს გვიუგემურებენ...

ასეა თუ ისე, ხოლო ის ჭეშმარიტია, რომ ყოველს ჩვენთაგანს კერძოთ და საზოგადოთ ყველას ძრიელ უძნელდებათ და ხშირად არ ეხერხებათ საზოგადოებრივი საქმეთა წინ გაძღოლა, დასაწყისთა მოშენება, ბალახიან გზის გაკაფვა და მოშენებულ საქმეთა მოვლა და გამარგვლა.

საზოგადოებრივი ცხოვრება, ისე როგორც ჩვენ გვესმის, ჩვენში დაიწყო 1820 წლიდამ. ამ ხანებში მოზარდი ყმაწვილ-კაცობა და ეგრედ წოდებულ ახალ თაობა რაღასაც ცდილობს თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის. თუმცა ამ შრომას და მეცადინეობას არ აქვს ისეთი მტკიცედ განსაზღვრული საზოგადოებრივი ხასიათი, მაგრამ მაინც საზოგადოებრივი საქმისათვის პირველი ქიმუნჯი იმ ხანებში წაუკრავთ. 1825—1835 წლებში უფრო გამოკვეთით და ნათლად ისახება საზოგადოებრივი საქმისათვის შრომის სურვილი და მოწინავე დასთა მიმართულება. განსაკუთრებით მწერლობას—(ჟურნალი „თბილისის უწყებანი.“) ხელოვნურს პოეზიას საზოგადოებრივი ნიშანი ადევს, რომლის საუკეთესო წარმომადგენლად ჩვენი დიდებული პოეტი ნ. ბარათაშვილია.

ამ დროის შემდეგ კარგი ხანი გადის. საზოგადოებრივი ცხოვრება თითქოს მიდუმდა. ყოველისფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობს. საზოგადოების დაშხამულს გულს თითქოს ვინმემ მალამო წაუსვაო, ისე მიჩუმებულნი და დამშვიდებულნი არიან ყვე-

ლანი. თითო-ოროლა პირი დრო გამოშვებით თუ გამოჩნდებიან, ისიც მხოლოდ იმისთვის რომ გული მოიფხანონ. ასე უფერულად და მკრთალად მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრება ვიდრე 1845 წლამდე.

ხოლო ამ დროიდამ (1845—1855) დროებით მიჩუმებული საზოგადოებრივი ცხოვრება ხელ-ახლად იღვიძებს, შესანიშნავის სისწრაფით მაგრდება და ნაყოფიერდება. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ხანებში თავ. ვორონცოვი ნამესტნიკად და ისიდორე ექზარხსათ დაინიშნა საქართველოში. ქართულს მწერლობას წელი გაემართა; საზოგადოების მეთაურები უფრო დაახლოვდნენ ერთმეორესთან და ვისაც სურვილი ჰქონდა და ღონე მისდევდა შესაფერად შრომობენ და მეცადინეობენ. მართალია, მოწინავე დასში და ეგრეთვე მწერლობაში ვერ ვხედავთ მტკიცედ განსაზღვრულს მიმართულებას და ვიწროდ შემოფარგულს საზოგადო მოთხოვნილებათ, სურვილთ და საგნებს, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრებას მაინც ეტყობა თავისებური ჯეროვანი კილო და ფერი. რაკი ერთხელ თვითეულს წევრს საზოგადოებისას საშუალება მიეცა შრომისა და მეცადინეობისა, ყველანი თავიანთ ძალ-ღონის დაგვარად მოღვაწეობენ, თუმცა, ვიმეორებთ, ამ ღვაწლს აკლია ის განსაკუთრებითი თვისება და მიმართულება, ურომლისოდ საზოგადოებრი ცხოვრების მიმდინარეობა როგორღაც უსისხლო და უმარილოა.

საკმარისია მოვიგონოთ, რომ იმ ხანებში ქართული ჟურნალი „ცისკარი“ გამოდიოდა; იბეჭდებოდა მრავალი წიგნები, მაშინ დაიბადა ქართული თეატრიც, რომლის საქმე სასიქადულოდ მიდიოდა. საკმარისია დავასახელოთ მაშინდელი მწერლები: გრ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, პლატონ იოსელიანი, გრიგ. ორბელიანი, ვახტ. ორბელიანი, რაფ. ერისთავი, და სხვანი, რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ იმ დროინდელ მწერლობაზე. ერთის სიტყვით

საზოგადოებას ამ ხანებში დიდი სიცხოველე და მოძრაობა ეტყო-ბა. სწავლა-განათლების საშუალება უფრო ფართოა. ქ. ქუთაისში საკლასიკო გიმნაზია არსდება; განათლებულთა და ნასწავლთა რიცხვი წლიდამ წლობამდე მატულობს, საზოგადოებას თან და თან ახალი წევრები ემატებიან...

ასე და ამ გვარად მიდის საზოგადოებრივი ცხოვრება 1860 წლამდე. ხოლო ამ დროიდამ იწყება სრულებით სხვა ნაირი შრომა საზოგადოების მეთაურთა და თვით საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართულებაც შესანიშნავად იცვლება. ეს ის დროა, როდესაც მთელს რუსეთს და ამასთანავე ჩვენს ქვეყანასაც მოხვდა ის დიდებული სხივი იმპერატორი ალექსანდრე მე II კაცთ მოყვარულის განზრახვისა, რომელმაც ძირეულად შეარყია საზოგადოების ძველი წყობილება, მისის მონურის საძირკველით და ფართო და დაუბრკოლებელი გზა მისცა კაცთა და წოდებათა დამოკიდებულებას ურთი-ერთ შორის, მათს თავისუფლებას და კეთილ-შობილურს გრძნობებს. ბატონ-ყმობის გაუქმება ისეთი დიდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო როგორც რუსეთში აგრეთვე საქართველოში, რომ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ყოვლად შეუძლებელი იყო ძველ კვალობაზე დარჩენა.

როგორც მაგვარ შემთხვევაში ყველგან სდება ხოლმე აზრათა არევ-დარევა, ესევე ჩვენშიაც ყველანი აირივნენ. მართალია, ჯერ საქართველოში ყმები არ განთავისუფლებინათ, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა რომ თუ დღეს არა ხვალ ხომ მაინც არ ასცილდებოდათ ეს ძირეული ცვლილება. ზოგთ, საზოგადოების საუკეთესო მეთაურებთა, უხაროდათ ბატონ-ყმობის გაუქმება, მაგრამ უმეტესს ნაწილს მწარედ აფიქრებდა, უკმაყოფილების და უიმედობის გრძნობებს უღვივებდა გულში. ყველა ამათ დრტვინვათა, კრულვა-წყევლათა და ოხვრა-გოდებათა დასამშვიდებლად საჭირო იყვნენ ნიჭიერი საზოგადო მეთაურები, გულ-წრფელი და პატიოსნობით გამ-

სწავლულ მოღვაწენი, რომლებიც ხალხისათვის უნდა აეხსნათ და დაეჯერებინათ უკმაყოფილნი ამ ცვლილების სარგებლობაში და აუცილებლობაში. ჩვენს საზოგადოებასაც სწორედ ასეთი პირები გამოუჩნდნენ. ესენი იყვნენ რუსეთიდამ ახლად ჩამოსულნი და სწავლა დამთავრებული ქართველ ყმაწვილ კაცები.

უპირველესი ადგილი ზემო მოყვანილ მოღვაწეთა შორის ეჭირათ ჩვენს დიდებულ პოეტებს: ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს. ამათი ზედ გავლენა იმ დროინდელ საზოგადოებაზე და ჩვენს ცხოვრებაზე მეტად აშკარაა ყველასათვის; იმ დროინდელ ჟურნალები „გუთნის დედა" და „საქართველოს მოამბე" ბეჯითად და გონივრულად ეკიდებიან საზოგადო კითხვების ახსნას. ასე და ამ გვარად მოახლოვდა ჩვენში ბატონ-ყმობის გაუქმებაც. საზოგადოებრივი ჩარჩი ამის შემდეგ უფრო აირივ-დაირივა. ჩვენი თავად-აზნაურობა, სრულებით მოუმზადებელი ბატონ-ყმობის გაუქმებისათვის, როგორღაც გაუნაპირებ საზოგადოებრივს ცხოვრებას. ყველანი გაშტერებით შეჰყურებდნენ ერთმანერთს, თითქოს ეკითხებოდნენ: „რა ამბავია!..."

დიდისხნობით უზრუნველობას დაჩვეული თავად-აზნაურობა ყმების ჩამორთმევით თითქოს დაობლდა. ეს ისეთი მძიმე ჭრილობა იყო მათის ცხოვრებისათვის, ყველა მებატონეთ ერგოთ ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ ცოტა-ოდენი ფული, მაგრამ ათის წლის განმავლობაში „ცხოვრებას" დაჩვეულმა თავად-აზნაურობამ ყველა ფულები იმ „ცხოვრებაზე" მოახმარა ბოლოს, დარჩათ „პრიკაზში" დაგირავებული მამულები, აუარებელი ვალები, გაობლებული და გაოხრებული დაჟანგებული ხმლები და პირ-დამტვრეული თოფები. ერთის სიტყვით მათი ყოფა-ცხოვრება სრულებით დაინგრა და შეიცვალა ამავე დროს ახალ-თაობა აღტაცებულია ბატონ-ყმობის გაუქმებით, იგი გამსჭვალულია კაცთ-მოყვარულის და თავისუფლობის გრძნობით. ჟურნალ-გაზეთობა—„სასულიერო მახარებელი," „სასოფლო გაზეთი," „დროება," „მნათობი" და სხვა

ერთხმად ჰკიცხავენ ბატონ-ყმობის გაუქმების მოწინააღმდეგეთ... უკმაყოფილნი კი თავის ბედ-იღბალს დასტირიან... აი, ამ დროს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ჰორიზონტზე გამოჩნდა პირველი დრუბელი განხეთქილებისა ძველ და ახალ თაობათა შუა, რომელსაც ზემო მოყვანილის მიზეზის გარდა ბევრი სხვა მიზეზიც ამწვავებდა და რომელიც დღემდე კიდევ არ დამცხრალა.

ამ დროის მწერლობა დიდს ყურადღებას აქცევს უცხო მწერლების ნაწარმოებთ. ამ ხანებში ითარგმნებიან ბევრი საკლასიკო მწერლები, კრიტიკოსები, პოეტები, მეცნიერები და სხვანი. საზოგადოდ მწერლობას და ავტორსათ თვით-მყოფელის ნიშანი ცოტა ეტყობა. დედა-აზრები და შინაარსებიც უფრო გადმოტანილნი არიან ვიდრე თვით მყოფელნი. რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, რაფიელ ერისთავს და კიდევ ორიოდე სხვას, როგორც დიდი და თვით-მყოფელის ნიჭის პატრონთ განსაკუთრებითი ადგილი უჭირავთ იმ მწერალთა გროვაში, რომლების სახელის ჩამოთვლა ბევრს ადგილს წაგვართმევს. ვიტყვით მოკლეთ. იმ ხანებში ყველანი სწერდნენ, პოეტობდნენ — შაირობდნენ.

ამ ხანებშივე გამოდის ჩვენი დიდებული პოეტის ილია ჭავჭავაძის გამოჩენილი თხზულება „კაცია ადამიანი?!“ ყოველ გვარ მოვლენის მნიშვნელობა განიზომება სოლმე მისის ზედ მოქმედებით საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამავე საწყაოთ რომ განიზომოს „კაცია-ადამიანი“ს მნიშვნელობა, მაშინ არა გვგონია რომ მეორე მაგვარი რამე მოიპოვებოდეს ჩვენს ახალს მწერლობაში. „კაცია ადამიანი“ საკლასიკო თხზულებას ეკუთვნის და მისი ზედ გავლენა იმ დროინდელ საზოგადოებაზე სწორედ რომ შესანიშნავი იყო. ყველანი, ვისაც კი კითხვა შეეძლოთ, ეწაფებოდნენ ამ თხზულებას და საკვირველიც არ იყო. „კაცია ადამიანში“ უტყუარის სიმართლით და სისწორით ისატებოდა ჩვენი თავად-აზნაურობის ყოფა-ცხოვრება, „ლუარსაბ თათქარიძე“ საზოგადოებრივი ქართული ტიპად შეიქმნა. ამის გარდა „ლუარსაბიზმი“ ყოველს

ჩვენთაგანს ცოტად თუ ბევრად ჩამჯდარი აქვს ძვალ-რბილში და ეს გარემოება მით უფრო გვიახლოვებს და ჩვენ საკუთარ ქართულ ტიპად ხდის ლუარსაბ თათქარიძეს. შთაბეჭდილება მოხდენილი „კაცია ადამიანით“ საზოგადოებრივს ცხოვრებაზე მეტად ძლიერი იყო და ამიტომ ადვილად წარმოსადგენია რა რიგად ააყაყანა და ააღელვა საზოგადოება ამ მართლა და საუცხოვო თხზულებამ.

1871 წელს გამოდის «კრებული». ამ ჟურნალმა თავის დროს დიდი გავლენა იქონია და სიამოვნებითაც ჰკითხულობდნენ ყველანი. განსაკუთრებით ნ. ნიკოლაძის წერილებს უმნიშვნელოდ არ გაუვლიათ საზოგადოებრივის ცხოვრებაში. ჩვენ ამას იმიტომ ვამბობთ, რომ პირველად ნიკოლაძემ შემოიღო მწერლობაში ევროპიული სიცხოველე თავისუფალი კრიტიკა და «მანერნიანი» კილო, რომლის მიმბაძავებმა ამ «მანერნიანი» კილოთი ბევრი დააშავეს როგორც საზოგადოების, აგრეთვე მწერლობის წინაშე.

ამ საპუბლიცისტო და საპოლემიკო ცეცხ-ცხელებაში, ხელოვნური პოეზია თავის ჯეროვან სიმაღლეზე სდგას. აკაკი წერეთლის მოკლე, გრძნობით სავსე, მგზნებარე ლექსების ჟღერა ბევრს თვალებზე ცრემლს ურევს, გულს უკოდავს. ილია ჭავჭავაძის «კაკო ყაჩაღი» დამოუკიდებელ ცხოვრების იდეალს აღვიძებს მკითხველში; საზოგადოებრივ ცხოვრებას არა-ჩვეულებრივი მოძრაობა ეტყობა. ნასწავლთა რიცხვი თან და თან მატულობს. ზოგან ქართველი ქალებიც ქართულად წერა-კითხვას ეწაფებიან...

ამ ხანებშივე აწ განსვენებული დიმიტრი ყიფიანის თაოსნობით საზოგადოების მოწინავე პირნი შეუდგნენ თავისუფალ საკრედიტო ბანკის დაარსებას. ეს ისეთი საჭირო და დროზედ მოსწრებული საგანი იყო, რომ ყველანი დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი ყველანი ერთხმად და ერთნაირის სიფიცხლით შეუდგნენ ამ სასარგებლო განზრახვის განხორციელებასა და მართლაც 1874 წელს დაარსდა საადგილ-მამულო, სათავად-აზნაურო ბანკი. ასე გადააცილა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ 1875 წელს.

ამ დროიდამ საზოგადოებრივი ცხოვრებამ სრულებით ფერი გამოიცვალა. ბანკის წყალობით ქართველ თავად-აზნაურობას, სო-

ფლად მცხოვრებთ, მიზეზი და საშუალება მიეცათ ბანკის წლიურ კრებებზე დასწრებისა. ამ კრებაზე საზოგადოებამ გაიცნო ერთ-მანერთი, დაეჩვია სჯას და ლაპარაკს, თავის მოთხოვნილების და სარგებლობის დაკვირვებას. ამას ზედ მიუმატეთ «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» დაფუძნება და ადვილად წარმოიდგენთ რა რიგად იცვალა ფერი ჩვენმა საზოგადოებამ...

1877 წლიდამ მოყოლებული 1882 წლამდე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება საოცარის სისწრაფით მიდის წარმატებისაკენ. ამ ხუთის წლის განმავლობაში ქართველ საზოგადოებამ იმდენი დაიწყო და მოაშენა, რამდენიც შესაძლებელი იყო კაცისათვის.

რაც გინდა აიღეთ. მწერლობა საუკეთესო მდგომარეობაშია ილია ჭავჭავაძის «ივერია»-ში ჯერ საყოველ კვირეო და მერე საყოველთვეო ჟურნალში თავი მოიყარეს საუკეთესო და სერიოზულ მწერლებმა. გაზეთი «დროება» აწ განსვენებული სერგეი მესხის ხელში ჩინებულად მიდის, მეორე ჟურნალი «იმედი» ჭაბუკურის სიფიცხლით მუშაობს. ქ. ქუთაისში გამოდის გაზ. «შრომა» რომლის მიმართულება და წერილების ღირსება გარემოებისდა გვარად მეტად თვალ-საჩინოა.

ამავე დროს არსდება სამუდამო ქართული დასი, რომლის წევრთა დიდი ნიჭი და მეცადინეობა გამოიჩინეს. ამ რიგად დრამატიული ხელოვნება მტკიცედ ფესვს უშვებს ჩვენში. ამის გამო დრამატიული მწერლობაც წელში იმართება. რიგ-რიგად გამოჩნდენ სცენაზე რაფ. ერისთავის აკ. წერეთლის და ახალ გაზდა დრამატურღი ავქსენტი ცაგარლის ნაწარმოებნი. ზოგნი სთარგმნიან საკლასიკო პიესებს: შექსპირს, მოლიერს, შილერს და სხვათა, ზოგნი გადმოაკეთებენ საცენო პიესებს. დავით ერისთავის დრამა «სამშობლო» ერთი ორად აორკეცებს საზოგადოების აღტაცებას. ამ დროსვე შესდგა «დრამატიული საზოგადოება»—რომელიც რამდენიმე ხანს განაგებს ქართულ თეატრის საქმეს. თეატრი ქართველ საზოგადოებისათვის შკოლად და მოთხოვნილებად შეიქმნა.

აილეთ პედაგოგია. აქაც, როგორც სხვაგანაც, მოძრაობა და საცოცხლე ეტყობა. „წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაში“ თავს იყრიან სხვათა შორის ჩვენი პედაგოგები, რომელთა საუკეთესო წარმომადგენლად, რა თქმა უნდა, ი. გოგებაშვილი ითვლება. «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება» სკოლებს მართავს სოფლებში, ბათუმში ქართველ მაჰმადიანთა შორის, ქუთაისშიაც აარსებს სკოლას პროგიმნაზიის კურსით. ამათ გარდა სააზნაურო ბანკის სარგებლიდამ არჩენენ სააზნაურო სკოლას, რომლის საქმე კარგათ არის დაყენებული და იმედია რომ საგაისოდაც კარგად წავა. ქართული ენის და ისტორიის შესწავლა თითქმის მოდათ გადაიქცა. განსაკუთრებით ენის შესწავლა ძრიელ გაცხოველდა ქალების შორის. საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილება და დროთა გარემოება ყველასათვის აშკარა შეიქმნა...

სოფლად მცხოვრები, თავად აზნაურობაც არ ჩამორჩა საზოგადოებრივ მიმდინარეობას; უანგარო ცხოვრების სამაგიეროთ მეურნეობას შეუდგნენ. სოფლებშიაც ის აზრი ტრიალებს, რომ მომავლისათვის ვცხოვრობთ და იმიტომ საშვილიშვილოთ უნდა ვიშრომოთ და ვიმეცადინეოთ. მამულს, მიწა-წყალს თვალი დაედო, ოჯახობის მოშენებას და შავს დღისთვის დაფიქრებას უპირატესობა მიეცა დროს გატარების და ლოთობის წინაშე.

1878 წელს არსდება ჩარკვიანის სამუდამო ქართული წიგნის მაღაზია, რომელიც თავის შეძლებისდა გვარად საკმაოდ ავრცელებს დაბალ ხალხში პატარ-პატარა ბროშურებს და წიგნაკებს. სურვილი კითხვისა და მკითხველთა რიცხვი დღე-დღეზე მატულობს. ესეთი წიგნები როგორც ქალვაჟიანი, ამირანიანი, ყარამანიანი და სხვა ერთის წლის განმავლობაში ას ასი ეკზემპლიარობით გადის საზოგადოებაში. ამ ხანებშივე ქუთაისის და ტფილისის საშუალო სასწავლებლების მოსწავლე ყმაწვილ-კაცობა და ახალ-გაზდობა უფრო ბეჯითად უკვირდება თავის სამშობლო ენას. ამ საერთო სურვილს მშობლიური ენის შესწავლისას ერთი ათად აორკეცებს ქართული თეატრი თავის ცხოველის სიტყვით —როგორც ზემოთ ვსთქვით

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული თეატრი საჯარო საზოგადო თავ-მოსაყრელ ადგილად შეიქმნა, სადაც აქამდე განცალკევებული და განმარტოებული საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილნი და წოდებანი ერთი მეორეს ნება უნებლიედ იცნობენ, უახლოვდებიან და ერთმანერთს უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებას, თავიანთ დღეურს ვარამს...

ასეთის ნაბიჯით მიდის საზოგადოებრივი ცხოვრება თითქმის 1882 წლამდე და ამ ხანებში ისეთი საყურადღებო რამე არა მომხდარა რა, რომელსაც ექონებოდა რაიმე განსაკუთრებითი მნიშვნელობა საზოგადოებრივს ცხოვრებაზე. მწერლობაში ისევ წინანდელები მოღვაწეობენ გარემოების და გვარად. ილია ჭავჭავაძის პოემა «დიმიტრი თავდადებული», „ცხოვრება და კანონები“; აკაკი წერეთლის «კუდურ-სანუმ» თავიანთ ღირსებით და გვარად ზედ-მოქმედებენ საზოგადოებაზე. ისტორიულს მწერლობასაც არა უგუნასხმელი ადგილი უჭირავს ამ ხანებში. პატივცემული დიმიტრი ბაქრაძის ისტორიულს მონოგრაფიებს დიდის სურვილით და სიამოვნებით კითხულობს საზოგადოება. ძალიანსდა გვარად ბ. ყორღანია და ჯანაშვილებიც იკვლევენ ისტორიულს ფაქტებს... ახალგაზრდა მწერლებში ყურადღება დაიმსახურეს მხოლოდ ორმა: ავ. ცაგარელმა და ალ. მოჩხუბარიძემ. პირველი მათგანი მწერლობის ასპარეზზე გამოდის როგორც ნიჭიერი დრამატურღი; მისი პიესები «რაც გინახავს ვეღარ ნახავ»! და «ხანუმა» დიდის ნიჭით, ცოდნით და ზედ მიწევნით არიან დაწერილნი და დღესაც სიამოვნებით იზიდავენ მაყურებელთ. ავ. ცაგარელი ჯერ სრულებით ახალგაზრდა მწერალია და საზოგადოებას იმედი და უფლებაც აქვს ამ ახლოს მომავალში მოელოდოს მისგან ახალს და უფრო „იდეიანი“ (ე. ი. და აზრიანი) პიესებს. მეორე—ალ. მოჩხუბარიძე (ყაზბეგი) პირველად გამოვიდა მწერლობაში დრამატურღად. მის მრავალ დრამატიულ თხზულებათა შორის ყურადღების ღირსი არის მხოლოდ ორი „ამზდელები“ და განსაკუთრებით «ქეთევან წამებული». ეს უკანასკნელი თხზულება საუცხოვო რამ არის და არაფრით არ ჩამოუვარდება დ. ერისთავის «სამშობლოს», მაგრამ

ალექ. მოჩხუბარიძის მნიშვნელობა და ღირსება ჩვენს მწერლობაში უფრო მისის ბელეტრისტიულის ნიჭით და თხზულებებით აიხსნება. შეტადრე მისი პირველი და უკანასკნელი მოთხრობები: „ელგუჯა“ „ელისო“ და „ხევის ბერი“, საპატიო ალაგს აძლევენ მას ჩვენს მწერლობაში, მით უფრო რომ დიდს ხელოვნებასთან ხსენებულ თხზულებათ ფრიად შესანიშნავი და ძლიერი ზედ-მოქმედება და გავლენა ჰქონდათ ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებაზე.

არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავსტოვოთ ეკატერინე გაბაშვილისა და კნეინა ნინო ორბელიანისა, რომელნიც დრო-გამოშვებით სწერენ ჩვენს პერიოდულ გამოცემებში, პირველი მოთხრობებს და მეორე ლექსებს. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველი ქალები ამ ხანებში არ თაკილობენ საზოგადო საქმეებში გარევას და ზოგნი მეცადინეობენ კიდეც. ეს გარემოება ცოტად თუ ბევრად ფერს ჰმატებს საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობას. ამავე დროში ქ. ქუთაისში ქართველ ქალების შრომით და თაოსნობით გამოდის საყოველთვეო ჟურნალი «ქართული ბიბლიოთეკა».

1883 წელს შეუბრალებელმა სიკვდილმა იმსხვერპლა ქართულ საზოგადოების ორი საუკეთესო წევრთაგანი. 21 მარტს გარდაიცვალა ტფილისში დიდად ნიჭიერი და პატრიარქი პოეტთა შორის გრიგოლ ორბელიანი, რომლის მნიშვნელობა ჩვენს მწერლობაში და საზოგადოებრივი ცხოვრებაში უკვე დაფასებულია და ყველასაგან ცნობილი. ამ უბედურების შემდეგ, სწორედ მეოთხე თვეს, 21 ივლისს გარდაიცვალა აბასთუმანში დიდი ხნის ავად მყოფობის შემდეგ „დროების“ რედაქტორ-გამომცემელი ჯერეთ ახალგაზრდა სერგეი მესხი. ეს მეტად მძიმე ჭრილობა იყო საზოგადოებისათვის. თუ ვისმეს მართლა ნამდვილად, უტყუარად, პატიოსნად და უსასყიდლოდ უშრომნია ჩვენს დაჩაგრულს მწერლობაში, ესეთი უმდური შრომა გაუწევია მხოლოდ განსვენებულს სერგეი მესხსა. ისეთს თავგანწირულს კაცს საზოგადოებრივი საქმისათვის იშვიათად შეხვდებით არამც თუ ჩვენში, არამედ სხვა ქვეყნებშიაც. მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო, ცნობილი სერგეი მესხი მთელის ოცის წლის განმავლობაში ადამიანისაგან აუტანელის შრომით ხორციელის და გონიერის ჯაფით ემსახურებოდა თავის საყვარელს ერს და ქვეყანას. ასეთის მძიმე და მწარე ტვირთ ქვეშ მყოფის, სერგეი მესხის არსებამ ვერ გაუძლო და ბოლოს დაიმსხვრა. ჩვენ არ გვინახავს ისეთი კაცი, რომელსაც ეთქვა: „რატომ დღე ასე მოკლე არისო?!“ დიაღ, მისთვის დღე მოკლე იყო და ღამეს დღეთ ხდიდა — მერე ისიც იმ დროს, როდესაც გულს საშინელი სენი უღრღნიდა და გარშემო თანაგრძნობის ჩამი ჩუმიც არ ესმოდა... სერგეი მესხთან საზოგადოებას მოაკლდა მეტად საჭირო, პატიოსანი და დაუღალავი მოღვაწე. რა თქმა უნდა, გრ. ორბელიანის და სერგეი მესხის მოკლება საზოგადოებისათვის მეტის მეტად მძიმე იყო ამიტომ საზოგადოებრივი ცხოვრებასაც მალე და აშკარად დაეტყო მათი დაკარგვაც...

გაზ. „დროება“ თავ. ივ. მაჩაბლის ხელში გადადის. გაზეთი პირველ ხანებში თითქმის ისე მიდიოდა როგორც რიგი და წესი იყო, მაგრამ ორის წლის შემდეგ 14 სექტემბერს 1885 წლისას „დროება“ მავნებელი მიმართულებისათვის მთავრობისაგან სრულებით აღკრძალულ იქმნა.

არც ამ გარემოებას ჩაუვლია უმნიშვნელოდ...

1884—1885 წლებში საზოგადოებრივს ცხოვრებაში შესანიშნავი არა მომხდარა რა, ამ ხანებში თუ არის რამე — ეს პერიოდულ გამოცემათა «სიუხვე». პირველად გამოვიდა «მწყემსი» სასულიერო გაზეთი, — საზოგადოებაზე ამ გამოცემას არავითარი ზედმოქმედება არ მოუხდენია და ვერც მოახდენდა. ხოლო ის კი უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს მღვდლებს და ბლაღოჩინებს მოვალეობად გაუხდათ „მწყემსის“ გამოწერა...

მეორე უფრო საყურადღებო გამოცემა არის (ეხლა კი არ არსებობს) საყმაწვილო, პედაგოგიურის დამატებით ჟურნალი «ნობათი». ამ ჟურნალის საქმე პირველსავე ხანებში ჩინებულად წავიდა, ყველანი სიამოვნებით ეტანებოდნენ. ხელის მომწერლებიც ბევრი ჰყავდა და უკვალოდ არ ჩაუვლია და არც ჩაივლიდა სასო-

გადმოებრივი ცხოვრების მიმდინარეობაში, რომ არ განესვენა ცო-
დვილოთა!.. ჟურნალი «ნობათი» წელიწად ნახევარი გამოდიოდა, მა-
გრამ ბოლოს... ვერ გამოვიდა; უფრო—არ გამოვიდა... მესამე
გაზეთი არის (ესეც იყო) «თეატრი», რომელმაც უმნიშვნელოდ
დალია თავისი დღენი. არ ვიცით რა მიზეზით მოსწყდა წელში,
საზოგადოებას ვერ აკმაყოფილებდა თუ საზოგადოებამ ვერ დაა-
კმაყოფილა, ხოლო დღეს გაზეთი ფაქტიურად არ გამოდის...

მეოთხე გაზეთი არის (ესეც იყო) «ცისკარი» ამ «ცისკარს»
ცისკრული არა ეტყობოდა-რა და ბევრი პროტექ-ციების შემდეგ
გაზეთი დროებით შეჩერდა, რედაქცია გვპირდება გაზეთის გან-
გრძობას და ჩვენც მოველით და ველოდებით თუნდაც მეორე მო-
სვლამდის... მოლოდინი ხომ ჩვენი ხვედრია...

მეხუთე გაზეთი ფაქტიურად არ იყო, თუმცა უმაღლეს ამთავ-
რობისაგან გამოსაცემად ნება დართული იყო. ერქვა მას სახელად
„მოამბე", თუმცა არა გვიამბო რა და ისე დალ-აჩაილულის წყალი...
ერთის სიტყვით ერთის სიტყვით ვერაფერს ვიტყვით და ბევრის თქმა
იქნება ეწყინოს ვისმე, თვითონ მაგალითება ჩვენზე უფრო კარგად
ლაპარაკებენ... ან მართლა ყველანი სრულებით გამოუდეგარნი ვყოფილ-
ვართ,—რაიც ძნელად დასაჯერებელია,—ან ამდენ დასაწყისთ ჩვენში
ნიადაგი არ ჰქონია, ან არა და საქმის მეთაურები გრომად არ
ღირებულან ან თუ ფასი ჰქონიათ თავიანთ საქმეებზე არ მდგარან.
ეს უკანასკნელი გვგონებთ უფრო ახლოა ჭკუასთან. რაც გინდ
ჭკვიანი და ნიჭიერი იყოს კაცი თუ კი თავის შესაფერს საქმეს
არ ადგია, ვერასოდეს ვერ გაიწევს წინ; ორში ერთი აუცილებე-
ლია. ან საქმეს მოშლის ან თავის თავსა. ილია ჭავჭავაძე ჩექმებს
ვერ შეჰკერავს და ვერც «ლასტკას» უზამს, აგრეთვე ჩემი კარგი
მეგობარი მეჩექმე შიო ტალახაძე გაზეთს ვერ გამოსცემს...
მწყერმა რაც უნდა ძალა დაატანოს ტვინს ხეზე ვერ შეჯდება.

ამავე ხანებში გამოდიან ილია ჭავჭავაძის პოემა «განდეგილი»
და აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი", რომლებმაც ჩვეულებრივი

ზედ-მოქმედება იქონია საზოგადოებაზე, განსაკუთრებით უკანასკნელმა.

არა უკანასკნელი მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩვენს ძველს საკლასიკო მწერლობას დიდ' ყურადღებას აქცევენ. ამ ხანებში გამოიცა მრავალი საკლასიკო ნაწარმოებნი «ვისრამიანი», „დასტურლამალი“, „ანტონ კათალიკოზის დრამატიკა“ „ვახუშტის ისტორია“, საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი“ და კიდევ მრავალი წიგნები.

ბევრს ცდილობენ ზოგიერთნი საზოგადოების წევრნი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“ საღსარის მოსაპოვებლად. ამ საზოგადოების მმართველობამ დაარსა მუზეუმი, რომელიც, თუ დროებამ და გარემოებამ ხელი მოუმართა სამეცნიეროთ ძვირფასი რამე შეიქნება. ყველა, ვისაც რამე შეუძლოთ სწირავენ ამ საზოგადოებას სხვა-და-სხვა ნივთებს, წიგნებს ჩვენი ძველ ნაშთთა საგნებს, ფულებს და სხვას. აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ზოგნი ჩვენი მღვდელ-მონაზონთაგანიც ერევიან საზოგადო საქმეებში, ზოგი შეწირულებით, ზოგი გამოცემით.

1886 წელს საყოველთაო ჟურნალი „ივერია“ საყოველდღეო გაზეთად გადაკეთდა და გამოცდილი რედაქტორ-გამომცემლის ხელში საუცხოვოდ მიდის, გაზ. „ივერიის“ გამოსვლას უმნიშვნელოდ არ ჩაუვლია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მეტადრე პირველ ხანებში დიდი ბაასი და სიცხოველე გამოიწვია.

სათეატრო საქმე დრამატიულ კომიტეტის ხელში 1886—1887 წლის განმავლობაში უფრო კარგად მიდის ვიდრე წინეთ. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე აკაკი წერეთლის ახალი დრამამ „თამარ ცბიერმა“. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ რომ სათეატრო საქმე სხვა და სხვა ქალაქებში და სოფლებშიაც მტკიცეთ ფეხს იდგამს. საქართველოში ყოველ წლიურად არა ნაკლებ 50—60 წარმოდგენა იმართება სხვა და სხვა სოფლებში და დაბებში. შემოსავალი ამ წარმოდგენებიდამ ყოველთვის საქველ მოქმედო საქმეს ხმარდება: ან ადგილობრივს სკოლებს ან წერა-კითხვის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადოებასა. ეს გარემოებაც უმნიშვნელოდ არ რჩება ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ცოტად თუ ბევრად წინ სწევს საზოგადოებრივს გრძნობას. აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამ ხანებში საზოგადოება საჯაროდ პატივს სცემს თავის მოღვაწეთ ვას. ორბელიანის 75 წლის დაბადების იუბილეი, ქრისტეფორე მამაცაშვილის 50 წლის სამსახურის იუბილეი, ვას. აბაშიძის 10 წლის სამსახური ქართულ სცენაზე. ყველა ამ დღესასწაულებში საზოგადოებამ დიდი სიცოცხლე და სიყვარული გამოიჩინა თავის მოღვაწეთა პატივსაცემლად.

არ შეგვიძლიან სიჩუმით გავიაროთ აგრეთვე გ. ქართველიშვილის განზრახვა: „ვეფხვის ტყაოსნის“ მხატვრობითი გამოცემა და ახალ ქართული თეატრის აშენება სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობისაგან, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებაზე.

ამ უკანასკნელის წლის განმავლობაშიაც საზოგადოებას მოაკლდა ორი ფრიად შესანიშნავი და ღირსეული პირი. თელავში გარდაიცვალა დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ ჩვენი სახალხო პოეტი იოსებ დავითაშვილი. ი. დავითაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს საზოგადოების წინაშე. ის გამოვიდა ხალხიდამ, ხალხში სცხოვრებდა, ხალხში და ხალხისათვის მოღვაწეობდა და ხალხშივე დალია თავისი დღენი... მეორე უფრო დიდი, სამუდამოდ დაუვიწყარი და მწარედ საგრძნობელი უბედურება საზოგადოებისათვის არის ჩვენი დიდებულის და სახელოვანის მოხუცის დიმიტრი ყიფიანის დაკარგვა, მისი მოულოდნელი სიკვდილი. დიმიტრი ივანესძე ყიფიანი ურჯულო ავაზაკებმა უწყალოდ მოკლეს ქ. სტავროპოლში 24 წარსულს ოკტომბერს.

დიმიტრი ყიფიანი იყო 74 წლის მოხუცი, მაგრამ სულით და გულით მხნე და ჭაბუკი, მუდამ მზა, მუდამ ამხედრებული ბოროტების საბრძოლველად. მისი დაკარგვა მეტად მძიმე და მოურჩენელი ჭრილობაა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. დ. ყიფიანთან ერთად საზოგადოებას დაეკარგა თავისი ქვეყნის საუკე-

თესლო წარმომადგენელთაგანი; მისი დაკარგვა ეთანაბრება საზოგადოების დაობლებას და გაცუდებას....

აი ის გაკვრით ჩამოთვლილი გზა-კვალი, რომელიც განვლილი აქვს ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებას. კაცმა რომ კარგად გამოსწყროს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას სითხლე ბევრი არა დარჩება-რა ისეთი, რაზედაც შეძლებოდა ადამიანს სიამოვნებით თვალის შეჩერება.

რავდენი, რადარა სასარგებლო საქმე დაუწყიათ ჩვენში, რომელსაც ბოლო არ ჰქონია. რომელ დასაწყისს აიღებთ, რომელ ამხანაგობას, საზოგადოებას, წიგნთა გამოცემას, დრო გამოშვებითი გამოცემათ და სხვა და სხვა წრეებს, რომ ყველგან ერთსა და იმავეს არ ვხედავდეთ.— ხანმოკლეობა, ჩაფუშება, დაშლა, მოშლა, განხეთქილება, დაუნდობლობა, აჩქარება და უმეტესად უდონობა და უძლურება წინ მიუძღვიან ან თან მოსდევენ ყველა ჩვენ საზოგადო საქმეთ. ამას რომ თავი დავანებოთ, კერძო პირების საქმენიც გაცუდებულნი არიან.

მაინც და მაინც ჩვენი უძლურება საზოგადო საქმეებში ბევრად დამოკიდებულია მოწინავე დასთა უქონლობაზე, მეთაურთა რაოდენობაზე და ვითარებაზე, ან ეგრედ წოდებული ი ნ ტ ე ლ ე გ ე ნ ც ი ი ს უქონლობაზე.

როგორ თუ ინტელეგენცია არ გვყავსო, იქნება დაცინვით წარმოგვძახოს ვინმემ. ჩვენ კიდევ ჩვენსას განვიმეორებთ. ინტელეგენცია, ისეთი როგორც ჩვენ გვესმის, ჩვენ ჯერ ჯერობით აღარა გვყავს და ამის საბუთებსაც მოვიყვანთ, მაგრამ სანამ საბუთებს გამოვუდგებოდეთ, უადგილო არ იქნება განვმარტოთ ის აზრი თუ რა არის და რას წარმოადგენს ინტელეგენცია.

ჩვენში საზოგადოთ ინტელეგენტს ეძახიან ყველას, ვისაც კი შავი სერთუკი აცვია, ჟურნალ-გაზეთს ჰკითხულობს, ხმა მაღლა და დიდის რიხით, თუმცა მსუბუქად, ლაპარაკობს ყველაფერზე სჯის და ჰკიცხავს ყველასა. ვიმეორებთ, ზოგიერთების აზრით ვისაც ცოტაოდენი ჭკუა და სწავლა აქვს ის ინტელეგენტია. ვინ

ჩასთვლის თავის თავს ჩვენში უჭკუოდ უსწავლელი სეპრიათ? თი-
თქმის არავინ—მაშასადამე ყველას შეიძლება მიაკეროთ შუბლზე
ინტელიგენტობა. ამიტომ, რასაკვირველია, ჩვენში ყველა ინ-
ტელიგენტად ითვლება, რისგამო ყველა ხმას თხოულობს, ყველა
ხმა მაღლა ყვირის, ყველა „ნაპოლეონობს“, პირველობს, მეთაუ-
რობს, თავის თავი ისეთი ვინმეთ ჰგონიათ, ურომლისოთ მითამ
მთელს ქვეყანას დაღუპვა მოელის, საზოგადო საქმეში თუ
ისინი არ ღებულობენ მონაწილეობას არა რაობა ჰგონიათ და
ამიტომ ტყავიდამ ძვრებიან, რომ როგორმე საზოგადოებრივს
ცხოვრებას თავისი ნიშანი „მოაცხონ“, აბა გაუბედეთ იმისთანა
ინტელიგენტს პასუხის კადრება, შეცდომის ჩვენება ან მათი არა
რაობის გამხელება,—მაშინ ვაი თქვენი ბრალი! „ღმერთებს ამოგა-
ცლიან“, იმდენ ჭორებს დაგასტყვებენ ოთხივ მხრივ, ქვემოდ
და ზემოდ, რომ პატიოსანი კაცი ზედაც არ შეგაფურთხებთ; ეს
კიდევ არაფერი. ქვეყანას გამოგათაყვანებენ და იქნება ლუკმა პუ-
რიც წაგართვან, რადგან ხშირად, ზემო ნათქვამ ინტელიგენტთა
შორის, ზოგთ მაღალი ადგილი უჭირავთ საზოგადო ცხოვრებაში,
ზოგთ გავლენა აქვთ, ზოგთ ნათესავი და ნათლი მამები ჰყავთ,
ზოგთ თავისი „წრეები“... და როდესაც წარმოიდგენ, რომ მაგ-
გვარ ინტელიგენტებს დროგამოშვებით აბარიათ საზოგადო საქმე-
ნი, რომ ამათ უჭირავთ კვერთხნი მოღვაწისანი, რომ ისინი აძ-
ლევენ ხანდისხან ფერს, კილოს და მიმართულებას, თუ საზოგა-
დოებრივი ცხოვრებას არა, საზოგადოებრივ ხმას, მაშინ თუ გუ-
ლი ძირ მწარით არ დაგეშხამა, დაღრეჭით მაინც წამოისვრი: „მა-
თი საქმენი საარაკენი!“...

დავუბრუნდეთ ჩვენ კითხვას, რა არის ინტელიგენცია? ინტე-
ლიგენცია უნდა შესდგებოდეს ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ტ ე ბ ი ს ა გ ა ნ.

ხოლო ინტელიგენტი ის კი არ არის, ვისაც ფიქრი, სჯა
და საქმობა შეუძლიან არამედ ის ვინც შორს ხედავს, ღრმათ
ფიქრობს, გრძლათ ზომავს და მოკლეთ სჭრის, ვინც განზრახვას
და საქმეს, ხალხის ბედნიერებას თავის ბედნიერებად სთვლის,

ვინც საზოგადოების სიყვარულით სულს იბრუნებს... აი ამისთანა კაცებს ეძახიან ინტელიგენტს და ამ გვარ ინტელიგენტებისაგან შეერთებულს გუნდს ეწოდების ინტელიგენცია.

მაშასადამე სანამ ხალხს არა ყავს ის ჯეროვანი ვითარებით და სამყოფი რაოდენობით მოწინავე დასთა გუნდი, რომელსაც ჩვენ ვეძახით ინტელიგენციას, მანამ საზოგადოებრივი ცხოვრება უფერულია...

ჩვენ იმას არ ვიტყვით რომ ინტელიგენტები არა გვყავდეს— არა, ინტელიგენტები გვყავან, მაგრამ ძრიელ ცოტად... თუ წინ გაძღოლას იკისრებს ვინმე ნურავის ჰგონია რომ უკან ვინმე ჩამორჩეს.

* * *

(აზრი რუსულიდგან.)

სამნი არიან, ტოლნი არიან,
მათი დანახვა გულს უხარიან:
გადაუდვიათ დებს ხელი ხელსა,
გადასცქერიან სარკმლიდგან ველსა,
ცელქად ხუმრობენ და იცინიან,
ქარი კი ჰგლეჯავს ხეებს მირიან!

გაფრინდა ჟამი, დრო წარმავალი;
ორიღა მოჩანს სარკმელთან ქალი,
ორნივ ოხრავენ, შესცქერენ ცასა
და იგონებენ უბედურს დასა!..
ჩაფიქრებულან არ იცინიან...
ქარი ჰგლეჯს ისევ ხეებს მირიან...

გაფრინდა ჟამი, დრო წარმავალი;
ერთიღა მოჩანს სარკმელთან ქალი,
მოღრუბლულია, გულმოწყვეტილი,
ნამტირალევი და მოსხლეტილი!
ტირის?..—სხვები რომ არა ტირიან?..
—წვიმს და ქარი ჰგლეჯს ხეებს მირიან!

თ. რაფ. ერისთავი,

## მოწოდება.

კავკასიის მთის მწვერვალებზე ღრუბლები შემოჰხვევია,
ჩემს გულსაც სევდა აწვება, ნაღველი შემოსჩვევია!

კავკასის მთიდგან ღრუბლები გაჰფანტა მზემ და სიომა,
ჩემს გულს მზემ პირი უბრუნა, გრიგალმაც ჩემზე იომა!

კავკასიის მთა განათლდა, ლაჟვარდს ცას ეკამათება,
ჩემს გულს ვარამი ეხვევა,—რა კარგი დაექართება?..

მოდი გულის მზევ, ისწრაფე და გამინათლე გულია,
რომ მედიდურათ ვიმზირო, შენით დავიტკბო წულულია!...

თ. რაფ. ერისთავი.